ბიძინა ივანიშვილი:

# 10 ivniss quTaisi gvelodeba!


# საერთო გაზეთი

№26 (210) ● 6-15.VI.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ●

www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი




„დღეს ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას იმისთვის, რომ სახელმწიფოს მთავარი ღირებულება და საზრუნავი გახდეს ადამიანი და რომ ყველა მოქალაქე თანასწორი იყოს კანონის წინაშე“.

## მანანა კობახიძე:

qalbatoni klintonis azriT, xelisufleba valdebulia SeaCeros is manqana, romelic man `qarTuli ocnebis~ winaaRmdeg aamoqmeda



## გიორგი მარგველაშვილი:

ivaniSvilma wyali iTxova da konstituciuri cvlilebebis saxiT karada miutanes...



## ზურაბ ბიგვავა:

yvelaze cudi, rac SeiZleba moxdes, es aris xelisuflebis agresia sakuTari xalxis winaaRmdeg



## ირაკლი სესიაშვილი:

saakaSvili da es xelisufleba nawil-nawil iparebian...



## კახა კახიშვილი:

rogor unda SeirCes maJoritari kandidatebi, rom koaliciam garantirebulad moigos?



ISSN 2233-3983

# quTaisi samxedro banaks hgavs _ 10 ivniss ivaniSvilis mravalricxovani `armiis~ `Setevas~ elodebian



# qalbatoni klintonis azriT, xelisufleba valdebulia SeaCeros is manqana, romelic man `qarTuli ocnebis~ winaaRmdeg aamoqmeda

*ვესაუბრებით „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს* ***მანანა კობახიძეს***

**— რამდენად გაამართლა კოალიცია „ქართული ოცნების“ მოლოდინი აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან შეხვედრამ?**

— შეხვედრაზე საკმარისად მეტი დრო დაეთმო იმას, რომ ქალბატონი კლინტონისთვის გაგვეცნო ყველა ის უკანონო ქმედება, რასაც ხელისუფლება ჩადის. ჩვენ ვისაუბრეთ კონკრეტულად ''ქართული ოცნების'' მიმართ განხორციელებული უკანონო აქტების შესახებ, როგორიცაა ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნა, კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული უსაფუძვლო ქმედებები, მედიაკონტროლი, სადაც ნაცარხებზე დაუბალანსებელი სიუჟეტები გადის და ფაქტიურად, ხელისუფლების აქტივობების პროპაგანდა მიმდინარეობს.

სახელმწიფო მდივნისათვის კარგად იყო ნაცნობი ეს პრობლემატიკა, ის საქმის კურსშია. ის დაინტერესდა იმით, თუ რატომ არ სარგებლობს ბატონი ბიძინა ივანიშვილი საკონსტიტუციო ცვლილებით. ჩვენ განვმარტეთ, რომ ივანიშვილის მიერ პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ გამოქვეყნებულ ღია წერილში ნათლად არის დასაბუთებული, თუ რატომ არ ისარგებლა ბატონმა ბიძინამ ამ ცვლილებით. შესაბამისად, დამატებითი კითხვები არ ყოფილა, რადგან დემოკრატიზმის პრინციპების დარღვევა მიუღებელია ისეთი ქვეყნის წარმომადგენლისათვის, სადაც დემოკრატია უმაღლესი ღირებულებაა.

ქალბატონმა კლინტონმა განაცხადა, რომ აშშ დაინტერესებულია არჩევნების დემოკრატიულ, თავისუფალ, თანასწორუფლებიან გარემოში ჩატარებით და მზად არის, მოავლინოს გრძელვადიანი დამკვირვებლების მისია, ვინც არამხოლოდ არჩევნების დღეს იმუშავებს.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა პირადად გამოხატა სიმპატია კოალიციის სამი წარმომადგენლიდან ორი ქალბატონის მიმართ. რაც ძალიან მისასალმებელი აღმოჩნდა მისთვის.

**— რა იყო ყველაზე მთავარი მესიჯი ამ შეხვედრაზე?**

— აშშ არ უჭერს მხარს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას, შტატები მხარს უჭერს საქართველოს განვითარებას დემოკრატიული გზით. უმთავრესია — არჩევნების ჩატარება, სადაც პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. ეს არის ტესტი იმისათვის, თუ რამდენად სურს საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის დემოკრატიული განვითარება.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად გაითვალისწინებს ხელისუფლება თეთრი სახლის რეკომენდაციებს ან პირიქით, უფრო აგრესიულ ნაბიჯებს ხომ არ გადადგამს?**

— საქართველოს ხელისუფლება დღეისათვის დიდი მონიტორის ქვეშაა, არანაირი საფუძველი იმისა რომ აშშ-ს რეკომენდაციების იგნორირება მოხდება, მას არ ექნება. ხელისუფლება ვალდებულია, გაიზიაროს და ადეკვატურად იმოქმედოს, შეაჩეროს ის მანქანა, რომელიც აამოქმედა ''ქართული ოცნების'' მიმართ. რასაკვირველია, ქალბატონი კლინტონი ღიად ვერ განაცხადებს, რომ მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“, ეს საერთაშორისო სამართალსა და დიპლომატიაში მიუღებელია.

**ნინო ფირცხალავა**



# politikuri koalicia `qarTuli ocnebis~ gancxadeba

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, საქართველოს უშიშროების საბჭოსთან შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც ევალება საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების პრევენცია და დარღვევებზე რეაგირება. კომისიის თავმჯდომარეა უშიშროების საბჭოს მდივანი გიორგი ბოკერია, ხოლო კომისიის წევრები არიან ეკატერინე ზღულაძე (შინაგან საქმეთა სამინისტრო), თინა ბურჯალიანი (იუსტიციის სამინისტრო), პაპუნა პეტრიაშვილი (ფინანსთა სამინისტრო), ჯამბულ ბაკურაძე (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო), სერგი კაპანაძე (საგარეო საქმეთა სამინისტრო), თამარ კინწურაშვილი (ეროვნული უშიშროების საბჭო).

უწყებათაშორისი კომისია ურთიერთობს ოპოზიციაში მყოფ პოლიტიკურ სუბიექტებთან, რომლებიც კომისიას საარჩევნო დარღვევების, მათ შორის პოლიტიკური ნიშნით დევნის შესახებ ინფორმაციას აწვდიან პრევენციისა და სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების მიზნით.

კომისიის მუშაობის საბოლოო მიზანი თავისუფალი არჩევნებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაა.

უწყებათაშორის კომისიასთან ურთიერთობაში პოლიტიკურ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენენ ზაქარია ქუცნაშვილი და თეა წულუკიანი.

კოალიციის წარმომადგენლებთან პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა 2 ივნისს და მას ხელისუფლების მხრიდან ესწრებოდნენ გიორგი ბოკერია, ეკატერინე ზღულაძე, სერგი კაპანაძე და თამარ კინწურაშვილი. ამ შეხვედრაზე მოხდა მუშაობის პრინციპებზე, მეთოდებსა და კომისიისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმებზე მოსაზრებების გაცვლა.

კერძოდ, კოალიციის წარმომადგენლების მხრიდან წამოიჭრა შემდეგი საკითხები:

1. კომუნიკაციის გამჭვირვალობის აუცილებლობა;

2. კომისიის მიერ დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, რეკომენდაციის წერილობითი ფორმით გაცემა, რათა საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, გონივრულ ვადაში მოხდეს შესაბამისი ღონისძიების გატარება, დარღვევის აღმოფხვრა და დამრღვევი პირის პასუხისგება;

3. კოალიციის მხრიდან არა მხოლოდ კოალიციის წევრების, არამედ იმ პირების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებაც, რომლებიც არ არიან კოალიციის წევრები და თავიანთი განსხვავებული მოქალაქეობრივი პოზიციის გამო აღმოჩნდებიან დარღვევის მსხვერპლნი;

4. იმ ვადის განსაზღვრა, რაც კომისიას დარღვევის თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან პასუხის გაცემისთვის სჭირდება.

ამავე შეხვედრაზე, კოალიციის წარმომადგენლებმა კომისიისგან რეაგირება მოითხოვეს მიმდინარე სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის, ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე (თიანეთი), კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრების - მამუკა ქარდავას (ხობი), მევლუდ შუშანაშვილის (თიანეთი), ტარიელ ივანიშვილის (ასპინძა) და კოალიციის თეთრიწყაროს ოფისის საქმეებზე.

უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან ზემოხსენებულ პირველ სამ საკითხზე მიღებულ იქნა დადებითი პასუხი. კერძოდ, კომისიამ მზადყოფნა გამოთქვა გამჭვირვალე ურთიერთობებისთვის, დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, რეკომენდაციის წერილობითი ფორმით გაცემაზე და იმ პირების შესახებ ინფორმაციის მიღებაზეც, რომლებიც არ არიან კოალიციის წევრები, მაგრამ მათ მიმართ განხორციელდა შესაბამისი დარღვევა ან დანაშაული.

რაც შეეხება მე-4 საკითხს იმის შესახებ, თუ რა ვადაში იქნება წერილობით გაცემული პასუხი მიწოდებული ინფორმაციების შესახებ, კომისიამ განაცხადა, რომ სჭირდება დამატებითი დრო პოზიციის შესამუშავებლად.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# Camolaborantebuli Tbilisi



**თბილისი — სამიტინგო.**

**თბილისი ჩამოალაბორანტეს და ეს ჩამოლაბორანტებული თბილისი დედაქალაქის სტატუსს ინარჩუნებს თუ არა ესეც საკითხავია.**

— თბილისი ჩვენია! გადაიტანეთ თქვენი დედაქალაქი ჩვენი ქალაქიდან! — ეს სიტყვები გასული საუკუნის 20-იან წლებში უთხრეს ქართველებს დაშნაკებმა.

ცოტა კი დავაგვიანეთ, მაგრამ ასი წლის შემდეგ თხოვნა მაინც შევუსრულეთ დაშნაკ-ცუტუნებს — „მათი“ ქალაქიდან პარლამენტი უკვე გავიტანეთ და სხვა ბარგი-ბარხანასაც მალე გავზიდავთ, ალბათ.

— თქვენ ეს თბილისი ხომ არ გგონიათ, ძმაო, თქვენს ჭკუაზე რომ მიტინგობთ მანდ, ქუთაისია ეს, საპარლამენტო ქალაქი და ამიერიდან აქ ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ჩვენ გვინდა! — შემოუთვლიათ თურმე ქუთაისიდან კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“.

**აი, ასეა საქმე — ქუთაისი საპარლამენტო ქალაქია,**

**სხვათაშორის, თბილისის ჩამოლაბორანტება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა დავით აღმაშენებლის ძეგლი გაიტანეს ქალაქის ცენტრიდან და ქუთაისისკენ მიმავალ გზაზე დააყენეს — საიდანაც მოსულხარ, პირიც იქითკენ გიქნიაო.**

მეფე დავითს მიშამ ჩაასწრო ქუთაისში და ქუთათურებს ახარა: დავით აღმაშენებელი ვერ დაბრუნდა, მაგრამ მე, მიშა დამამშვენებელი, ჩამოვედი მის მაგივრად და ჩემს პირად „ჭყონდიდელთან“, მეუფე კალისტრატესთან ერთად ისე დაგამშვენებთ და ისე აგაშენებთ, თბილისელები გულზე სკდებოდნენო.

**სავარდო და სამაისო ქუთაისში ვარდოსნული ლაშქრობა წარმატებით დასრულდა — ქალაქი აღებულია!**

ხოლო თბილისში, დიღმის გასასვლელთან, კვარცხლბეკზე „დასვარკული“ დავით აღმაშენებელი წუხს და ბორგავს: — ამ კვარცხლბეკზე არ ვიყო „დასვარკული“, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, თქვე წუპაკო ხვარაზმელებოო!



# unikaluri profesia _ `gverdiT mdgomi~



ჩვენს რეალობას თუ დააკვირდებით, საქართველოში დიდი ხანია არსებობს უნიკალური პროფესია—„გვერდით მდგომი“.

**გვერდით მდგომები ის ადამიანები არიან, რომლებიც მთელი ცხოვრება სულ ვილაცის გვერდით დგანან — ერთი რომ მობეზრდებათ, მეორეს ამოუდგებიან გვერდით, ის მეორეც რომ მოყირჭდებათ, მესამეს აეტუზებიან, მესამე რომ გამოეცლებათ, მეოთხეს მიეჟუდებიან და ასე დაუსრულებლად.**

არ გეგონოთ, ჩვეულებრივ მოკვდავებს ირჩევდნენ გვერდით დასადგომად, ნურას უკაცრავად, მხოლოდ ქვეყნის პირველ პირებს ირჩევენ ან იმ პირებს, რომლებიც პირველი პირები უნდა გახდნენ ახლო მომავალში.

რაღაც უცნაური ყნოსვა და უცნაური ალღო აქვთ პროფესია, გვერდით მდგომების“ წარმომადგენლებს — გვერდში ამოდგომაც დროულად იციან და განზე გადგომაც, რომ მერე სხვას ამოუდგნენ გვერდით.

საილუსტრაციოდ და სამაგალითოდ, ქართველი მესტიხის გრაფო მანიას ცხოვრება და მოღვაწეობაც კმარა.

**მესტიხე გრაფო, პოეზიით მდაბალი, მაგრამ ტანით მაღალი, ჯერ შევარდნაძეს დაუდგა გვერდით, იქ კარგად მიძოვ-მოძოვა და მერე სააკაშვილს დაუმშვენა მხარი, იქაც გვარიანი სარგებელი ნახა და წამოვიდა, მაგრამ უქმად დრო არ დაუკარგავს — ხან ბურჯანაძეს აეტუზა, ხან — „გრეჩიხას“, ახლახან კი „თავისუფლების მოედანზე“ გამოუსწორებელი მეოცნებე ვარო, — გადმოგვძახა ზემოდან.**

ისემც, შენ, რა გითხარი, გრაფო მანიავ, შენ ოცნებებით ჯიგარი არ გეწვოდეს, შე უნიჭოვ და უმაქნისო, შენა.



გრაფო მანიაზე ნაკლები არც სხვები არიან.

**— თქვენს გვერდით ვდგავართ!** — დასჭექავენ საჭირო დროს და საჭირო მომენტში და გვერდით აეტუზებიან ახალ ლიდერს, რომელიც ყველა პროგნოზით ხვალ თუ ზეგ შეიძლება ქვეყნის პირველი პირი გახდეს.

იმანაც რა ქნას, კაცი გვერდით რომ ამოგიდგება, გაიწი იქითო, ხომ ვერ ეტყვი?

**ეტყობა, რაღაც ჯადოსნური სიტყვები იციან ამ პროფესიონალმა გვერდით მდგომებმა, თორემ ასე ერთნაირად ყველას როგორ თაფლავენ, ყველას როგორ აყვარებენ თავს?**

ერთი რესპუბლიკის დამსახურებული „გვერდზე მდგომი“ ვიცი, ცნობილი მედროვე, პატიაშვილის გვერდითაც იდგა, გუმბარიძის ქვედითაც იდგა, შევარდნაძის შვერდითაც იდგა, სააკაშვილის გვერდით ხომ იდგა და იდგა და ახლა ივანიშვილის გვერდითაც უნდა დადგეს, ყოველშემთხვევაში, ძალიან ცდილობს და მომენტს არ უშვებს, ივანიშვილს არ მიუმესიჯოს — თქვენს გვერდით ვდგავარ და, აბა, თქვენ იცითო!

იცვლება დრო, იცვლება ხელისუფალი, მაგრამ გვერდით მდგომთა გუნდი იგივე რჩება და თითქმის იგივე შემადგენლობით აგრძელებს გვერდით დგომას.



ხომ გითხარით, გვერდით დგომა, მავანთა და მავანთა წყალობით, პროფესიად იქცა-მეთქი.

ჰოდა, ესენიც პროფესიონალი გვერდით მდგომები არიან, პროფესიონალი მედროვეები, პროფესიონალი უტიფრები.

დაიღალა საქართველო ამათი ცქერით — სცენაზე ესენი არიან, ტრიბუნებზე ესენი არიან, ტელეეკრანებზე ესენი არიან, თითქოს ერთი და იმავე ფირს ატრიალებს ვიღაც ცინიკოსი რეჟისორი და გვაიძულებს, ერთი და იმავე კომედიას უსასრულოდ ვუყუროთ.



**გიორგი გამეზარდაშვილი**

# ivaniSvilma wyali iTxova da konstituciuri cvlilebebis saxiT karada miutanes...



*გვესაუბრება ფილოსოფოსი, პროფესორი **გიორგი მარგველაშვილი***

**— ბატონო გიორგი, ბოლო დროს კვლავ გააქტიურდა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების, საკონსტიტუციო ცვლილებებისა და მისი არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი. ლოდინში ხუთმა თვემ გაიარა და დღევანდელი მოცემულობით „ბოძებული" საკონსტიტუციო ცვლილებით არჩევნებში მონაწილეობას ივანიშვილი აღარ აპირებს. როგორ გესახებათ, ამ ყველაფრის ფონზე მოვლენების განვითარება?**

— ის, რაც დღეს ხდება ყველა მოქალაქისთვის ნათელი და გასაგებია. საქართველოში არ არსებობს მართლმსაჯულება, სასამართლო, და ა.შ. ივანიშვილის მიერ წამოწყებული იურიდიული და, პარალელურად პოლიტიკური პროცესები საზოგადოების გვერდის ავლით როდი მიმდინარეობდა, არამედ ამ საკითხში, ქართული საზოგადოება ყველა დეტალზე კარგად იყო ინფორმირებული და მან ამ პროცესს საკუთარი განაჩენიც გამოუტანა, რომლის შინაარსი ყველასთვის ცნობილია — უმრავლესობა თვლის, რომ ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა ეკუთვნის. ანუ ივანიშვილმა პროცესი ორ — პოლიტიკურ და იურიდიულ რეჟიმში წარმართა. ამდენად ეს 5 თვე დაკარგულად არ მიმაჩნია, რადგან ბატონმა ბიძინამ ამ პოლიტიკური პროცესის შედეგად ქართველი ხალხის დიდი მხარდაჭერა მოიპოვა. ახლა განვიხილოთ, რა ვითარებაშია, დღეს ე.წ. ქართული იურიდიული სამსახურები და როგორ გამოიყურება ქართული სახელმწიფო პოლიტიკური სისტემა. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ კონსტიტუციას ივანიშვილის გამო ცვლის. ეს ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო განცხადებაა, მიუხედავად იმისა, რომ მას მაინცდამაინც დიდი ისტორია და საამაყო გზა არ აქვს გავლილი. სამარცხვინოა, როცა ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ერთი პიროვნების არჩევნებში მონაწილეობისთვის კონსტიტუციის შეცვლა გადაწყვიტა. უფრო მეტიც, ეს, ამ პიროვნებასთან შეუთანხმებლად და მისთვის არასასურველი გზით მოხდა. ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ მისთვის კონსტიტუციის შეცვლა, სახელმწიფოს ფუნდამენტური დოკუმენტის ამგვარი შერყვნა მიუღებელია. ამ ადამიანის სავსებით მესმის, იგი თავის სახელს ძალიან უფრთხილდება, ამიტომ მას არ უნდა მისი სახელი საქართველოს ისტორიაში თუნდაც მისდა უნებურად, როგორც კონსტიტუციის შემრყვნელის, ისე ჩაეწეროს, რაც მან არაერთხელ განაცხადა. ბოლოს, იგი ოპონენტთან დიალოგზე წავიდა, სააკაშვილს შესთავაზა არ მიეღო ეს ცვლილებები, რა შემთხვევაშიც იგი მოქალაქეობის მოთხოვნაზე განცხადებას იმ ფორმით დაწერდა, რასაც სახელმწიფო მიუთითებდა.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ მიმართა ივანიშვილმა პრეზიდენტს კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელების შემდგომ?**

— იმიტომ, რომ მანამდე, გარანტია იმისა, რომ ეს ხელისუფლების ნება იყო, არ არსებობდა. ვერავინ იტყოდა, რომ ხელისუფლებას რეალურად სურდა ამ რეფორმების გატარება. როგორც იცით, ეს ინიციატივა პარლამენტში განსახილველად „ქრისტიან-დემოკრატებმა" და არა ხელისუფლებამ შეიტანა. ნათლად ჩანდა, რომ ეს ინიციატივა შეიძლება ჩავარდნილიყო.

**როგორც კი ივანიშვილმა დაინახა, რომ სახელისუფლო გუნდს, უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ისინი გარკვეული ნაბიჯების გადადგმას აპირებდნენ, მან თქვა — მოდით, კონსტიტუციას ნუ შევრყვნით და განცხადებას იმ ფორმით დავწერ, როგორიც, თქვენი აზრით საჭირო იქნებაო. ეს ძალიან ბუნებრივი, ტრივიალური, ყველასთვის გასაგები ნაბიჯია. ეს იგივეა, ადამიანს სთხოვო შვიაო, მან კი საკვების მოტანის ნაცვლად საკუთარი ბავშვის დაკვლა დაიწყოს. ივანიშვილმა კი უპასუხა: — არა, არ შევჭამ, ოღონდ მაგ ბავშვს ნუ დაკლავთ. მან სწორედ ამ არანორმალური საქციელის შესაჩერებლად სთხოვა პრეზიდენტს — ნუ მოაწერ ხელს ამ აბსურდულ საკონსტიტუციო ცვლილებებსო. თუმცა ხელისუფლებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ივანიშვილის თხოვნა არ დააკმაყოფილა, რის გამოც ამ მკრეხელობაში მონაწილეობაზე ივანიშვილმა უარი განაცხადა.**

მიმაჩნია, რომ დღესაც ივანიშვილმა მოქალაქეობის მოსაპოვებლად დიალოგი უნდა გააგრძელოს და განცხადება იმ ფორმით დაწეროს, რაზეც ხელისუფლება თანახმა იქნება ხელი მოაწეროს. ხოლო ის, რომ ხელისუფლებას სხვა გზა არ გააჩნია, ამას ფაქტი ადასტურებს — მან ივანიშვილის გამო კონსტიტუცია შეცვალა.

**— ხელისუფლების აბსურდულმა ქმედებებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ ივანიშვილმა, საბოლოოდ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა. როგორ შეხვდება ამას ქართველი საზოგადოება, რომელსაც იმედი სწორედ მან და არა კოალიციის სხვა წევრებმა გაუჩინა?**

— ივანიშვილის არჩევნებში არმონაწილეობა არ უდრის მის დეპუტატობის კანდიდატობას. ბუნებრივია, ყველამ იცის, დამალული არავისთვისაა, რომ კოალიცია „ქართული ოცნება" ივანიშვილის მიერ შექმნილი გაერთიანებაა, რომელსაც სწორედ იგი ხელმძღვანელობს და არა ვინმე სხვა. ერთი მხრივ ხალხს ეცოდინება, რომ ეს ბატონი ბიძინას გაერთიანებაა და პარტიის სახელწოდების „ივანიშვილი — ქართული ოცნება"-ს მიღმა, სწორედ იგი მოიაზრება. მეორე მხრივ, ნათელია, რომ ქართული სახელმწიფო უკვე იმ აბსურდულ, იურიდიულ, კამათშია შესული, რომელსაც არც რეალური, არც სახელმწიფოებრივი ინტერესი არ ამართლებს, რაც საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესს და გარემოს ჩრდილს აყენებს.

**— თქვენ ახსენეთ, რომ „ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივის ჩავარდნის საფრთხე არსებობდა. თუმცა, როცა „ქრისტიან-დემოკრატებმა" განაცხადეს, რომ დემოკრატია ილუპება და კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად ცვლილებები შემოგვაქვსო, ამ ინიციატივას ივანიშვილის ადვოკატები ტაშისკვრით შეხვდნენ და აღტაცებით განაცხადეს: ხელისუფლებამ უკან დაიხიაო. გავიდა დრო და კანონში ბევრი სახიფათო ხვრელი აღმოჩნდა — ივანიშვილს არ უცხოვრია საქართველოში 10 წელი, რაც მის იურისტებს ნამდვილად უნდა სცოდნოდათ, ასევე, აღმოჩნდა, რომ ამ ცვლილებების თანახმად ივანიშვილი ვერ გახდება პრემიერ-მინისტრი და ა.შ.**

— ამ საკითხზე შეჯერება უნდა მომხდარიყო, მაგრამ, მაშინ ივანიშვილთან პირდაპირი დიალოგი უნდა გამართულიყო.

**ამ ადამიანმა ითხოვა წყალი და კარადა მიუტანეს, მას არ უთხოვია კონსტიტუციის შეცვლა.**

ამ პროცესში მრავალი იურიდიული აბსურდი იყო და შემდგომაც იჩინა თავი, ბუნებრივია - შეუძლებელია თავიდანვე აბსურდულ პროცესში ყველაფერი გამართული იყოს. ამიტომ ამ იურიდიულ გაუმართაობებზე მისი გარემოცვისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, სწორად არ მიმაჩნია. არცერთი სტანდარტით არ შეიძლება ადამიანმა დააშავო ის, რასაც არ ითხოვენ და არ აკეთებ. ეს იგივეა ივანიშვილს კონგოში კოკა-კოლას ქურდობისთვის მოვთხოვოთ პასუხი, რომელიც რეალურად სხვამ ჩაიდინა. ფაქტი ისაა, რომ ხელისუფლება გაიძახოდა: ამას ივანიშვილისთვის ვაკეთებთო, ეს უკანასკნელი — უარს აცხადებდა. ამის გაგება იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ბოლო 8 წელია საქართველოში არ უცხოვრიათ, რთულია. ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელმაც



მოდელირებულ ქრონიკას ვუყურე, რომელმაც ვნახე როგორ იზეიმა ხელისუფლებამ 12 აგვისტოს რუსეთზე „გამარჯვება", ეს აბსოლუტურად გასაგებია, მე ეს არ მიკვირს. მაგრამ რომც ვცადო, ეს ამბავი დედამიწის ზურგზე მაცხოვრებელი ნებისმიერი კულტურის ადამიანს ავუხსნა, ვერ შევძლებ. სწორედ ესაა, მთელი კომიკურობა, აბსურდულობა.

**— ივანიშვილმა აღნიშნა, რომ იგი არ იქნება სიის პირველი ნომერი, არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, თუმცა მისი სახელით ბრძოლის მოედანზე „ქართული ოცნება" იასპარეზებს. ყველამ კარგად ვიცით, რას წარმოადგენს ივანიშვილის გარეშე მის კოალიციაში შემავალი პარტიების რეიტინგი. რამდენად დაუჭერს მხარს ამ პარტიებს ქართველი საზოგადოება?**

— ამასთან მიმართებაში ვერაფერს გეტყვით. ივანიშვილის ეს გადაწყვეტილება, ალბათ, შეთანხმებულია კოალიციასთან. ეს ადამიანი იმით გამოირჩევა, რომ ცხოვრებაში არასტანდარტულ ნაბიჯებს დგამდა და ალბათ იმიტომაცაა წარმატებული. მინდა გავიხსენო ბიზნესში მის მიერ გადადგმული სრულიად არასტანდარტული ნაბიჯი, როდესაც მას ბანკის გაკოტრების აღიარებას და ვალდებულებებზე უარის თქმას სთავაზობდნენ, მაგრამ

**მან სრულიად ველურ ბიზეს-გარემოში ვალდებულებები აიღო და პირნათელი დარჩა. მაშინაც, ალბათ იყვნენ ადამიანები, ვინც მას ამ სიტუაციიდან გამოძრომას ურჩევდა, მაგრამ მან თავისი შეხედულებით გადაწყვიტა ეს საკითხი - იგი ასეთი ადამიანია და ჩვენ ვერ დავაძალებთ — ასე ნუ იქცევი, არა ასე სჯობიაო.**

რადგან იგი პოლიტიკაში შემოვიდა, ამიტომ ვაიძულოთ საკუთარ მორალურ პრინციპებს გადაუაროს?! მას მიაჩნია, რომ კონსტიტუციის გარყვნაში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ამ შემთხვევაში, მე ვერაფერს ვურჩევ, ეს პიროვნული გადასაწყვეტია. ის რჩება პიროვნებად, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაშია.

**— მორალური პრინციპების დაცვა გასაგებია, თუმცა, მეორე მხრივ, ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება. ამ დროს კი რა გამოდის ხელისუფლებასა და ივანიშვილს შორის გამართული პინგ-პონგი იმით დასრულდა, რომ ივანიშვილი ბრძოლას საერთოდ გამოეთიშა?**

— ივანიშვილი ამ პროცესს არ გამოთიშვია, პირიქით, მან განაცხადა, რომ ბრძოლას აგრძელებს. ის, რომ იგი სიის პირველი ნომერი არ იქნება, ჩემთვის ეს, არაფერს ნიშნავს. იმიტომ რომ, თუ „ქართული ოცნება" გამარჯვებული ბლოკი იქნება, ეს საკითხი მარტივად დაბალანსდება. თუ ვითარება ისეთია, როგორსაც თქვენ ბრძანებთ — ქვეყნის ყოფნა-არყოფნის დილემა დგას და თუ საქართველოს მოსახლეობა ამას აცნობიერებს, მაშინ იგი შემოხაზავს იმ რიცხვს, რომელსაც „ივანიშვილი — ქართული ოცნება" ეწერება.

იქნება თუ არა იგი დეპუტატი, ეს გადამწყვეტი არ არის. უნდა გაიმარჯვოს „ქართულმა ოცნებამ" და ამ კოალიციის ხელმძღვანელი შემდგომ უკვე ქვეყანას პრემიერ-მინისტრად მოევლინება - ეს არის საზოგადოებამდე მისატანი მესიჯი. ვფიქრობ, ივანიშვილმა ეს ყველაფერი აწონა და გადაწყვიტა, რომ სწორი გზით მიდის. სააკაშვილის მიერ შემოთავაზებულ კონსტიტუციური ცვლილებების გზით არჩევნებში მონაწილეობას მან ისეთი პოლიტიკა არჩია, რომელიც მას მორალური მოქმედებების საშუალებას მისცემს. იგი არ არის გამოუცდელი ადამიანი, მას საკმაოდ რთული ნაბიჯები აქვს გადადგმული და იმედია ამ ბარიერსაც ადვილად დასძლევს.

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

— თქვენ ახსენეთ, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში ივანიშვილი ქვეყანას პრემიერ-მინისტრად მოევლინებაო. ივანიშვილს მისი კოალიციის წევრები არწმუნებენ — მერე რა, თუ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებ, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ და შენი გაპრემიერმინისტრება გარდაუვალიაო. თუმცა, ეს რომ მოხდეს „ქართულმა ოცნებამ“ კონსტიტუციური უმრავლესობით მოსვლა უნდა შეძლოს, რაც ცოტა აბსურდულად გამოიყურება. მაშინ, რა საჭირო იყო ის, რაც მოხდა, პირდაპირ შეექმნა კოალიცია, დაერქმია თავისი სახელი და თვითონ ეცხოვრა პარიზში.

**— იგი იბრძვის საკუთარი უფლებებისათვის, რის სანაცვლოდაც ბინძურ გარიგებას სთავაზობენ, რაზეც იგი არ მიდის. არ მესმის, რატომ უნდა ვაიძულოთ მას ამ გარიგებაზე წასვლა, იგი თავის მოქალაქეობისთვის იბრძვის. მაინცდამაინც უნდა ვაიძულოთ, რომ ამ ბინძური გარიგების შედეგად გახდეს საქართველოს მოქალაქე?! ხელისუფლება მას სთავაზობს „გაუპატიურებულ“ საქართველოს კონსტიტუციაში ჩადებულ პასპორტს, რომელიც მას არ უნდა.**



კონსტიტუციური უმრავლესობა არის ივანიშვილის მიზანი. დღეს, ვერ გეტყვით, რა ფორმით შეიძლება გაიმარჯვოს „ქართულმა ოცნებამ“ — კონსტიტუციური უმრავლესობით, თუ სხვა მხრივ. ახალ საპარლამენტო პროცესში ბოლომდე ჩახედული არ ვარ, მაგრამ რამდენადაც მესმის გამარჯვებული პარტია ცდილობს პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებას და მთავრობის ჩამოყალიბებას. ეს არ ნიშნავს აუცილებლად საკონსტიტუციო უმრავლესობას. მგონი გამარჯვებული ფრაქცია აყალიბებს მთავრობას და ეს თავისუფლად შეიძლება იყოს ივანიშვილის „ქართული ოცნება“. თუ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, ბუნებრივია, ივანიშვილი იქნება მათი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი. სხვა თემაა, რამდენად მოხერხდება „ნაციონალური მოძრაობის“ უმცირესობაში, მეორე ადგილზე გადაყვანა. თუ ასე არ მოხდა, გამოდის, რომ ასეთია ქართველი ხალხის ნება, მათ ურჩევნიათ ჰყავდეთ სააკაშვილი და შესაბამისად გვექნება ის პრობლემები, რომელშიც დღემდე ვცხოვრობთ ან უფრო გაუარესებული.

**— და თუ ეს მართლაც ასე მოხდა, მაშინ ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნების საკითხი დაიხურება და ვერც მისი გაპრემიერმინისტრება მოხდება. რა გზა რჩება, ამ შემთხვევაში?**

— ეს ის დეტალებია, რაზედაც დღეს ვერც პოლიტიკური პროგნოზის თვალსაზრისით, ვერც იურიდიული ცოდნით, პასუხს ვერ გაგცემთ. თუ „ქართული ოცნება“ არჩევნებში ნაკლებ შედეგს მიიღებს, რა ბედი ეწევა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხს, ამის თქმა დღეს ძალიან მიჭირს. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ის პოლიტიკური პროცესი, რაც საქართველოში მიმდინარეობს, გარკვეულწილად უკვე დაზარალებულია, რადგან 7 თვეა ივანიშვილს მოქალაქეობას არ აძლევენ.

**— „ქართული ოცნება“ მასშტაბური აქციის მოწყობას ქუთაისშიც გეგმავს. თუმცა, მას შემდეგ, რაც 27 მაისმა ტრიუმფით ჩაიარა, ხელისუფლება, ალბათ, გულხელდაკრეფილი ნამდვილად არ იჯდება. რა საფრთხეებია მოსალოდნელი?**

— „ქართული ოცნების“ ხელის შესაშლელად ქუთაისში ბავშვების გასაბედნიერებლად ერთთვიანი ღონისძიების მოწყობა ასეთივე პატარა საძაგლობაა და მეტი არაფერი. კიდევ რა აბსურდული ნაბიჯების გადადგმა შეიძლება, ძნელი სათქმელია. რომც მომივიდეს თავში, რატომ მივაწოდო იდეა ამ ხელისუფლებას?! საქმე ისაა, რომ ივანიშვილის პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობს მკაცრად კანონიერების ფარგლებში. საქართველოს მოქალაქეებს, ყოველდღიურ ცხოვრებაში, კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებები ისედაც ძალიან შეზღუდული გვაქვს, თუმცა ამ ფონზე კიდევ ვახერხებთ, რომ გავერთიანდეთ, აზრი გამოვხატოთ.

**— თუმცა არჩევნებისკენ მიმავალ გზაზე დალაგებული ნაღმები, ხელისუფლებას ჯერ არ აუმოქმედებია. გარკვეულწილად ივანიშვილის გამოჩენა ხელისუფლებისთვის საშველია, სწორედ იგი აკავებს ხალხს, თორემ პროცესებს შეიძლება უკვე უმართავი სახე მიეღო.**

— დიახ, ბუნებრივია, იმ ველში, რომელშიც ვიმყოფებით, მოულოდნელი არაფერია. ქვეყნის პირველი პირი, ყოველდღე რუსულ აგრესიას გვიპიარებს და გვეუბნება — გინდა თუ არა შემოდგომაზე რუსეთი უნდა დაგვესხას თავსო, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი კი გვეუბნება — მთავარი ბიზნებს-კლიმატის შენარჩუნებააო - ამ სრულიად აბსურდულ ვითარებაში, გეთანხმებით, შეიძლება აბსურდული ნაბიჯები გადაიდგას.

**— თუნდაც, თუ ხელისუფლებას დამარცხების საშიშროება შეექმნება, ხომ შეიძლება მან ყველაფერი იღონოს, რათა არჩევნები არ გაფორმდეს?**

— ყველაფერი შესაძლებელია. ხელისუფლების მიერ გადადგმული აბსურდული ნაბიჯების მერე, არაფერს გამოვრიცხავ. ბოლო 8 წლის გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფორმის. ჩემი აზრით, ქართველი ამომრჩეველი ამას იაზრებს და ამიტომაცაა დღეს ასეთი აქტიური.

**— ხალხის აქტიურობა, ალბათ, თავად მათივე დამსახურებაა, მაგრამ მთავარია, მერე საით მიგყავს ეს ხალხი...**

— კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა ის, რომ მას ხალხი ენდო, მაგრამ ის, რომ ხალხმა გაბედა და გამოვიდა, ეს ივანიშვილის დამსახურება არაა. ივანიშვილის პოლიტიკურ პროცესში ერთ აქცენტს ვხედავ — ყველანი მივდივართ არჩევნებზე, ხალხნო, გაბედეთ და შემოხაზეთ ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც მხარს უჭერთ. უფრო კონსტრუქციული მიდგომა, არ არსებობს.

**რა შეიძლება გათვალოს ივანიშვილმა ისეთ ხელისუფლებასთან, რომელთანაც კონდოლიზა რაისმა ვერ გათვალა ვერაფერი, ამის თქმა ძნელია.**

ერთი აშკარაა, ივანიშვილმა ყველაფერი — ოჯახი, პირადი კეთილდღეობა სასწორზე დადო და მხარდამჭერებს არჩევნებისკენ მოუწოდა - უფრო კონსტრუქციული ბრძოლის ფორმა კაცობრიობას არ გამოუგონია.

**თამარ შველიძე**

# SiSi da imedi



მიშას ციხე ეგრეთ წოდებული „ზვანოკით“ დავტოვე. თავისუფლების ეიფორიამ სულ მალე გადამიარა, სამყარო, რომელიც ხუთი წლის წინ დავტოვე, ჩემთვის უცნობია, მეტად სასტიკი, უხეში და გულქვა. ჩემი მშობლიური, უკვე გაყიდული გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ რომ ჩამოვიარე (ამბობენ, უგულავას ხალხს უყიდია), მაშინ გავაცნობიერე, რომ ციხიდან თავისუფლებაში კი არა, ციხეში მოვხვდი, უფრო უარეს ციხეში, სადაც „ზვანოკსაც“ აღარ ელოდები... უკიდურესი გაჭირვება, დამფრთხალი, გალატაკებული ხალხი, ჩამქრალი მზერა, შიში და საერთო უიმედობა. ლუკმაჩამწარებული, უკბილო მოხუცები, რომლებსაც პრეზიდენტი მკურნალობის და ლუკმა-პურის ნაცვლად არჩევნების წინ „ჰოლივუდის ღიმილს“ ჰპირდება და შერისხული ივანიშვილი, რომელიც ამ ხნის მანძილზე ღირსებას უნარჩუნებდა ქართველ ინტელიგენციას. მისი რწმენა ურწმუნო თომასავით გაუხდიათ, ახლა იმასღა ვფიქრობ, ოცნების უფლებას თუ მაინც დაგვიტოვებენ?

მაგრამ, მადლობა უფალს! ოცნების უფლებას დაგვიტოვებენ კი არა, 27 მაისს თბილისის ქუჩებში სრულიად სახეშეცვლილი ქართველობა მომავლის ნაბიჯებით მიუყვებოდა რუსთაველის პროსპექტს. ფაქტობრივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მიმდინარე დროის ლოგიკით „იმედი და შიში“ ერთდროულად ერთმანეთს დაუპირისპირდა. ზღვა ხალხმა ქვეყნისა და ეროვნული ღირსების მოკვდინების გაჭიანურებულ ტრაგიკომედიას წინააღმდეგობა დუმილით, გამოუთქმელი აზრის გარეშე გაუწია. ბატონი მუხრან მაჭავარიანის ლექსის სათაურის არ იყოს, „დუმილი რეკავს“. დუმილი გაცილებით მეტის მთქმელი იყო, ვიდრე არაერთხელ მრავალათასიანი, მაგრამ ფანტასტიკურად გაუთვალისწინებელი მსვლელობები, რომელმაც იქამდე მიგვიყვანა, სანამდეც მივედით.

იმ დღეს არაერთხელ იმედგაცრუებულმა ქართველმა ხალხმა გაითვალისწინა მძიმე გაკვეთილები და ბატონ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებით ეს დღე იმედიანად დაგვირგვინების სიმბოლოდ იქცევა. მე არაფრის დამატება არ შემიძლია ამ კაცის ღვაწლზე, მხოლოდ ერთს ვიტყვი, იმ დღეს ივანიშვილი არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, არამედ მსოფლიოს მოქალაქე იყო და ამ მასშტაბის ადამიანი საქართველოში არავინ მეგულება, ვისაც ასეთი რამ შეეძლო მოეხდინა, რაც 27 მაისს მოხდა. ამიტომაც გადაიკარგნენ და დაიმალნენ საპატრულო სამსახურის წარმომადგენლები და თვით ჩვენი სანაქებო პოლიციაც ზედ მიჰყვა. მახსენდება, ვარდებით მოსულებმა, რატომღაც იმ ცნობილი ქალთა ამბოხის დროსაც ასე უკონტროლო მდგომარეობაში მიატოვეს პატიმრები ციხეში და თორმეტი საათის განმავლობაში „ნადზორებისა“ და მორიგეების გარეშე ვიყავით. „მიშა, წადიო“ ზოგი ჩურჩულით, ზოგი ხმამაღლა ამბობდა. ის პროტესტი ციხის რეჟიმის წინააღმდეგ არ იყო, ქალთა ამბოხი ქვეყნის რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ გამომწყვდეულ ქალებს ლაჩარი და მხდალი ხელისუფლება მოერია და აღდგომა ღამეს, როდესაც ზონაზე მხოლოდ ოცდაათამდე ქალი ლოცულობდა, სწორედ მაშინ, გამთენიისას, ქართულად მოგვინაცვლეს ხელი და მოუსავლეთისკენ გაგვიყენეს გზას. „ქართული ოცნების“ მანიფესტაციაზე შეკრებილ ოთხასი ათასამდე ადამიანს ამას ვერ უზამდნენ. „მიშა, წადი“ ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა კახი კალაძემ მიმართა პრეზიდენტს და ახლა ამ კაცს ბინძური გზებით უწყობენ პროვოკაციებს, მიდის ნაციონალურ არხებზე მასზე ცრუ ინფორმაციები. მათი, უკვე, საბედნიეროდ, არავის სჯერა.



თუმცა მანიფესტაციაზე ერთმა ფაქტმა გამაოცა. ვაკის პარკიდან თავისუფლების მოედნამდე ზღვა ხალხმა ერთმანეთის სიყვარულით ვიარეთ, გაჩერებული ავტობუსებისა თუ ავტომანქანებიდან მაცქერალი ადამიანებისგან მხოლოდ კეთილგანწყობა იგრძნობოდა. წუხდნენ, რომ ვერ უერთდებოდნენ მსვლელობას. ვცდილობ, უმნიშვნელო დეტალიც არ გამომრჩეს. თვით ვაკე-საბურთალოს ნაციონალური მოძრაობის ოფისიდან ღრმად ჩაფიქრებული ადამიანები ფოტოებს გვიღებდნენ... ამ ზღვა ხალხში სერიოზული წინააღმდეგობა უნივერსიტეტის წინ მდებარე ავტობუსების გაჩერებაზე მდგომმა ერთმა 17 თუ 18 წლის ახალგაზრდამ გაგვიწია — „სად მიდიხართო“ — დაცინვით გვითხრა ხალხს. ჩემს გვერდით მყოფმა ერთმა სიმპათიურმა ქალმა ბიჭს უთხრა: შვილო, შემოგვიერთდიო, რას დამდგარხარ მარტო, ყველანი ერთად ვართო. მეტი საქმე არ მაქვსო, აგრესიულად გვიპასუხა და მგონი, ჩუმად შეგვაგინა კიდეც. ის თავგამოდებით იცავდა და აქებდა პრეზიდენტს. სიჩუმე ჩამოვარდა, იმ წუთას საკუთარი გულისცემის გარდა არაფერი გვესმოდა. იყო შეძახილები: გიყვარდეს მიშა, მაგრამ ჩვენ, ამდენ ხალხს, ამის გამო დედას ნუ შეგვაგინებო! ვიღაცამ იქვე თავისთვის ჩაილაპარაკა: ალბათ, დიდი კაცის შვილია. გაწიწმატებულმა ასაკოვანმა ქალმა გვითხრა: დიდი კაცის შვილი რომ იყოს, ავტობუსის გაჩერებაზე არ იქნებოდაო, ისინი ხომ იცით, რა მანქანებით დადიანო. რას არ გაიგებდით. ფაქტი კი ის იყო, რომ იმ დღეს ამ ზღვა ხალხში, მიშას მხოლოდ ერთი მომხრე ბიჭუნა ჰყავდა, რომელიც აგრესიულობით და აუტანელი ქცევით გამოირჩეოდა. ისე, გულწრფელი ვიქნები, თუ ვიტყვი, ეს ბიჭი ჩვენს პრეზიდენტს ჩამოჰგავდა სითამამით და უსაქციელობით.

გამახსენდა, პრეზიდენტის სიყვარულით გამორჩეული ერთი ქალბატონი ციხეშიც გვყავდა. ექვსას ქალში მხოლოდ ის ერთი ქალი გამოხატავდა მიშას მიმართ პატივისცემას და ამის გამო მთელი „სროკი“ დიდ დავიდარაბაში გაატარა. აგვისტოს ომის დროს, ღამის 4 საათზე, უფროსი მორიგესთვის ამ ქალბატონს სამლოცველოში გაყვანა უთხოვია. მორიგეს უთქვამს: იქნებ დილით წახვიდეთო. პრეზიდენტის ჯანმრთელობაზე უნდა ვილოცო მშვიდადო, — მიუგია. გაკირვებულ მორიგეს უთქვამს, რა ვიცი, ქალბატონო, თქვენს გარდა ექვსასი პატიმარი ქალი პრეზიდენტის წყევლაშიაო... და მაშინვე წაუყვანია ის ქალი სამლოცველოში. ახლა, არ ვიცი, ის ქალბატონი კიდევ თუ ლოცულობს პრეზიდენტზე, ან სად არის საერთოდ. მგონი, ჩვენი პრეზიდენტი ჯანმრთელობას არ უჩივის, მაგრამ ახლა ის დროა, მთელი საქართველო ვლოცულობდეთ იმაზე, რომ ამ კაცს, იქნებ, გონება გაუნათდეს და ერსაც და ბერსაც ეშველოს.

თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანმა მოქმედებამ უკვე დაირქვა თავისი სახელი. „ქართულ ოცნებას“ წმინდა სამება ჰყავს დარაჯად...

**ნანა სულავა**

# quTaisi samxedro banaks hgavs _ 10 ivniss ivaniSvilis mravalricxovani `armiis~ `Setevas~ elodebian

10 ივნისს ქუთაისში კოალიცია „ქართული ოცნების“ აქცია იმართება, რომელიც, როგორც ჩანს, ბევრად რამით იქნება განსხვავებული ამავე კოალიციის მიერ თბილისში 27 მაისს გამართული აქციისგან.

27 მაისის აქციაზე ძირითადად თბილისელები მონაწილეობდნენ.

ძალიან ცოტა იყო რეგიონებიდან ჩამოსული ხალხი, რის გამოც აქცია ისევე ორგანიზე-





ბულად დაიშალა, როგორც გაიმართა (რეგიონებიდან ჩამოსულებს, წინა აქციების გამოცდილებით, ხშირად ექმნებათ უკან დაბრუნების პრობლემა, რის გამოც აქცია აქციის დამთავრების შემდეგაც „გრძელდება“ ხოლმე).

თბილისური აქციისგან განსხვავებით, სავარაუდოა, რომ ქუთაისის აქციაზე, ქუთათურების გარდა ძალიან ბევრი ადამიანი ჩამოვიდეს თბილისიდან, ქუთაისის მიმდებარე რაიონებიდან, სამეგრელოდან, გურიიდან.

განსაკუთრებით ბევრი ადამიანი აპირებს ჩასვლას თბილისიდან, რომლებიც ალბათ, დილით, ორგანიზებულად დაიძვრებიან პირველი დედაქალაქიდან მეორე დედაქალაქისკენ.

**ადრე დასავლეთიდან მოემართებოდნენ რამდენიმე კილომეტრის სიგრძის ავტოკოლონები, აღმოსავლეთისკენ ახლა ეს კოლონები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გაეშურებიან, რომ სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“ უშუალოდ ახალი პარლამენტის დისლოკაციის ადგილზე „მიაკითხონ“ და პირდაპირ უთხრან: — ვერსად გაგვექცევით! ყველგან მოვალთ! ყველგან მოგწვდებით!**

**10 ივნისის აქციას ქუთაისში ძალიან დიდი პოლიტიკური დატვირთვა აქვს, შეიძლება ითქვას, უფრო მეტი, ვიდრე 27 ივნისის აქციას ჰქონდა, რადგან 10 ივნისის აქციით კოალიცია „ქართული ოცნება“ შეეცდება აჩვენოს, რომ ის არა მარტო თბილისში, არამედ ქუთაისშიც და, საერთოდ, მთელ საქართველოში ფლობს სიტუაციას.**

10 ივნისს, შეიძლება, გაირკვეს, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანა, რომლის უმთავრესი მიზანი თბილისში არსებული მუდმივად ფეთქებადსაშიში პოლიტიკური მუხტის განმუხტვაა, ამაო და ფუჭი გამოდგეს, ანუ პოლიტიკური მუხტი თბილისშიც შენარჩუნდეს და პარალელურად ქუთაისშიც ახალმა პოლიტიკურმა მუხტმა „იბარტყოს“, და, ასე მივიღოთ ერთის ნაცვლად ორი პოლიტიკურად აქტიური საპროტესტო სივრცე.

**პარლამენტის ქუთაისში გადატანას საპროტესტო განწყობის ექსპორტიც რომ აუცილებლად მოჰყვება, ამაზე, როგორც ჩანს, არც ამ „ბრწყინვალე“ იდეის ავტორს კაკო ბობოხიძეს უფიქრია და არც მათ, ვინც ამ იდეას დაუფიქრებლად და გაუაზრებლად დაუჭირა მხარი.**

სადაც იქნება პარლამენტი, იქ, რა თქმა უნდა, იქნება საპროტესტო მიტინგები და აქციები.

**ასე რომ, საქართველოს, ამიერიდან, ორი დედაქალაქი არა, მაგრამ ორი პოლიტიკური ცენტრი ნამდვილად იქნება.**

ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო, — ნათქვამია.

ამ ხელისუფლებამ ჩხრიკა, ჩხრიკა და მეორე დანაღმული ველი გამოჩხრიკა...

* * *

არ შეიძლება სააკაშვილი არ აცნობიერებდეს, რომ თუ კოალიცია „ქართული ოცნების“ აქციამ ქუთაისშიც ისეთივე ტრიუმფით ჩაიარა, როგორც ეს თბილისში მოხდა, ეს უკვე ისეთი გამანადგურებელი დარტყმა იქნება მისთვის, რომ ამ დარტყმის შემდეგ ფეხზე მყარად დგომა და ჩვეულ სტილში — რიხით, ფახიფუხით, ტყუილებით, უტიფრობით, სიცრუით გაჯერებული „სახალხო-საჯარო“ გამოსვლებით, საარჩევნო კამპანიის წარმართვას ვერ მოახერხებს.

ამიტომ, ცხადია, სააკაშვილი და სახელისუფლო გუნდი ყველაფერს გააკეთებენ, რომ 10 ივნისს ქუთაისში კოალიცია „ქართული ოცნების“ აქცია, რაც შეიძლება მცირერიცხოვანი და ულიმღამო იყოს.

პირველ რიგში, ალბათ, თბილისიდან ქუთაისისკენ მიმავალ ივანიშვილის მხარდამჭერებს შეუქმნიან პრობლემებს და შეეცდებიან ავტოკოლონამ 10 ივნისს ან საერთოდ ვერ ჩააღწიოს ქუთაისამდე, ან ჩავიდეს გვიან, მაშინ, როცა აქცია, უკვე დამთავრებული და დაშლილი იქნება.

ავტოკოლონის შეფერხება, თუ ხელისუფლება ამაზე წავა, მრავალნაირი ხერხით და მეთოდით შეიძლება, თანაც ისე, რომ ხელისუფლების პირდაპირი დადანაშაულება ავტოკოლონის მსვლელობის ხელოვნურად შეფერხებაში გამეორდება.

ვფიქრობთ, ხელისუფლება მაინც გადადგამს ამ ნაბიჯს, რადგან ის იძულებულია ასე მოიქცეს — მას სხვა გამოსავალი არ აქვს!

ძნელი სათქმელია, რა შეიძლება ხელისუფლების იმ ავანტიურას „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა დაუპირისპირონ, თუმცა, როგორც იტყვიან, გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კოალიციის თბილისელი მხარდამჭერები ყოველგვარი ექსცესების გარეშე მიაღწევენ დანიშნულების ადგილას.

არ არის გამორიცხული, აქციის მიმდინარეობის დროს აქციის მონაწილეთა ცალკეულ ჯგუფებს შორის დაპირისპირების პროვოცირება მოხდეს და ამ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებაც არ გაუჭირდება, ალბათ, ათასგვარ ავაზაკურ-ხულიგნურ ილეთებში განსწავლულ ხელისუფლებას.

როგორც ქუთაისიდან გვაცნობეს, ქუთათურ ნაციონალებში და მათ ხელმძღვანელებში დიდი ღელვა და შფოთია. 10 ივნისს გამოცდა თუ ვერ ჩააბარეს და „ქართულ ოცნებას“ ფრთების ლაღად გაშლის საშუალება მისცეს, მტრისას, მათ დღე ელოდებათ. ამიტომაც ძვრებიან საკუთარი ტყავიდან ქუთაისელი მაღალჩინოსნები და დღე-ღამეს სამუშაო კაბინეტებში ატარებენ.

**ქუთაისი სამხედრო ბანაკს ჰგავს — 10 ივნისს ივანიშვილის მრავალრიცხოვანი „არმიის“ მოსაგერიებლად ემზადებიან.**

— ვინც გვიღალატებს და კოალიციის აქციაზე მისვლას გაბედავს, ისე გავუხდით საქმეს, ქუთაისში არ დაედგომებოდეს! — ასეთ მუქარას ავრცელებენ კორპუს-კორპუს და ქუჩა-ქუჩა „ნაცმოძრაობის“ გზირები და „შნირები“.

დაშინების, მუქარის, ანგარიშსწორების პოლიტიკას ატარებენ „ნაცები“ იმერეთის სხვა რაიონებშიც და მოსახლეობას კატეგორიულად აფრთხილებენ ღმერთი არ გაუწყრეთ და აქციაზე არ მივიდნენ. თუმცა, როგორც ამბობენ, ღამღამობით „ქართული ოცნების“ ლიდერებს უგზავნიან საიდუმლო შეტყობინებას: — ამ გიჟის გადამკიდე სხვანაირად ვერ მოვიქცევით, თორემ სულით და გულით თქვენთან ვართო...

ასეა თუ ისეა, 10 ივნისიც მალე მოვა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# saakaSvili da es xelisufleba nawil-nawil iparebian...

გვესაუბრება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საინიციატივო ჯგუფის წევრი **ირაკლი სესიაშვილი**:

**— ირაკლი, 27 მაისს ხალხმა საბოლოოდ დაუდასტურა ივანიშვილს სრული ნდობა და მხარდაჭერა. თუმცა, როგორც ვიცი, ბატონი ბიძინა არჩევნებში აღარ მონაწილეობს. ეს ხალხში იმედგაცრუებას ხომ არ გამოიწვევს და ხელს არ შეუშლის გამარჯვებას?**




— ბიძინა ივანიშვილი არის არა ამ პროცესის უბრალო მონაწილე, არამედ ლიდერი და ლოკომოტივი. არჩევნებში ფორმალურად მისი მონაწილეობა სახელმწიფო ინტერესებს რისკის ქვეშ აყენებდა, რამდენადაც კონსტიტუციური ცვლილებები სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება. ივანიშვილმა კი პოლიტიკაში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ იგი პირველ რიგში ხალხს და ქვეყნის ინტერესებს დაიცავდა. როგორც კოალიციის რიგითი წევრი ამ გადაწყვეტილებას მივესალმები. ხალხმა ძალიან კარგად იცის, ვინ არის დღეს ლიდერი, ამ ხელისუფლების ალტერნატივა. ამიტომ ბატონი ბიძინას საარჩევნო სიაში უშუალოდ არწარმოდგენა, ეჭვს არ დაბადებს, თითქოს იგი პროცესს ემიჯნება. ხელისუფლების მხრიდან იყო მცდელობა თავიანთი პროპაგანდისტული მანქანებით, დამუშავებული მესიჯებით საზოგადოებაში ილუზია შეექმნა, თითქოს ივანიშვილი საარჩევნო პროცესს ეთიშება, მაგრამ ამას ეფექტი არ ჰქონდა, რადგან ხელისუფლების ტყუილების უკვე აღარავის სჯერა. რეალურად, დღეს ხელისუფლება ორ რამეზე — ტყუილსა და პროპაგანდაზე დგას, მაგრამ მოსახლეობა ბრძენია, ხშირად მიწევს სოფლებში გასვლა. იყო პერიოდი, როცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ პროპაგანდის მსხვერპლი გახდა. თუმცა, დღევანდელ მოცემულობასთან მიმართებაში საზოგადოება აბსოლუტურად ადეკვატურია, მოვლენების შეფასება სწორად ხდება. საუბარია არა მხოლოდ იმაზე, რომ ეს ხელისუფლება ყელში ამოგვივიდა და ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, არამედ მოდის რეალური ძალა, რომლის მიზანია ქვეყნის რეალურ დროში კრიზისიდან გამოყვანაა.

**— ირაკლი, როგორ ფიქრობ, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ დაინახა, რომ ივანიშვილს ხალხის დიდი ძალა უჭერს მხარს, რაიმე პროვოკაციაზე ხომ არ წავა?**

— თუ ხელისუფლება გაბედავს და ივანიშვილის წინააღმდეგ საქმეს შეთითხნის, თუმცა, იმედი მაქვს იგი ვერ გაბედავს ამას, წინაალმდეგ შემთხვევაში ეს პირდაპირ დიქტატურობის დაკანონება იქნება და მაშინ დიქტატურა ღიად გამოცხადდება. საქართველოშიც და მსოფლიოშიც ყველამ იცის, რომ „ქართული ოცნებას“ ხელისუფლებასთან მიმართებაში დიდი უპირატესობა აქვს. ჩვენ აუცილებლად მოვალთ ხელისუფლებაში, სააკაშვილი ვერანაირად შეინარჩუნებს ძალაუფლებას. თუ იგი ქვეყნის კონსტიტუციის, ხალხის წინააღმდეგ წავა და ძალადობრივ ქმედებებზე გადავა, რისი საფუძველიც მან შეიძლება ხელოვნურად შექმნას, ამას საერთაშორისო ცივილიზებული საზოგადოებიდან ადეკვატური რეაქცია მოჰყვება. ამიტომაა, რომ დასავლეთის განსაკუთრებული ყურადღება საარჩევნო პროცესისკენაა მიმართული — ეს ერთგვარი პრევენციაა. ჩვენ გეოპოლიტიკურად იმდენად მიმზიდველი ვართ, რომ ძალიან ბევრი ინტერესი იკვეთება. არავის აქვს სურვილი, ქვეყანას, რომელსაც სწრაფად განვითარების, დემოკრატიულად ჩამოყალიბების, მართლა კარგი პერსპექტივა აქვს, ამ ყველაფერს ერთმა ისტერიაში ჩავარდნილმა პრეზიდენტმა შეუშალოს ხელი. ერთი მხრივ, ამ ყველაფერს დასავლეთი თვალ-ყურს ადევნებს და ცდილობს პრეზიდენტს, ხელისუფლებას შეახსენოს, ნუ შექმნიან ხელოვნურად იმ მოცემულობას, რომელიც შემდგომ ბუმერანგივით შემოუტრიალდებათ მათ, ასევე დაზიანდება სახელმწიფოს ინტერესები. მეორე მხრივ, თითოეული ჩვენთაგანი ვდგავართ ქვეყნის სადარაჯოზე და არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ ლიდერები, არამედ თითოეული მოქალაქე. 27 მაისს ქუჩაში, მართლაც ჩვენი ქვეყნის მომავალი ვნახე. არ ვგულისხმობ, რომ თითქოს ვინც არ იყო, ის მომავალი არ არის. ამაში ვგულისხმობ იმას, რომ დავინახე მოქალაქეები, რომელთაც ამ კამპანიის მიზანი და შედეგი, რომელიც არჩევნების შემდგომ დადგება, გააზრებული ჰქონდათ. ძალიან ბევრი ახალგაზრდა, ღირსეული ადამიანი ესწრებოდა აქციას, რომელთაც აქვთ განცდა, რომ მოდის რეალური ძალა, რომელმაც ქვეყანა უნდა გადაარჩინოს.

ერთიანად, კონსოლიდირებულად თუ არ დავდექით, არჩევნების შემდგომ თითოეული ჩვენთაგანი ამ ყველაფრის მსხვერპლი გახდება. ასე რომ, ის ციხე, რომელიც სააკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნა, მისი კედლები უკვე ინგრევა და ამ ციხიდან ძალიან ბევრი თავისუფალი ადამიანი გამოდის და ღიად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას. საბოლოო ჯამში ეს ციხე დაინგრევა და ჩვენ საზოგადოებასთან ერთად ძლიერ სახელმწიფოს ავაშენებთ.

თუკი სააკაშვილი გონს არ მოვა და თამაშის წესებს არ დაემორჩილება. თუ ასე გაგრძელდა და სააკაშვილმა არჩევნები გააყალბა, მაინც დარწმუნებული ვართ, რომ ამ არჩევნებში გავიმარჯვებთ და მივიღებთ არა რაღაც პრინციპულ შედეგს, არამედ სრულ გამარჯვებას. „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან მარტივად ჩამოიშლება არა იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ამის სურვილი, არამედ იმიტომ, რომ მათი პოლიტიკა აგებულია კლანურ-მაფიოზურ მმართველობაზე.




**— ირაკლი, 27 მაისის შემდეგ, ფაქტობრივად, ახალი რეალობა შეიქმნა. ახლა კი აქცია ქუთაისში იგეგმება. ტრიუმფალური 27 მაისის შემდგომ, როგორ ფიქრობ, თქვენი გეგმების განხორციელებას ხელისუფლება ხელს ხომ არ შეუშლის. რა საფრთხეებს შეიძლება ველოდოთ ქუთაისის აქციაზე?**

— დაბრკოლებები, რასაც ხელისუფლება გვიქმნის, მისი მხრიდან. იაფფასიანი სვლებია, რითაც იგი ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ სიტუაციას მართავს და აკონტროლებს, მაგრამ ვინ აკონტროლებს თბილისს, 27 მაისს ყველამ კარგად ვნახეთ. იგივე სიტუაცია განმეორდება ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, თელავში და ა.შ. ამიტომ ხელისუფლება ცდილობს „ნებართვის არ მიცემით“ საზოგადოებაში ილუზია შექმნას — თბილისი ოპოზიციურად განწყობილი იყო და იქ გაუვიდა „ქართულ ოცნებას“, მაგრამ ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში და ა.შ. არ გაუვათ. ესეც ბოლო გაფართხალებაა. ნებართვასაც მოგვცემენ და ყველაფერს.

**მინდა საზოგადოება დავარწმუნო ქუთაისში უახლოეს დღეებში ფართომასშტაბიანი საარჩევნო კამპანია შედგება, მასში ძალიან ბევრი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. ისევე, როგორც თბილისმა ამ ხელისუფლებას ძალიან მარტივად გასცა პასუხი — თუ ვინ არის თბილისში მმართველი, პოლიტიკური ლიდერი, ასევე მოხდება ქუთაისში და ყველგან.**

მალე ყველგან ყველაფერს პასუხი გაეცემა და ამ ყველაფერს რეალური გარდატეხა მოჰყვება, პირველ რიგში საზოგადოებაში.

**— პრეზიდენტმა უკვე ქუთაისში ოფიციალურად გახსნა პარლამენტი. ხომ არ დაიწყო პრეზიდენტმა ქვეყნის გაყოფის გეგმის განხორციელება?**

— ქუთაისში რატომ გაიქცა მიშა? — იმიტომ, რომ იცის, თბილისზე დიდი ხანია კონტროლი დაკარგული აქვს. აქ ველარ ჩერდება, ეზიზღება თბილისი, ქუჩაში არ გამოესვლება. რაც თბილისში სააკაშვილს დაცვა ჰყავს, რომელიმე კონტინენტის ყველა პრეზიდენტს ერთად აღებულს ეყოფოდა. ეს გამოწვეულია იმით, რომ მას ეშინია თბილისელების, რომელთა ზომბირებაც ვერ მოახერხა თავისი პროპაგანდისტული ტელეკომპანიებით. დიახ, ქუთაისში ხელისუფლების გაქცევით, მათ ჰქონდათ ერთგვარი მცდელობა თბილისი პოლიტიკური პროცესებიდან მოეწყვიტათ რომ იგი პოლიტიკური ცენტრი აღარ ყოფილიყო. ეს იყო პროტესტი, რომ დედაქალაქი აქვე დარჩენილიყო, პოლიტიკური პროცესი კი ქუთაისში გაგრძელებულიყო, მაგრამ თქვენ ნახავთ, რომ უახლოეს დღეებში ქუთაისში ამ კითხვასაც პასუხი გაეცემა. მერე სააკაშვილს ქუთაისიდანაც მოუწევს გაქცევა. გამორიცხული არაა, შემდგომ თავის მარგალიტ გამოსვლებში ისიც კი თქვას, რომ ჯერ არ არსებულ ლაზიკაში გადაიტანოს მთავრობა. ტყუილი რომ არ გამომივიდეს, ცოტა ხუმრობით გეტყვით, როგორც ჩანს, სააკაშვილი და ეს ხელისუფლება ნაწილ-ნაწილ იპარებიან. ნურავის ეგონება, რომ სააკაშვილს მარტო თბილისი აქვს წაგებული, რეალურად მას ყველა ქალაქი, სოფელი, დაბა წაგებული აქვს. მისი რეიტინგი მხოლოდ იმის ხარჯზე არსებობს, რომ ხელისუფლების მხარესაა სახელმწიფო რესურსი, პროპაგანდისტული მედია და ა.შ. თითოეულმა მოქალაქემ, განსაკუთრებით ისინი, ვინც საჯარო სამსახურში არიან და ვისაც აიძულებენ პოლიტიკური ნიშნით გამოიყენონ ძალა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, მათ უნდა გაიაზრონ მათი არაკანონიერი დავალებები აზიანებს, როგორც მათ, ისე სახელმწიფოს, ამიტომ ყველანი ერთად უნდა დავდგეთ ქვეყნის დასაცავად. ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა — არც ერთი საჯარო მოხელე არ დატოვებს სამსახურს თუ იგი თავისი ცოდნით, კვალიფიკაციით მოთხოვნებს აკმაყოფილებს მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არ დაიწყება პოლიტიკური რეპრესიები. ჯარისკაცი, ოფიცერი, მოსამართლე და სხვა, თუ მათ მძიმე დანაშაული არ აქვთ ჩადენილი, ჩვეულებრივ გააგრძელებენ სამსახურს, მეტიც, ისინი გათავისუფლდებიან იმ პოლიტიკური კონტროლისგან, რაც მათ მოძალადედ აქცევდა.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# qarTvel maerma iseTi Secdomebi dauSva, SeiZleba, kacobriobis sivrcidan mTlianad amovvardeT

*გვესაუბრება პოეტი*
***კობა არაბული***

**— ბატონო კობა, როგორ შეაფასებთ ვითარებას, რომელიც 27 მაისის შემდეგ შეიქმნა საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში?**

— ახლა სულ სხვა დრო დადგა ჩვენს ქვეყანაში. შეიცვალა ის ვითარება, რაზეც ადრე ვსაუბრობდით. მოსალოდნელი მოულოდნელობა იყო რუსთაველზე ხალხის მასის შეგროვება. შინაგანად უნდოდა ერს, მაგრამ არ ელოდებოდა. ეს არც შიშის დაძლევა იყო და არც მსგავსი რამ. ქართველისთვის პრობლემა ყოველთვის უნდობლობა და რწმენის ერთბაშად დაკარგვის სინდრომია. უნდობლობა საკუთარი თავის და სხვების მიმართ. რუსთაველზე კი ნდობის აღდგენა მოხდა ლიდერის მიმართ. ახლა ჩვენ ვამბობთ — არ გვინდა ბელადი. ბელადი არც მე მინდა მაგრამ, ერი რაც არ უნდა ინტელექტუალური და ნიჭიერი იყოს, ერთიანი მოქმედება მაინც არ შეუძლია. ნაპოლეონმა თქვა; „მასის ტვინი, ვირის ტვინის ტოლფასიაო“. ამდენად ხალხს ბელადი კი არა, ნიჭიერი ადამიანი სჭირდება. როგორც ადრე, „კითხული“ კაცი, ხევისბერი ჰყავდათ თემებს. სწორედ მათ ეკითხებოდნენ, როდესაც რაიმე ხდებოდა, ყველანი ერთდროულად კი არ წყვეტდნენ. საყმო ამბობდა:

**„რჯულის მიერ მოჭრილი ხელი არ გტკივაო“. ეს რას ნიშნავს, იცით? როცა ჭკვიანმა ადამიანებმა შეიძლება იმაზე მკაცრი სასჯელი გამოგიტანოს, ვიდრე გერგება, მაგრამ არც გწყინს და არც გტკივა, იმიტომ, რომ სამართლიანია. ქართველებს დღეს რჯულმდებელი არ გვყავს. კონსტიტუციაც კი აღარ გვაქვს.**



ერთი კაცი ცვლის კონსტიტუციას საკუთარი სურვილის მიხედვით. საზოგადოებისთვის კი ყოველი მის მიერ დადებული რჯული, ყოველი კანონი მტკივნეულია იმიტომ, რომ გონივრული არაა და მიმართულია საკუთარი ერის, მამულის წინააღმდეგ. ხალხის ეს გამოსვლა კი ერის, მამულის დასაცავად მხარდაჭერას ნიშნავდა ლიდერის მიმართ, რომლის ნდობაც გაუჩნდათ. წინა აქციების დროს 300 000 ათასი ადამიანი რომ გამოვიდა ქუჩაში, ლიდერები გამოეცალნენ. რამ გამოიწვია ხალხში ნიჰილიზმი? პიროვნება ვერ დაინახეს, რომელიც წინ წარუძღვებოდა მათ. დედაბოძი რომ გამოეცლება სახლს და წაიქცევა, ასე დაგდებული და დაყრილი დატოვეს ერი. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მერე ვეღარ მოგყავს ადამიანები, რადგან უნდობლობა უჩნდებათ ყველას მიმართ. დღეს უნდობლობა დაძლეულია და ეს არის ივანიშვილის ფენომენი, სხვა რომ არაფერი არ ვთქვათ.

**— ნდობის აღდგენა თავისთავად კარგია მაგრამ, ჯერჯერობით კვლავაც ძალიან რთულ სიტუაციაში ვართ. აქამდე რატომ ვერ შევძელით საკუთარ თავში ძალების მოძიება და შეცდომების გამოსწორება?**

— როდესაც ერი სიბრძნეს კარგავს და დგება მისთვის შეუსაბამო მითოლოგიური დრო, მისი მოქმედებაც შეუსაბამოა. იგი უშვებს საბედისწერო შეცდომებს და შესაძლოა სამყაროდან ამოვარდეს.

**ჩვენ უკვე ისეთი შეცდომები დავუშვით, შეიძლება კაცობრიობის სივრციდან მთლიანად ამოვვარდეთ. ფარნავაზის დროიდან დღემდე, ასეთი შეკუმშული და დაპატარავებული არასდროს ვყოფილვართ.**

ეს ტრაგედიაა ჩვენი ერის. როგორ დაიბრუნებს ტერიტორიებს რომელიმე ხელისუფალი? რაც არ უნდა გონიერი იყოს, მაინც ურთულესი პროცესი იქნება მისთვის. მამისონიდან და შატილიდან მოყოლებული საზღვრები რუსებს აქვთ წალებული. დარიალზე გადმოწეულია საზღვარი, შატილში ორი კილომეტრით გადმოსწიეს და პირდაპირ იმ მწვერვალზე დადგნენ, სადაც ჩვენს ხალხს ედგა საგუშაგო კოშკები. ყველამ იცის, რომ რაჭაში, მამისონის უღელტეხილზეც გადმოსწიეს საზღვარი, ადრე იქ ჩვენი მეტეოროლოგიური სადგური იყო. წითელი ხიდი ადრე შუაზე იყო გაყოფილი, ახლა კი მთლიანად იმათ მხარეზეა. კოდორში და შიდა ქართლში რაც დაგვემართა, იცით და ამაზე ჩვენი ხელისუფლება არაფერს ლაპარაკობს. ხელისუფლების მიერ იქმნება იმის შეგრძნება, რომ არაფერი მომხდარა შიდა ქართლი კი მხოლოდ ქვების გროვაა. არაფერია, როცა დავით გარეჯი მიაქვთ ან სოხუმი არასდროს არ ყოფილა, თურმე, ჩვენი ქალაქი. ამ ხელისუფლებამ მოახერხა საზოგადოებაში იმის ჩანერგვა, რომ არაფერია თუ რომელიმე ნაწილი დაიკარგა. და

**რით შედიხარ „ნატოში“, თბილისით და ქუთაისით? ე.ი. ამ განცხადებებით წინასწარ აძლევს „ნატოს“ იმის სიგნალს, რომ მზად ვარ შემოვიდე ერთი ქალაქით და დანარჩენი ტერიტორიები ჯანდაბას, ეშმაკსაც წაუღიაო.**

ფაქტობრივად, ხარის ტყავივით დაპატარავდით და ვინ დაიბრუნებს მთელ ამ დაკარგულ სივრცეს?! როგორ გამოვასწორებთ ამ შეცდომებს?! მხოლოდ ტერიტორიები კი არა, მთელი სამეურნეო-სამრეწველო სისტემები მიაქვს რუსეთს. გასაოცარია, ეს რომ არ ესმის საზოგადოებას და კიდევ ვიღაც ამბობს, რა გვიჭირს, ვშენდებითო.

**მიწა არის სამშობლო და შენი სამშობლო თუ არ გექნება, რაზე უნდა იაშენო? უსამშობლო ერი არ არსებობს და სწორედ სამშობლოს ვკარგავთ დღეს ჩვენ. სახელმწიფოს პრეზიდენტი დადის, ზეიმობს და შადრევნების გახსნა უხარია. ქართველ პარლამენტარებს რა უხარიათ?**



ნუთუ ვერ ხედავენ ამ დრამატულ ვითარებას? ვერ ხედავენ იგივე წიკლაური, ოჩიაური ან მალაშხია, რომ ნახევარი ერი აყრილია და გასულია საქართველოდან?! ამაზე გამუდმებით უნდა ყვიროდნენ ეს პარლამენტარები. საკუთარ ხალხს უნდა იცავდნენ, ხელისუფლებას კი არა.

**დღეს ჩვენ ცალკეული მოვლენების შეცვლას ვცდილობთ, ვიბრძვით ათასნაირი პრობლემის წინააღმდეგ, მაგრამ რეალურად ვერაფერს ვერ ვცვლით.**

მითოლოგიიდან დევების მაგალითი რომ ავიღოთ, ერთ თავს მოაჭრიდი, მეორე ამოვიდოდა, ორს მოაჭრიდი, ათი ამოვიდოდა. ხელისუფლება ხან ერთ პრობლემას გვიყენებს, ხან მეორეს და დაგვარბენინებს აქეთ-იქით. დავიწყოთ, თუნდაც, აზიზიეს მეჩეთის თემით, შემდეგ დავით გარეჯის პრობლემა და უამრავი სხვა. გაიქცევი იქით, გამოიქცევი აქეთ და ამიტომ არის ქვეყანაში სრული ანარქია. ვერ შევცვლით ვერაფერს ამ ცალკეული პროცესების წინააღმდეგ ბრძოლით. ჩვენ დროსა და მოვლენას უნდა ვებრძოლოთ ძირეულად, ისე, რომ დავინახოთ, სად არის მთელი ამ უბედურების „თევზისთავი“. ეს უნდა იყოს აქტიური, ფატალური ბრძოლა, **„დაკვრა სჯობს დალირებასა“**, რომ ამბობენ, აი ასეთი ან უნდა მოვიცადოთ კიდევ სხვა დროის ჩამოდგომამდე. მითიც გვეუბნება, რომ, როცა არ არის შენი დრო, გაჩერდი ცოტა ხანს, შეეფარე შენი სალოცავების კალთას და ისინი მიგანიშნებენ, როცა შენი დრო ჩამოდგება.

**მაგრამ ჩვენ ისიც არ ვიცით დღეს, რომელი დროა, მოცდის თუ მოქმედების?!**

**— პარლამენტი ახლა ქუთაისში გადადის, ხელისუფლების ეს ნაბიჯი ოპოზიციურად განწყობილი დედაქალაქიდან გაქცევად აღვიქვათ?**

— ფაქტობრივად, პრეზიდენტმა და ხელისუფლებამ უღალატეს დედაქალაქს, პროტესტი გამოუცხადეს მას. ქუთაისს სულ სხვა ფუნქცია აქვს, ის არ შეიძლება იყოს პირველი ან მეორე დედაქალაქი. მას თავისი კულტურული, ტრადიციული და მითოლოგიური ფუნქცია აქვს. მართლაც გენიალური ქალაქია ქუთაისი, მაგრამ დედაქალაქი თბილისია.

**მთელ ამიერკავკასიას უნდოდა თბილისი მისი დედაქალაქი ყოფილიყო და ახლა სააკაშვილს აღარ უნდა. იმიტომ, რომ შიში გაუჩნდა. წარმოიდგინეთ, უარი უთხრა მას ქალაქმა და განდევნა. მე რაც დავინახე, ის არის, რომ სააკაშვილის მმართველობა დასრულებულია დედაქალაქში, ის აღარაფერს აღარ წარმოადგენს ხალხისათვის.**

ისე, მე კიდევაც მიხარია პარლამენტი ქუთაისში რომ გადადის და ეს აბსურდული, არაფრისმაქნისი პარლამენტარები რომ მოშორდებიან აქედან. იქნებ მოვიდეს ნორმალური ხალხი და მერე აუცილებლად დაბრუნდება პარლამენტი დედაქალაქში. დღევანდელი პარლამენტი კი რას აკეთებს, ცვლიან კანონს, პრეზიდენტი დაამტკიცებს და ასე გრძელდება გამუდმებით. კონსტიტუცია არის კანონი სახელმწიფოს არსებობის და არანაირად არ შეიძლება მისი ცვლილება. ასეთი ტიპის ადამიანები როცა ხვდებიან ხელისუფლებაში, მხოლოდ საკუთარ ინტერესს და ამბიციას ხედავენ. ამიტომ გახდა ეს კორუმპირებული კლანი ასე უცებ მილიონერები. ერი მშიერია, ესენი გაზულუქდნენ. არც ერი ვარგა გაზულუქებული, მასა თუ გაძღა, იმასაც ეძინება მაგრამ, შიმშილმისჯილ ადამიანს მონური სინდრომი უჩნდება და სწორედ ამას ცდილობენ დღეს. ახლა ქართველი ხალხის ბრძოლა ძალიან მნიშვნელოვან ფაზაშია შესული. თუმცა ამავე დროს ერთგვარი ღალატის ტოლფასია იგივე „ახალი მემარჯვენეების“ და რამდენიმე სხვა პარტიის ქმედებები.

რა, არ იციან რატომ თქვა ივანიშვილმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი? სააკაშვილმა კიდევ ერთხელ დაარღვია კონსტიტუცია, ვითომც და ივანიშვილის გულისთვის, მაგრამ, თუ ივანიშვილი ამ კანონს დაემორჩილება, გამოდის, რომ ისიც არღვევს კონსტიტუციას. ამიტომ მან სამართლიანად თქვა უარი ამ კანონის გამოყენებაზე. თუ აქამდე ვინმეს არ სჯეროდა, რომ ის საქართველოს კანონიერი მოქალაქეა, ახლა ხომ სჯერათ, როდესაც თავად ხალხმა აღუდგინა რუსთაველზე მოქალაქეობა.

**— თქვენ დღემდე განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ ხევსურეთთან, როგორ უყურებთ ხელისუფლების ახალ იდეას სოფლების კომპიუტერიზაციასთან დაკავშირებით?**

— სკოლები ხომ გაიყვანეს რეალური სამყაროდან, ახლა უნდათ სოფელში, ისტორიულ სივრცეში ჩარჩენილი ხალხიც გაიყვანონ ბუნებრივი სამყაროდან. წარმოიდგინეთ, გლეხი რომ დაჯდება და ჰომოსექსუალთა და მეძავთა ვაკხანალიებს უყურებს, ხომ ყველამ ვიცით, რომ ის კომპიუტერით პამიდორს და კარტოფილს ვერ გაყიდის. წაართვეს ბაზარი და ახლა, თურმე, კომპიუტერში უნდა გაყიდოს. მცხეთა-მთიანეთში საქონელს ვერ დაკლავს გლეხი და ვერ გაყიდის. იმიტომ, რომ იქ გუბერნატორ ჩოჩელის კლანი მოქმედებს და ყველაფერი ამ ერთ კაცს უნდა ჩააბარონ. კომპიუტერიზაცია უშველის ახლა ამას? ამ თემაზე ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმიდან ლაპარაკი ნამდვილი მავნებლობაა. არავითარი კავშირი არ აქვს ამას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ზნეობრივ მისიასთან. ის საზოგადოება ავრცელებდა უფლის ენას, ქართულ ენას, ესენი კი ებრძვიან. როგორ უნდა აღადგინო სოფელი, თუკი გლეხი უკვე განდევნილი გყავს სოფლიდან და მიწა-წყალი გაქვს მისთვის წართმეული?! შენ ჯერ საფუძველს ანგრევ და მერე ამბობ, სოფლის მეურნეობა მინდა მქონდესო. უნდა აღდგეს ძველი გენოფონდი, ტრადიციული სამეურნეო სისტემები და ა.შ. აქვე მინდა ვთქვა, რომ ხელისუფლებას ყველგან ჰყავს ჩანერგილი მისივე ცნობიერების მატარებელი და ხელშემწყობი ადამიანები. ხევსურეთში პატარა სახელობო სკოლა გავაკეთე პატრიარქისა და მეუფე თადეოზის კურთხევით. მინდოდა გამომელვიძებინა იქაურ მოსახლეობაში ინტერესი და შეესწავლათ ხევსურული სამოსის მოდელების კეთება, ხატწერა, ოქრომკედი, ხევსურული ორნამენტები, თექა და ა.შ. მაგრამ ახლა იქ ვინმე მამა იოსები დაუკითხავად შეიჭრა და სრულიად სხვა წისქვილზე დაიწყო წყლის დასხმა. არ მინდა ახლა ამაზე ლაპარაკი. წარმოიდგინეთ, მღვდელი, რომელიც ასეთ რამეს ჩაიდენს. ხომ შეიძლება ის მომავალი ეპისკოპოსიც იყოს და არავინ იცის, როგორ იმოქმედებს სინოდის ისეთ მნიშვნელოვან შეკრებებზე, როგორიც პარლამენტის მიერ მიღებული კანონის დროს გაიმართა. სხვათა შორის, სწორედ ახლა ამოქმედდა პარლამენტის მიერ მიღებული ის დამანგრეველი კანონი, რომელმაც სინოდის გახლეჩა გამოიწვია თავის დროზე. კანონმა მისცა დღეს ქუჩაში მოქმედებების უფლება იაღოველებს, მამათმავლებს და სხვა უმცირესობებს. აქეთ ებრძვიან ისინი უმრავლესობას და ხმასაც ვერ გასცემ. გეტყვიან, ჩვენ ვართ მართალი, შენ მტყუანიო. **ერთი ხევსური ხევისბერი ამბობდა:**

**იცით, რა დრო დადგა, — მოვა მტყუანი, გეტყვის, მართალი მე ვარო და ვერ შეეწინააღმდეგებიო. ნახეთ, რა ხდება, ჰომოსექსუალები, პედოფილები და ათასი გაუკულმართებული ადამიანი გამოდის ჩვენს თვალწინ, პროცესიებს გვიწყობენ ქუჩაში. მათ დასაცავად კი საქართველოში დანიშნული ამერიკის „გუბერნატორი“ გამოდის.**

ეს არის მთლიანად უფლის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. ღმერთს ხომ არ დაუწესებია მსგავსი რამ. კი ბატონო, თავის სახლებში იყვნენ, ჩვენ იქ არ შევუცვივდებით, მაგრამ ჩვენ ნუ გვაიძულებენ დავემორჩილოთ მათნაირ სატანურ ვნებებს.

**ლელა არაბული**

# zurab bigvava:

# yvelaze cudi, rac SeiZleba moxdes, es aris xelisuflebis agresia sakuTari xalxis winaaRmdeg



„საერთო გაზეთის" სტუმარია ფსიქოლოგი **ზურაბ ბიგვავა**

**— ბატონო ზურაბ, რა ფსიქოლოგიური მომენტია, როცა, მაგალითად, ქვეყნის პირველი პირი — მიხეილ სააკაშვილი გამუდმებით იტყუება, ილუზორულ სამყაროში ცხოვრობს თვითონ და ასე სურს აცხოვროს მთელი ქვეყანა. ამბობენ და ისედაც ეტყობა, რომ მას სჯერა კიდევაც მის მიერ ნათქვამი ტყუილები.**

— ეს ბუნებრივია, რადგან ტყუილი, რომლისაც გჯერა, სათქმელად უფრო ადვილია და უფრო დამაჯერებელიცაა, ვიდრე ის სიტყვები, რაშიც თვითონაც გეპარება ეჭვი. ტყუილი, რომელიც თვითონ სჯერა ადამიანს, ძალიან კარგი ხერხია იმისთვის, რომ დამაჯერებლად ილაპარაკო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ილუზია, რომლის ტყვეობაშიც ხარ, ძალიან ხშირად წინ აღიმართება და გადაულახავ ბარიერადაც იქცევა.

ერთ შემთხვევაში ტყუილის მთქმელს შეიძლება ისე მოუვიდეს, როგორც ცრუს ერთ პატარა ქართულ ზღაპარშია — მგელი, მგელიო, იძახო და მართლა რომ მოვა მგელი, მის პირისპირ მარტო აღმოჩნდე და მეორე, სიმართლე არასდროს არ მალავს თავის თავს.

ფსიქოლოგიური მომენტი, დიახ, აქვს ამ ფაქტს — როცა ტყუილს ლაპარაკობს ადამიანი, ირგვლივ ყველაფერი საწინააღმდეგოდ იცვლება ბუმერანგის პრინციპით, მის მიმართ მსმენელის დამოკიდებულება უარყოფითად იცვლება. მაგალითად, როცა სააკაშვილი ამბობს — აშენდება ლაზიკა; რომ აშენდება, ეს გამოიწვევს უკმაყოფილებას.

**— ბატონო ზურაბ, შეიძლება სააკაშვილმა არ იცოდეს, რეალურად რა ხდება ქვეყანაში?**

— შესაძლოა, არც იცოდეს, რადგან სტრესულ მდგომარეობაში არის ახლა და მოსალოდნელია, უფრთხილდებოდნენ, არ გადავარდეს უფრო მეტ სტრესში და ეიფორიაში და ინფორმაციებს შელამაზებულად აწოდებენ. მაგრამ, მე ვფიქრობ, მან მაინც შესანიშნავად იცის, რა ხდება ქვეყანაში. ვინ როგორი დამოკიდებულებით არის მის მიმართ და როგორ იცვლება ეს დამოკიდებულებები თანდათანობით უარესობისკენ.

**— სტრესის მდგომარეობაში რომ არის, ეს დასკვნა იქიდან გამოიტანეთ, რაც ვნახეთ მახათას მთაზე?**

— თუნდაც. თუნდაც აქედან გამომდინარე, ცხადი გახდა ყველაფერი. მან ხომ შესანიშნავად იცოდა, რომ იქ იქნებოდა ხალხი და განტვირთვისთვის მიიღო, ვთქვათ, ალკოჰოლი ან სხვა რამე, არა აქვს ამას მნიშვნელობა. ასე რომ წარსდგა საზოგადოების წინაშე, ეს მიუთითებს იმას, რომ ცუდად არის ადამიანი და აი, ასეთ რისკებზე მიდის.

**— რამ უბიძგა აქეთკენ — ბოლოდროინდელმა საზოგადოებრივმა განწყობამ თუ ერთმა კონკრეტულმა ადამიანმა, რომელიც საზოგადოების მოთხოვნამ შექმნა თუ გამოაჩინა?...**

— საზოგადოების მოთხოვნა ნამდვილად იყო ის, რაც მოხდა ბოლო ხანებში და ეს იწვევს ზუსტად სტრესს. სტრესოგენური ფაქტორი განაპირობა მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ზრდამ.

ყველას გვახსოვს 2004 წელს როგორი დადებითი დამოკიდებულება იყო სააკაშვილის მიმართ. სამწუხაროდ, ჩვენ მიმნდობი საზოგადოება ვართ, საზოგადოებამ არ იცის დეტალები და ვერ აფასებს ზუსტად სიტუაციას. თუმცა, გასულ წლებთან შედარებით, ხალხი უფრო გათვითცნობიერებული გახდა და გაჩნდა მოთხოვნა, მიიღოს არა მხოლოდ დაპირება, არამედ რეალური შედეგი. ეს კრიტიკული აზროვნების დამკვიდრებისკენ მიუთითებს, რაც ძალიან დადებითი რამ არის.

**— 27 მაისმა, დამეთანხმებით, ძალიან ბევრი რამ აჩვენა. საპროტესტო მიტინგზე უამრავი ხალხი მივიდა, მათ შორის, შეიძლება, ის ადამიანებიც იყვნენ, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს არ უჭერდნენ მხარს, მაგრამ საპროტესტოდ იყვნენ განწყობილნი. ჩემი აზრით, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია.**





— მგონი, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან პროტესტის მატარებელ ადამიანში გახატკაცებულია იმედი, რომელიც ბიძინა ივანიშვილში განივთდა. და ეს, ზოგადად, პროტესტთან არის დაკავშირებული. ბიძინა ივანიშვილი მათ დაინახეს, როგორც მიზნების იდენტიფიცირების საშუალება, ივანიშვილი არის ხალხის წარმოდგენაში იმედების შემსრულებელი, ოცნების ამხდენი.

**— თუკი ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნება" გაიმარჯვებს და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უმრავლესობით მოვა ხელისუფლებაში, როგორ შეფასდება ეს მოვლენა, როგორც ერთი იდეოლოგიური მიმართულების გამარჯვება მეორეზე?**

— რასაც თქვენ მეკითხებით, ეს ძალიან რთული და ძნელად პასუხგასაცემი საკითხია. მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან სერიოზული საკითხი. რადგან ნელ-ნელა და ჩვენს თვალწინ, თანდათან იკვეთება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალა — ლიბერტარიანიზმი და ევროპული სოციალიზმი.

ბოლო ხანებში სააკაშვილის ქმედებები ლიბერტარიანიზმს საკმაო მანძილით დაშორდა. ეს ძალიან საინტერესო ფენომენია, იმიტომ, რომ აქამდე „თავისუფლების ინსტიტუტი", ჟურნალი „ტაბულა", რომელიც მთავარ ბეჭდურ იდეოლოგად ითვლება და წმინდა წყლის ლიბერტარიანულ აზრებს ქადაგებს, მთავრობა, ხელისუფლება და თვითონ სააკაშვილი ერთგვარ განსვლას, განცალკევებას ცდილობს ამ იდეოლოგიისგან.

**— მიზეზი?**

— მიზეზი შეიძლება იყოს, ერთი მხრივ ის, რომ, მათ იციან, რა მოთხოვნები არის ქართულ საზოგადოებაში და ამის გამო კოჭს უგორებენ საზოგადოებას არჩევნების წინ, და მეორე, აშკარად დაიწყეს თავიანთი იდეოლოგიური პოსტულატების გადაფასება. ყოველივე ეს, ცხადია, ამ ძალას უარყოფითად ახასიათებს.

**— ე.ი. საზოგადოების მოთხოვნას აჰყვნენ, თორემ შინაგანად არ ეთანხმებიან თავიანთ მოქმედებებს.**

— დიახ, ეს არის საზოგადოების მოთხოვნა, რომ რეფორმები არ იყოს მტკივნეული, არ იყოს ასეთი სწრაფი, რადგან ყოველივე ეს საზოგადოების, ხალხის ცხოვრებაზე და ყოველდღიურ ყოფაზე მტკივნეულად აისახება.

ის მიდგომები, რაც ხელისუფლებას აქამდე ჰქონდა, არ ითვალისწინებდა ადამიანურ ფაქტორს. ქართველები კი, როგორც წესი, იოლად ვერ ეგუებიან სიახლეს და ვერ ადაპტირდებიან რეალობაში. ამიტომ აქვთ აქცენტები ახალგაზრდებზე — 21 წლის პარლამენტარები, ახალგაზრდა მინისტრები და ა.შ. გახსოვთ, ალბათ, „უცნობი" რომ მღეროდა: მოვხსნით ყველა დირექტორს და ა.შ. და მოვალთ ჩვენ. იყო ასეთი სიმღერა, იდეოლოგიური ხასიათის, როდესაც ნაციონალები მოდიოდნენ ხელისუფლებაში...

დღეს, როცა არჩევნები ახლოვდება და უმრავლესობას ასეთი რამეები არ მოსწონს, შეცვალეს ტაქტიკა და, როგორც ზემოთ გითხარით, სხვანაირად დაიწყეს ლაპარაკი.

ღმერთმა ნუ ჰქნას და თუ ამათ კიდევ გაიმარჯვეს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თავიანთ ძველ ტაქტიკას არ დაუბრუნდებიან და უფრო სასტიკნი არ გახდებიან, ვიდრე იყვნენ.

**— ბატონო ზურაბ, დამეთანხმებით, ქართველს არასდროს ჰქონია წინააღმდეგობა ახალთან და პროგრესულთან, სააკაშვილმა, უბრალოდ, ძალიან, ასე ვთქვათ, მოუჭირა რკინის ხელი, თორემ ლავირების შემთხვევაში უფრო ნაკლებმტკივნეულადაც შეიძლებოდა რეფორმების გატარება, სიახლის შემოტანა...**

— სააკაშვილი გარდა იმისა, რომ თავის თავს დავით აღმაშენებელს ადარებს, სხვა დიდ ადამიანებსაც ბაძავს, მე ვფიქრობ, გულის სიღრმეში ის პეტრე პირველს ანიჭებს ყველაზე დიდ უპირატესობას. შეიძლება, ეს იყოს ალექსეი ტოლსტოის „პეტრე პირველის" გავლენით, რადგან პეტრე პირველის ტაქტიკის მიმართულებით მოქმედებს. ჩემი აზრით, ძალიან ბევრი ანალოგია აქვს პეტრე პირველთან.

მართალია, მას არასდროს უხსენებია ეს მეფე, მაგრამ, რომ არ უხსენებია, სწორედ ეს აღმიძრავს ეჭვს.

ადამიანი თვითონ განსაზღვრავს, ვის ბაძავს, თუმცა მიბაძვა არ გახლავთ, ზოგადად, დადებითი მახასიათებელი ადამიანისთვის. ნოუ-ჰაუ რომ აქვს პიროვნებას, ის ცდილობს სხვანაირად გააკეთოს, უფრო კრეატიული იყოს და ეს მისი ინდივიდუალურობის მიმანიშნებელია.

**— ე.ი. მათრახის პოლიტიკა, არა?**

— მართალია, პეტრე პირველი სასტიკი მმართველი იყო. თავისი ხელით ცულით თავს ჰკვეთდა ადამიანებს. იმ პერიოდში მოხდა ე.წ. „სტრელცების" აჯანყება... და ეს არის რეალობა, სერიოზული რეალობა, რომელსაც დღეს რუსეთის ისტორია ნეგატიურად აფასებს.

**— მაგრამ მან „გაჭრა ფანჯარა ევროპაში"...**

— კი, მაგრამ, ღირს ევროპისკენ სვლა იმ ტანჯვად და უბედურებად, რაც ყველაფერმა ამან მოიტანა?! დღეს კუნძზე თავს ვერავის ვერ გააგდებინებ, რადგან მსოფლიო აღდგება ამის წინააღმდეგ, თუმცა ჩვენს რეალობაში არის უამრავი უდანაშაულოდ დაჭერილი, დაჩაგრული ადამიანი... ეს გემოვნების საკითხია, როცა ხელისუფლებაში ხარ, მოქალაქეს არაფერი დაუშავებია და რაღაც სპეციალიზირებული სასამართლოთი სტანჯავ, ეს არ არის არავითარი პროგრესის მაჩვენებელი.

**— ხშირად მომისმენია: რაც დაგვემართა, იმის ბრალია, რომ ბევრი შეცდომა დავუშვით 80-იანი წლებიდან მოყოლებული, მართლაც ჩვენი შეცდომების ნაყოფს ვიმკით?**

— ჩვენ შეცდომები გვქონდა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია, შეცდომები მოჰყვება ახალ პოლიტიკურ რეალობებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველაფერი კეთილი დასასრულისკენ მიდის.

**— გამოდის, რომ გავიარეთ სულიერი უდაბნო და აწი, შეიძლება, ოაზისიც გამოჩნდეს?**

— უდაბნო არ ვიცი, მაგრამ, სინათლეს აშკარად ვხედავ გვირაბის ბოლოს, მივაღწევთ იქამდე თუ არა, არ ვიცი, მაგრამ გამოჩნდა „სინათლე ჩვენს ფანჯრებში".

**— ჩვენ ზემოთ იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე ვსაუბრობდით, თქვენი აზრით, მოსალოდნელია თუ არა ფიზიკური დაპირისპირება იდეოლოგიურ ნიადაგზე?**

— გამორიცხული არაფერი არ არის, მაგრამ ასეთ საკითხებზე წინასწარი პროგნოზის გაკეთება, ჩემო ირანდა, ძალიან რთულია. ყველა ვთანხმდებით, იმაზე, რომ ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, ეს არის აგრესია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ არა მგონია, ასე მოხდეს. ჩემი აზრით, ხელისუფლება ფიქრობს საკუთარ მომავალზე, რაც ასეთ შემთხვევაში, სახარბიელო ნამდვილად არ იქნება.

**ირანდა კალანდაძე**

# mmarTvels, romelsac sakuTari dedaqalaqi ar uyvars, ar SeiZleba sakuTari qveyana uyvardes

საქართველოს პრეზიდენტის, ბატონი მიხეილ სააკაშვილის ზეაღმატებული პერსონის არასდროს მესმოდა. არც მაშინ, როდესაც „ახალგაზრდა რეფორმატორი“ ერქვა, არც მაშინ, როდესაც იუსტიციის მინისტრი იყო, არც მაშინ, როცა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, არც მაშინ... მოკლედ, არასდროს, — რა ჩამოთვლის, „მოქალაქეთა კავშირობიდან“ დაწყებული, რამდენი რამე იყო და არის. მისი ყველა „პოხონდრიისთვის“ რაღაც გამამართლებელი შეიძლება გამოეძებნა მისადმი ლოიალურად განწყობილ ადამიანს, მაგრამ ახლა მთლად გადაირია და გადარია მსმენელი, ისეთი მონოლოგები წარმოსთქვა ქუთაისში. კი უნდა გადარეულიყო, წინა დღეს უწმინდესმა დასცა ბეჭებზე, როდესაც უარი უთხრა ქუთაისში გადატყორცნილი პარლამენტის კურთხევაზე და მეორე დღეს ხალხი და ივანიშვილი რომ დასცემდა, როგორც არასდროს, ისე ღრმად იყო დარწმუნებული.

საკვირველია, მაგრამ ბატონ პრეზიდენტს (და მის ამალას) რატომღაც ჰგონია, რომ მხოლოდ ერთი მუჭა ხალხია, ვისაც ვერ ატყუებს და ის ხალხი თბილისში, ისიც, ერთ ქუჩაზე და ერთ უბანში ცხოვრობს, ქუთაისში (გორში, ხაშურში, თელავში, ახმეტაში, წყალტუბოში, ზუგდიდში და ა.შ) კი, ისეთი გულუბრყვილოები არიან, თუ იტყვის თეთრზე, შავიაო, დაიჯერებენ.



პრეზიდენტსა და მის ამალას აქვს მოკლე მეხსიერება, თორემ „ერთ მუჭა“ თბილისელებს და მთელ ქუთაისს არ დავიწყებია დედა-შვილის დაღუპვა, როდესაც იმავე ქუთაისში დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალს აფეთქებდნენ;

არც ის დავიწყებიათ, გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცდადებული, პრეზიდენტად წოდებული კაცი, როგორ დაარბენინებს წმინდა მეფის ძეგლს აღმა-დაღმა, როგორ ვერ მოიშორა საუკუნეების გადმოსახედიდან „დიდებაზე“ შემცილებელი მეფე; როგორ ამჯობინა კოპროლალი კამოს ველოსიპედის დედაქალაქის ცენტრში დადგმა და წმინდა მეფის ძეგლის გაძევება ქალაქის შემოსასვლელში, თითქოსდა, ძველი დროების ავტოინსპექტორი იყოს, ან ქუთაისში, აღმაშენებლის მოედნიდან რკინიგზის სადგურის მოედანზე, „გადაბრძანება“ თითქოსდა ძველი დროების მეისრე იყოს...

პრეზიდენტსა და მის ამალას აქვს თვალი დაბრმავებული, თორემ, იმ ერთმა მუჭა თბილისელებმა კარგად დაინახეს, რომ აღლუმზე, რომელიც ახლადგახსნილი პარლამენტის წინ მიმდინარეობდა, მხოლოდ ორი დროშა ფრიალებდა: ხუთჯვრიანი, „ნაციონალური პარტიისაა“, რატომღაც ქართულად წოდებული და თურქული, ვარსკვლავ-მთვარიანი;

საძულველმა ერთმა მუჭა ხალხმა ისიც შენიშნა, თურქეთის დროშის ფრიალზე ორაზროვნად რომ „გოდებდა“ უკვე სასპეკულიანტოდ ქცეულ სიმღერას პრეზიდენტის მედალოსანი თუ ორდენოსანი ზუმბა „ერთი ცა გვაქვს, ერთი მზე და ერთი ზღვაო“...

ქართველი, თუ ის მართლაც გენეტიკურად ქართველია, ვერასდროს მოინელებს „დიდთურქობას“!

საქართველოს 10 000 კვ. კილომეტრი დასაკარგი ფართობი და 350 000 ძუძუდან მოსაწყვეტი ქართველი სად ჰყავდა, მაგრამ თავსმოხვეული „მშვიდობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულებით, უარესი პირობებით, ვიდრე „ბრესტის ზავი“ იყო, ასე დაგვიკანონა თურქეთმა — ეს როგორ უნდა დაგავიწყდეს! თურქეთის დროშას როგორ უნდა უპატაკო ქართველმა ჯერ ზოგადად და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, თუ მართლა ქართველი ხარ!...

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ასე ბრძანა: ჩემი საყვარელი გმირი მუსტაფა ქემალ ათა თურქი იყოო და ისე ევლება თავს სომეხთა ამომჟლეტელ ერს, ერთი არ შეუტოკდა რომელიმე გენი, თითქოსდა, მხოლოდ საქართველოს ჰქონდეს საგლოვი დიდი თურქობა;

თუ გავრცელებულ ხმებს დავიჯერებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამბობს, ჩემი „მოშორების“ შემთხვევაში აჭარას აუცილებლად წაიღებს თურქეთიო, თუ ზედ დავურთავთ საქართველოს პარლამენტის სასწრაფოდ და „რატომღაც“ ქუთაისში გადატანას და უმთავრესს, რომ 2013 წელს თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიული გახდება საქართველოსთვის „აგრერიგად სანუკვარი ნატო-ს“ გენერალური მდივანი და ამ პოსტზე ანდერს ფოგ რასმუსენს შეცვლის, ყველაფერი მძივივით აესხმება ერთმანეთზე.

ამას, ყველაფერს, პრეზიდენტისა და მისი ამალის აზრით, მხოლოდ ერთი მუჭა ხალხი ხვდება ერთ ქუჩაზე — არა, ბატონებო, ვერ გაყოფთ საქართველოს ლიხს აქეთ, არალეგიტიმურ საქართველოდ და ლიხს იქით, ნატო-ში შესულ თურქეთის ვილაიეთ გურჯისტანად!!!

როგორც ვთქვით, ბატონ პრეზიდენტს (და მის ამალას) რატომღაც ჰგონია, რომ ქუთაისში პარლამენტის გადატანაში რა აზრია ჩადებული, ან რის თადარიგს იჭერს, ამასაც მხოლოდ ერთი მუჭა ხალხი ხვდება და ისიც თბილისში და ერთ ქუჩაზე, ერთ უბანში.

ველარ ასახელებს ღიად ბატონი პრეზიდენტი იმ ერთ ქუჩას და ერთ უბანს, რადგან, ალბათ, დაარიგეს, აღარ გაიმეოროო, თორემ იმ ერთ მუჭა ხალხს, რომელზეც ასე ღვარძლით საუბრობს, წელიწადნახევრის წინ ხელს აღებდა პირდაპირ, ვერელები და ვაკელები ერქვათ. თავდაპირველად „პლეხანოველებსა“ და რუსთაველზე მცხოვრებლებს წაჰკბინა, მაგრამ შემდეგ, პირდაპირ და არაერთხელ მისდგა ვაკელებსა და ვერელებს. მისი საუბრიდან ისე გამოდიოდა, რომ თითქოს ვერელები და ვაკელები მომხდური თურქ-სელჩუკები იყვნენ, ხოლო ვარკეთილელები და ვაზისუბნელები მათგან დაჩაგრულ-დაბეჩავებული ადგილობრივი მცხოვრებლები.“



მაშინ ვთქვი, დავწერე და ახლაც გავიმეორებ უპირველესად, როგორც ქართველი, შემდეგ, როგორც თბილისელი და შემდეგ როგორც ვაკელი, რომ „ვაკელები“ და „ვერელები“ არავის ჩამოუყალიბებია ცალკე კასტად. პრეზიდენტისთვის საძულველი ორივე უბანი, არცთუ დიდი ხნის წინ, ისეთივე გარეუბანი იყო თავდაპირველად, როგორც დღეს რომელიმე გარეუბანია და კიდევ უფრო გარიყული. მახსოვს, ცხონებულმა ვახუშტი კოტეტიშვილმა მითხრა მასთან სტუმრობისას: ჩვენი ნათესავები დღევანდელი ჭავჭავაძის პროსპექტზე, დაახლოებით „ლეჩკომბინატთან“ ცხოვრობდნენ და კვირაობით მათთან წასვლას რომ გადაწყვეტდნენ უფროსები, წინა დღეს გვამზადებდნენ ბავშვებს, ქალაქგარეთ მივდიოდით, წინ დიდი გზა გვედო. იმავე პერიოდზე ბებიაჩემს აქვს მონათხრობი, ქათმები სახლში შემოგვყავდა ღამით, ტურები ეზოში შემოგვკიოდნენო...

„ვარდების რევოლუციის“ იდეალი ყოფილა, ის, რომ დაემთავრებინათ საზოგადოების დაყოფა ელიტად და უბრალო ხალხად — მსგავსი თვალში ნაცრის შეყრა იშვიათია!

იქუხა პრეზიდენტის ამ ფრაზაზე არაელიტარულმა ტაშმა არაელიტარულ ნაცმოპარლამენტში!

მათ ვინლა ჩივის, ტაშისკვრისგან იმ თოთხმეტ იერარქსაც გაუხურდა ხელისგულები, იმ მეუფეებს, რომლებიც პატრიარქის უკურთხებელ პარლამენტში ისხდნენ იმ 70 პარლამენტარის გვერდზე, რომლებიც ერთად და სათითაოდ დასწყევლა მამა ბართლომემ.

ვისკენ იშვერს მოუსვენარ საჩვენებელ თითს პრეზიდენტი!

მხოლოდ ხალხის (ანუ მამალი ნაცმოელების) ელიტარულ ფენად გამოცალკევება კი არა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „ელიტარული კორუფციის“ ცნება გაჩნდა და კიდევ უარესი, რომ „ელიტა“ სწორედ რომ იმ ერთ მუჭა ხალხს დაერქვა, რომელთაც ამ სიტყვის მნიშვნელობა მიახლოებითაც არ იციან. სწორედ რომ იმ ნამდვილ „ელიტას“ ვერ იტანს პრეზიდენტი და მისი ამალა, იმიტომ ესობათ თვით ეს სიტყვა გულზე, რომ მათთვის მიუღწეველი სიმაღლეა. მათი „ელიტა“ ხომ მხოლოდ დროებით აღზევებულთა უკანალზე მკოცნელის მოვალეობის შემსრულებლები არიან და არ არის განსაზღვრული, თუ რა ფორმით აისახება ეს ქმედება: შემოქმედებით, პრეზიდენტის ყველანაირ სიგიჟეზე თანხმობაში თუ პირდაპირი მნიშვნელობით.

ნებისმიერი ქვეყნის მმართველი, პრეზიდენტი, მეფე, იმპერატორი თუ ვინც გინდა იყოს, საკუთარი ქვეყნის დედაქალაქს და თანამოქალაქეებს აუგად მოიხსენიებდეს, ასეთი არაფერი მსმენია!

**ისე მეტი როგორღა თქვას? კაცი, ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი, პირდაპირ ამბობს, რომ მისთვის დედაქალაქი არ არის თბილისი. ამის მთქმელი კაცისთვის, ბუნებრივია, ვერაფრით იქნება საქართველო დედა-სამშობლო!**

ღმერთო დიდებულო! განა ვინ ებღაუჭება შარვლის ტოტზე, არიქა, არ მოგვატოვოო, წაბრძანდეს იმ ქვეყანაში, რომელსაც სამშობლოდ მიიჩნევს და იმ ქვეყნისავე დედაქალაქი ჰქონდეს საფოფინო!

„შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენი ყველა რეფორმა, იქნებოდა ეს განათლების თუ სხვა სფეროებში, მიზნად ისახავდა რეგიონებში, საქართველოს სოფლებსა და დაბებში, თბილისის გარეუბნებში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების აღსაჭურვად ისეთი შესაძლებლობებით და უფლებებით, რომელიც ადრე მხოლოდ ერთი პრესტიჟული უბნის მაცხოვრებლების პრივილეგია იყო,“ — ბრძანა მისივე სიტყვებით „ისეთმა ადამიანმა, თბილისში დაბადებულმა, რომელიც, ალბათ, თბილისის ცენტრში მოკვდება“, პრეზიდენტმა ქუთაისიდან, პრესტიჟული უბნებიდან შორს მყოფმა.

საქართველოსთვის მრავალგზის ავისმოსურნე საქართველოსა-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ვე პრეზიდენტმა ბოლო დროს საავადმყოფოების აშენება და გახსნა აიჩემა — ნეტავ, ვის აწვენს იმ საავადმყოფოებში და ვის ხარჯზე, სახელმწიფოს ხარჯზე? სწორედ ორიოდე დღის წინ მოვისმინე „ნაცმოელი“ ექიმის მიერ ნათქვამი პასუხი კახი კახიშვილის შეკითხვაზე, რომ მათ კლინიკაში, ასე ვთქვათ, მარტივი თაბაშირის დადება 200-250 ლარი ღირს...

ამდენი სამკურნალო დაწესებულების გახსნა ბევრ ე.წ გონივრულ ეჭვს ბადებს, რაც მხოლოდ საომარ მოქმედებასა და საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების დარბევებს უკავშირდება, მოკლედ რომ ვთქვათ, სისხლსა და სიკვდილს...

ქუთაისში, მორიგი საავადმყოფოს გახსნაზე გაციებული იყო პრეზიდენტი. ალბათ, საქართველოდან შვედეთში (უწმინდესთან), შვედეთიდანდისევ საქართველოში („დამზადებულია საქართველოში“ დასასწრებად თბილისში), თბილისიდან ქუთაისში (ალღუმის მისაღებად და პარლამენტის გასახსნელად), ქუთაისიდან ბათუმში (რა დაარქვეს ამ გასეირნებას არავის აინტერესებს) და ბათუმიდან ისევ ქუთაისში გადმოფრენისას, ქარი ძალუმად შეუფრინდა თავის არეში.

მართალია, ბრძანა, დღეს არ ვაპირებ ამ კლინიკაში დაწოლასო, მაგრამ დასძინა, მომავალში, თქვენც, მინისტრებიც, მეც და მილიონერებიც ერთნაირ პირობებში და ერთნაირ კლინიკებში ვიწვებითო. უწყინარი წინადადებაა, მაგრამ არსია მთავარი — „თქვენ იცით, რომ აქ არის პრომეთეს მღვიმე. იდეა რა არის, რომ ამირანმა მოსტაცა ღმერთს ცეცხლი და მისცა ხალხს — ჩვენ პოლიტიკური ძალაუფლება გამოვტაცეთ ერთი და იგივე ქუჩაზე მცხოვრებ ერთი და იგივე ხალხს, ცხვირაწეულებს ასეთს (ისე აიზიდა ცხვირის ნესტოები, კინაღამ აიხია), რომელთაც არ უყვარს არც ქუთაისელი, არც ზუგდიდელი, არც საგარეჯოელი, არც გორელი, არც გლდანელი, არც ვარკეთილელი, არც ვაზისუბნელი და უფრო მეტიც, არც თავისი მეზობელი, არც გვერდზე სკოლელი და არც თავისი თავიც მაინც და მაინც არ უყვართ, არავინ არ უყვარს და მთელი ცხოვრება ზემოდან ქვემოთ დაჰყურებდნენ თავის ხალხს, მაგრამ იმათ ხელში იყო. იმ ქუჩაზე ცხოვრობდა ყველა, იმ ქუჩაზე იყო პარლამენტი, იმ ქუჩაზე იყო ყველა უნივერსტეტი, იმის გარშემო იყო ყველა საავადმყოფო და იმათ ხელში იყო ყველაფერი კონცენტრირებული. პარლამენტის ქუთაისში გადმოსვლით პოლიტიკური ხელისუფლება გამოვტაცეთ ამ ჯგუფის იმ ადამიანების“, — ბრძანა პრეზიდენტმა და განაგრძო ტირადა ისე, რომ რეაქცია არ ჰქონდა, როდესაც მის წინ, სამიოდე მეტრში, მოზარდს გული შეუწუხდა და ჩაიკეცა.

„იმ დღეს, ერთმა ჩემმა მეგობარმა მინისტრმა, რომელიც პირველად იყო ამ შენობაში (იგულისხმება პარლამენტის შენობა ქუთაისში), ცოტა უხეშად სთქვა და ამიტომ არ გავიმეორებ, მაგრამ სთქვა, რომ „აქედან გადამსვლელის იქითო, უკან დამბრუნებლის...“

ვაი, შენს თავს, ბატონო პრეზიდენტო, მინისტრები თუ თქვენი, ანუ პრეზიდენტის თანდასწრებით ასე ლაღად ბილწსიტყვაობენ და უი, ჩვენს თავს, რომ ცალკე, პირში გინების მომთმენი პრეზიდენტი ჰყოლია საქართველოს და ცალკე, გაუზრდელი და უზრდელი მინისტრები — ამიტომაცაა საქართველოს საქმე ისე, როგორც იმ თქვენმა „ძალად მეგობარმა“ მინისტრმა დაგიბოლოვათ.

ცოტა ხნის წინ, პრინსტონის უნივერსიტეტში ლექციის წაკითხვისას, ბატონმა სააკაშვილმა საკუთარ არსებობას ანომალია უწოდა, საქართველოს გადარჩენას კი, საოცრება. პრეზიდენტმა „საოცრება“ განმარტა, პატარა საქართველომ გაუძლო ასზე მეტ განსაცდელს დიდი სახელმწიფოების მხრიდანო, მაგრამ არ განუმარტავს რატომ არის ანომალია თვითონ. ანომალიაა — კვერს უკრავს მსოფლიო და არც არავინ ედავება.

გლახაკს რომ ქილა ერბო მისცა ღმერთმა, ისიც კი ქვას მიანარცხა...

განა იგივე ბედი არ ეწევა ბადახშისთვლიან ბაჯაღლო ოქროს ბეჭედს ნებისმიერი გლახაკის ხელში, რომელმაც მისი ფასი არ იცის?

გლახაკს რა გამოლევს ყველა დროში, მაგრამ მაინც:

„საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო,
და თბილისი შიგ ჩასმული ბადახში“...

**მაია ქელიძე**

# vin moigebs oms socialur qselSi?



***„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფეისბუქის ვირტუალურ თანამოაზრეთა, „უსაფრთხო პროტესტის“ ჯგუფის ადმინისტრატორ-შემქმნელი, ქიმიკოსი, სამი შვილის მამა ვასილ ტაბიძე.***

**— ვასიკო, „უსაფრთხო პროტესტის“ მოწოდებით, ხელისუფლებისადმი პროტესტის ნიშნად, ღამის 10 საათზე 10 წუთით შუქი უნდა ჩაგვექრო; იყო იდეა, რომ ფეისბუქის მომხმარებლებს გაევრცელებინათ მოწოდება „მიშა, წადი!“ თქვენგან წამოვიდა იდეა, ჩატარდეს დიდი კონცერტი რეჟიმისადმი კრიტიკულად განწყობილი მუსიკოსების მონაწილეობით და ა. შ. რატომ მოგივიდათ აზრად ასეთი ჯგუფის შექმნა?**

— „ფეისბუქი“ კომუნიკაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის და ამ ფორმით ვცადეთ ხალხში შიშის სინდრომის ერთგვარი დაძლევა. ხომ გესმით, ადამიანს სათქმელი აქვს, მაგრამ ეშინია ქუჩაში გამოსვლის... ქუჩაში გამომსვლელი აღარავინ იყო და რაღაც ფორმა ხომ უნდა ყოფილიყო, რომ საერთოდ არ გამქრალიყო პროტესტის გრძნობა, რომ ადამიანები არ ჩაკეტილიყვნენ საკუთარ ნაჭუჭში და ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს იყო უსაფრთხო პროტესტი. ამ ფორმით ადამიანებს მიეცათ საშუალება გამოეხატათ თავიანთი პროტესტი არსებული ხელისუფლებისადმი, დალაპარაკებოდნენ ერთმანეთს, რეალურად შეხვედროდნენ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ივანიშვილის გამოჩენამდე, სანამ იმედი საერთოდ გამქრალი იყო, ვცდილობდით რაღაცნაირად დავხმარებოდით ხალხს აბსოლუტურად უამბიციოდ. რაც ივანიშვილი გამოჩნდა, ძირითადად, ხალხის ინფორმირებაზე გადავედით, რომ სწრაფად, ეფექტურად და რაც შეიძლება ბევრ ადამიანს მივაწოდოთ ახალი და საინტერესო ამბები, რასაც ნაციონალური მაუწყებლებიდან ვერ გებულობენ. მუდმივი აქტივობიდან გამომდინარე, ჩვენი ჯგუფი ერთი წლის იუბილეზე უკვე 6 400 წევრისგან შედგება და ერთ-ერთი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფია ქართულ ფეისბუქში.

ისეთი დრო გვიდგას, რომ ყველანაირი შეზღუდვა აქვს ადამიანს, აზრის გამოხატვაც კი არ შეუძლია, ფაქტიურად, გადასულები ვართ ტოტალიტარიზმში და დიქტატურაში.

**— ვასიკო, თვეების წინ, ბატონი ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა პირდაპირ დააკავშირე იმედთან. გასულ კვირას ვნახეთ 27 მაისი; როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობაში ღრმად ჩართულ ადამიანს, რა დასკვნის გამოტანა შეგიძლია.**

— ეს იყო ემოციურად დატვირთული დღე. მე, პირადად, სიმართლე გითხრათ, არ ველოდი ამდენ ხალხს, ვფიქრობდი, ჰა და ჰა, 70 000 კაცი გამოვიდეს საარჩევნო კამპანიის გახსნაზე-მეთქი, მაგრამ გამოვიდა და გამოვიდა. ხალხი არ ლაპარაკობს ხმამაღლა, არადა, უფრო, თვითშემოქმედება აქვთ სამსახურებში, თვითონ გამოიდებენ ხოლმე თავს. ბატონი ბიძინას ფაქტორმა სიფრთხილე დააძლევინა ხალხს და არა შიში, გადაალახვინა სიფრთხილის ბარიერი და გადმოიღვარა 27-ში.

**— ხელისუფლების მეხოტბეების გათვლით 30 000-იდან 50 000-მდე ადამიანი მისულა იმ დღეს ბატონი ბიძინას მხარდასაჭერად...**

— ხელფასით თუ არიან დავალებულები ან რაიმე გამორჩენის ინტერესი აქვთ, რა თქმა უნდა, ნაკლებს დაინახავდნენ — სიმრავლისგან ხალხს გული უწუხდებოდა, ბატონი ბიძინა ნახევარი საათი ვერ შემოდიოდა, ვერ არღვევდა ხალხის რიგს, ხალხს კი, გასანძრევი ადგილი არ ჰქონდა, ვერ იწეოდნენ გვერდზე.

**— 7 ივნისს ქუთაისში იყო დაგეგმილი „ქართული ოცნების“ აქცია, მაგრამ კონცერტის გამო უარი მიიღეს მერიისგან, მოედანი დაკავებულია, ბალახვანზე, კი ბატონოო. რა სვლაა ეს, მუდმივად კონცერტი ხომ არ იქნება მოედანზე...**

— ვითომ ჭადრაკია, ერთი სვლა აქედან იყო, მეორე იქიდან — რა ქნან, სხვა ვერაფერი მოიფიქრეს, არადა, რაღაც ხომ უნდა იბოროტონ. იცით, თბილისმა რა მუხტი მისცა ქუთაისს? — ამიტომ დაბლოკეს მოედანი ხელოვნურად, მაგრამ თქვენი თქმისა არ იყოს, როდემდე? როგორც წელიწადის დროებს ვერ შეაჩერებენ, ისეა ამ შემთხვევაშიც.

**— თქვენ ამბობთ, რომ ფაქტიურად, ტოტალიტარიზმში და დიქტატურაში ვართ, აქედან გამომდინარე, რა საჭიროა თავის მოტყუება იმით, რომ არჩევნები მართლაც არჩევნები იქნება, რა მონაცემები დაიდება, ხომ ცხადია.**

— დიახ, ხელისუფლების დასმული საარჩევნო კომისია არ დადებს იმ მონაცემებს, რაც ნამდვილად ასახავს ხალხის არჩევანს, თორემ, რა იმედიც იყო, იმაზე დიდი იმედი გახდა ბატონი ბიძინა. მარტივია, სხვა იმედი არც ჩანს, რომ მასზე გადართულიყო. საერთოდ, იმედი ისეთი რამ არის, რაღაც რომ გაგიჩენს, იმის მოკვლა ძალიან ძნელია, ყველანაირად ებღაუჭები. როცა ასარჩევად გაქვს, ან იქით წახვალ, ან აქეთ, მაგრამ ივანიშვილის გარდა, სხვა იმედი არ გამოჩენილა და რაზე უნდა გადართულიყო საზოგადოებრივი განწყობა. გარდა ამისა, სად ილაპარაკოს ხალხმა? — არჩევნები რომ მოახლოვდება, თავიდან დაიწყება აქტიურობა.

**— გამოდის, ბატონი ივანიშვილის ფაქტორმა ხალხს შიში დააძლევინა?**

— ამდენ ათას კაცთან ურთიერთობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, იმდენად არ ეშინიათ, რამდენადაც ფრთხილობენ. მართლა ასეც არ არის, რომ დაშინებული იყოს მასა, ეს ლაპარაკი მუშაობაა დაინტერესებული მხრიდან. მითად არის გავრცელებული ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან, რომ ყველას უსმენენ და ყველას აკონტროლებენ, მაგრამ როდესაც დაიდება არჩევნების შედეგების საეჭვო მონაცემები, ამას უნდა მოჰყვეს პროტესტის პროცესი. ხომ ფაქტია, რომ ხალხი უკვე წამსვლელია არჩევნებზე.

**— მაშასადამე, გამოდის, ხალხს მზადება უნდა ჰქონდეს ე.წ ქუჩაში გამოსვლაზე?**

— პრინციპში, მხოლოდ მასე თუ წავლენ...

**— კი, ბატონო, მაგრამ საკუთარი ხალხის არაერთხელ სისხლისღვრით სასტიკად დამრბევი ხელისუფლება, ხალხის შეძახილით უსიტყვოდ დაიხურავს ქუდს და წავა?**

— დაუკვირდით, სისხლისღვრაო რომ ვამბობთ, რა რაოდენობის ხალხთან ჩაატარეს — ცოტა ხალხთან მაგრები არიან. აბა, გაიხსენეთ, როცა ათიათასობით ადამიანი იყო გამოსული, სიახლოვეს გაეკარნენ? — ამაზე აშკარად „ტორმუზი“ აქვთ და ეს დიდი პროტესტი უნდა აგორდეს, როდესაც გაყალბების ფაქტები დაიდება. იმ რაოდენობის ხალხთან, რამდენიც 27-ში იყო, 500 000 პოლიციელი უნდა გამოეყვანათ დასარბევად...

საზოგადოებას ჰქონდა ლიდერის მოთხოვნა? — ლიდერი არის! ხმამაღალი განცხადებების გარეშეც ფაქტია (სათითაოდ არ ჩამოვთვლი პოლიტიკურ პარტიებს), რომ ივანიშვილი ყველამ აღიარა ლიდერად.

**— ვასო, დიდი ოჯახი გყავს, დოქტორანტურა — მისახედი, მაინც ამხელა საინფორმაციო ბრძოლას ეწევი...**

— სწორედ იმიტომ, რომ ქვეყანა, სადაც ჩვენმა მომავალმა უნდა იცხოვროს, ქვეყანა იყოს. ელემენტარულად, ისეთი განათლება რომ ყოფილიყო, რაც ახლა არის, დავრჩებოდი განათლების გარეშე.

ხალხმა ბევრი რამ არასწორად იცის, სჯერათ იმის, რასაც აწვდიან, ამიტომ, ჩვენ ყველაფერზე ვაძლევთ სწორ ინფორმაციას, ხომ უნდა გააგებინო სხვას, რომ ატყუებენ? ჩვენ ვაკეთებთ ჩვენსას, ამათაც ვეუბნებით, რომ მომზადებული ხალხი უნდა ჰყავდეთ, განათლებული. პატარა გოგობიჭები, შეიძლება, სტადიონზე გამოადგეთ, მაგრამ საარჩევნო უბნებზე მომზადებული, წერა-კითხვისა და დათვლის მცოდნე, აქტიური ხალხია საჭირო.

**— სოციალურ ქსელს რომ დიდი არაფერი მნიშვნელობა ჰქონდეს საზოგადოებრივი აზრის შექმნაში, ბატონი სააკაშვილი გაჯიბრებას არ დაუწყებდა ბატონ ბიძინას, ხომ ხედავთ რა ამბავი აქვთ „ნაცებს“ ატეხილი სააკაშვილის გვერდის „დალაიქებაზე“, აქაოდა, ივანიშვილი მისწრებსო.**

— სხვათა შორის, 26 მაისის დარბევას მოჰყვა, ტერორმა ვირტუალურ სივრცეში გადმოიყვანა ხალხი და მერე, რაც ივანიშვილი გამოჩნდა, ფეისბუქზე ხალხმა მოიმატა, უფრო გაიზარდა სივრცე, ნეიტრალური ხალხიც ნელ-ნელა ჩაერთო.

ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ მიშას გვერდიც გაიხსნა, მიხვდა, რომ ხალხის აზრის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ არის სოციალური ქსელიც და მიდის ომი.

სხვათა შორის, არის ადამიანთა კატეგორია, რომლებიც მხოლოდ კითხულობენ ჩვენს ინფორმაციებს, თვითონ არ ერთვებიან, ან შეშფოთებას გამოთქვამენ, რას შვრებით, არ დაგიჭირონო და მხოლოდ მკითხველის პოზიციაზე დგანან. ჩვენ ვფიქრობთ, ესეც საქმეა, რადგან ტვინს თუ გაანძრევენ, მიხვდებიან, რომ ის, რაც ეტაპობრივად მიდის, კვანძის გახსნით უნდა დამთავრდეს. ბოლო-ბოლო, არჩევნებზე რომ უნდა მივიდეს და „ნაციონალები“ არ შემოხაზოს.

არჩევნები ფრონტის ის ხაზია, რომელიც რამენაირად უნდა გადავლახოთ. იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება, თუმცა, მაინც მგონია, რომ ქუჩაში გამოსვლა და ჩვენი ხმების დასაცავად ბრძოლა მოგვიწევს.

**მაია ქელიძე**



## zaqaria qucnaSvili:

# axali sakonstitucio cvlilebebiT iusticiis saministros monstrad gadaqcevas apireben

*საქართველოს უშიშროების საბჭოსთან არსებულმა უწყებათაშორისმა კომისიამ რამდენიმე კვირაა, რაც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით მუშაობა დაიწყო. „კომისიის ერთ-ერთი წევრი „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" საინიციატივო ჯგუფის წევრი, უფლებადამცველი ზაქარია ქუცნაშვილიცაა. გააუმჯობესებს თუ არა კომიიის მუშაობა საქართველოში საარჩევნო გარემოს და რამდენად ადეკვატურად წარიმართება კომისიის მუშობის პროცესი, ამის თაობაზე „საერთო გაზეთს" **ზაქარია ქუცნაშვილი** ესაუბრა.*

**— ბატონო ზაქარია, ცოტა ხნის წინ უწყებათაშორისი კომისია ჩამოყალიბდა, რომლის წევრი კოალიცია „ქართული ოცნების" ერთ-ერთ ლიდერთან თეა წულუკიანთან ეერთად თქვენც ბრძანდებით. როგორ ფიქრობთ, კომისია საარჩევნო გარემოს კუთხით რეალურად შეცვლის რაიმეს? ზოგადად, რა მოლოდინი გაქვთ უწყებათაშორისი კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით?**

— უწყებათაშორისი კომისია საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების საფუძველზე შეიქმნა. „კომისია ვალდებულია, დარღვევის ფაქტის არსებობის შემთხვევაში, რეკომენდაციით მიმართოს იმ უწყებებს, ვინც პასუხისმგებელია საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით არსებული დარღვევების აღკვეთასა და რეაგირებაზე. უწყებათაშორისი კომისია სწორედ ის მექანიზმია, რომელიც სწორად გამოყენების შემთხვევაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება წავა დათმობაზე და კომისიის მიერ ყველა დაფიქსირებულ დარღვევასთან დაკავშირებით ადეკვატურ რეაგირებას მოახდენს?**

— მას შემდეგ, რაც მე და ქალბატონი თეა წულუკიანი „ქართული ოცნებიდან" კომისიის ჯგუფთან მუშაობისთვის გაგვაგზავნეს კომისიის პირველ სხდომაზე, დავსვით რამდენიმე საკითხი, რომელსაც კომისიის მუშაობა უნდა დაეფუძნოს. პირველი საკითხი, რომელიც კომისიის წინაშე დავსვით, იყო ის, რომ კომისიის მუშაობა თავიდან ბოლომდე გამჭვირვალე უნდა იყოს. მეორე საკითხი, რაც ჩვენი მხრიდან დაისვა, ის იყო, რომ რეკომენდაციები, რომელსაც კომისია გამოსცემს, უნდა იყოს არა სიტყვიერი და ზეპირი, არამედ წერილობითი, რადგან რაღაც სფეროში დადგენილი სტანდარტი ყველასთვის დაწესებული სტანდარტი გახდეს. ჩვენ ასვე მოვითხოვეთ ვადების განსაზღვრა, თუ რა პერიოდში მოხდება უწყებათაშორისი კომისიის მიერ რეაგირება რეკომენდაციის მომზადებასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე კომისიის წევრების მხრიდან კონკრეტული პასუხი ვერ მოვისმინე. თუმცა ყველა ვალდებულია, მათ შორის, ეს კომისიაც, იხელმძღვანელოს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე კანონის მე-9 პუნქტის მიხედვით, რომელიც გონივრულ ვადებში რეაგირებას მოითხოვს.

**— ბოლო პერიოდში იგივე საარჩევნო კოდექსში და ქვეყნის კონსტიტუციაში ბევრი ცვლილება განხორციელდა. როგორ ფიქრობთ, რა იყო ის მნიშვნელოვანი ან უარყოფითი ცვლილება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში ვარდების რევოლუციიდან დღემდე განხორციელდა.**

— სამწუხაროდ, რვაწლიანი საკონსტიტუციო ცვლილებების ეპოპეა სავსეა უარყოფითი ცვლილებებით და შემიძლია მხოლოდ რამდენიმე თითზე ჩამოსათვლელი ცვლილება დავასახელო, რომელიც, ჩემი აზრით, ქვეყნისთვის პოზიტიური და სასარგებლოა. კონსტიტუციაში უარყოფითი ცვლილებები ძალიან ბევრია, მაგალითად: 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებებით ხელისუფლებას, უპირველესად კი მიხეილ სააკაშვილს მნიშვნელოვანი უფლებამოსილება მიენიჭა. ამ ცვლილებით სააკაშვილს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა, მთავრობის საქმიანობაში ჩარევა, ელჩების დანიშვნისა და გამოთხოვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ეს საკითხი საკონსტიტუციო ცვლილებებამდე პარლამენტის პრეროგატივა იყო. შესაბამისად, საქმე გვაქვს უფრო მეტი ძალაუფლებით აღჭურვილ პრეზიდენტთან, ვიდრე ვარდების რევოლუციამდე იყო.

ასევე ერთ-ერთი უარყოფითი საკონსტიტუციო ცვლილება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებით განხორციელდა. კერძოდ, ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე აჭარის ავტონომიურ ერთეულს ყველა უფლება წაერთვა. იგი ავტონომიურ



ერთეულად მხოლოდ ფაქტობრივად რჩება, სინამდვილეში კი თვითმმართველობის დონეზეა და აჭარაში მიმდინარე პროცესები, რეალურად, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იმართება. ამასთანავე საქართველოს კონსტიტუციაში კანონის ის მუხლიც გაუქმდა, რომლის საფუძველზე ძალოვანი სტრუქტურების გაერთიანება იკრძალებოდა. ახალი ცვლილებების მიხედვით კი იუსტიციის სამინისტრო მონსტრი გახდა და მან შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები ჩაყლაპა. დღეს „კუდსა" და „სოდს" რომ ვიხსენიებთ, ისინი ყოფილი უშიშროების სამინისტროს ქვედანაყოფები იყვნენ.

**— საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, რომელიც პარლამენტმა რამდენიმე დღის წინ მიიღო, ევროკავშირის წევრ ყველა მოქალაქეს, რომელიც დაბადებულია საქართველოში და ქვეყანაში ბოლო 5 წლის მანძილზე მუდმივად ცხოვრობს, პოლიტიკური აქტივობის შესაძლებლობა ეძლევა. როგორ ფიქრობთ, აღნიშნული ცვლილება ქვეყნის სუვერენიტეტს საფრთხეს ხომ არ შეუქმნის?**

— ქვეყნის სუვერენიტეტი ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებამ მოახერხოს ქვეყნის გარე თუ შიგნით არსებული მტრული ძალებისგან დამოუკიდებლად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიიღება. აღნიშნული ცვლილების მიხედვით კი უმაღლესი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღებაში შესაძლოა, საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე პირმაც მიიღოს მონაწილეობა. შესაბამისად, ეს კანონი, ამ თვალსაზრისით, ქვეყნის სუვერენიტეტისთვის საფრთხეს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი გახდება პრეზიდენტი ან პარლამენტის თავმჯდომარე. მას ექნება ინფორმაცია ქვეყნის უსაფრთხოების შესახებ და საინტერესოა, კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, რომელ ქვეყანას დაუჭერს მხარს.

**— ბატონმა ბიძინამ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებით სარგებლობაზე უარი განაცხადა. ახლა რა გეგმები აქვს ივანიშვილს, აგრძელებს ბრძოლას მოქალაქეობის მისაღებად?**

— როგორც იცით, ჩვენ არ ვაპირებთ ამ უმსგავსო და უზნეო საკონსტიტუციო ცვლილებით სარგებლობას, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის კონსტიტუციას და ადაბლებს საქართველოს პრესტიჟს საერთაშორისო ასპარეზზე. ვგეგმავთ ვისარგებლოთ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რაც გვაძლევს საშუალებას სასამართლოს გზით აღვიდგინოთ დარღვეული უფლებები. შესაბამისად, გამოვიყენებთ კონსტიტუციით მონიჭებულ უფლებებს და მოვითხოვთ სასამართლოს სამართლინად ჩატარებას.

**— მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ივანიშვილის მოთხოვნის მიუხედავდ ახალ საკონსტიტუციო ცვლილებაზე ხელი მოაწერა, თუ აპირებთ სასამართლოს გზით მოქალაქეობის დაბრუნებას?**

— სარჩელები სასამართლოში უკვე შეტანილია. მულტიმოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით თბილისის სააპელაციო სასამართლოში სარჩელი უკვე შვიდი თვეა შეტანილია, მაგრამ საკითხს შეგნებულად არ განიხილავენ, ისევე, როგორც მეორე თვეა თბილისის საქალაქო სასამართლოში დევს სარჩელი ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის არმინიჭებასთან დაკავშირებით, ამიტომ ჩვენ ვითხოვთ, ორივე შემთხვევაში, სასამართლოს ჩატარებას.

ფაქტობრივად, საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, როცა სახელმწიფო ორგანოები მათზე დაკისრებული უფლებამოსილების შესრულებაზე უარს აცხადებენ. მოსამართლეს ხომ არ მივუვარდებით და ვეტყვით, დაჯექი მოსამართლის სკამზე და სასამართლო სხდომა ჩაატარე!? საბედნიეროდ, ქვეყანა ჩალით არაა დახურული და ჩვენთან ერთად საზოგადოების უმრავლესობა ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის საკითხში სოლიდარულია და, ვიმედოვნებთ, შედეგს აუცილებლად მივაღწევთ.

**მირანდა ნაბახტეველი**

## „ქართული ოცნება" თბილისის მერს საპროტესტო აქციით ემუქრება



„სუფთა ჰაერი ჩვენი უფლებაა" — ამ მოთხოვნით პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" ახალგაზრდულმა ფრთამ და ამავე კოალიციის გარემოს დაცვის ხელმძღვანელმა ლაშა ჩხარტიშვილმა თბილისის მერს გიგი უგულავას მიმართა.

„მოვითხოვთ დედაქალაქის მერთან შეხვედრას აღნიშნული საკითხების განსახილველად,ხოლო შეხვედრამდე დაუყონებლივ მოვითხოვთ, გამოცხადდეს მორატორიუმი თბილიში ხეების მოჭრაზე", — განაცხადა კოალიციის გარემოს დაცვის ხელმძღვანელმა ლაშა ჩხარტიშვილმა.

ახალგაზრდული ფრთა მომავალში ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან აპირებს თანამშრომლობას,რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს დაცვას დედაქალაქში.

მათი განცხადებით ,თუ ქალაქის მერი ამ საკითხზე შესაბამის რეაგირებას არ მოახდენს, აქციები საპროტესტო სახეს მიიღებს.

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# rogor unda SeirCes maJoritari kandidatebi, rom koaliciam garantirebulad moigos?

**ვესაუბრებით საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორს პაატა პატიაშვილს**

**— ნაცმოძრაობას მხარდამჭერები ჰყავს თუნდაც მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსის სახით. მომავალ არჩევნებში, თქვენი აზრით და პროგნოზით რა სიტუაცია შეიძლება იყოს?**

— უმაღლესი თანამდებობის პირები, მათი ოჯახის წევრები, ნათესავები, ის ადამიანები, ვისაც ეხმარება, საშუალო დონის საჯარო მოხელეები, რომლებიც უფრთხილდებიან ხელფასს, სამსახურს, ასევე მათთან დაკავშირებული პირები ადამიანების ის ნაწილია, ვისაც გულწრფელად სჯერა, რომ რაღაც გაკეთდა, მართალია, ეს უმეტესად რეგიონებშია, ასევე - ნაწილი იმ შეშინებული ადამიანებისა, რომელნიც ფიქრობენ, რომ მაინც არაფერი შეიცვლება და დაპირისპირება ხელისუფლებასთან ისევ პრობლემებს შეუქმნის. ეს ადამიანები არ შეეწინააღმდეგებიან ხელისუფლების მხრიდან მოსულ კოორდინატორებს..

არჩევნების შეჯამება ხდება არა რეგისტრირებული, არამედ მისული ამომრჩევლის რაოდენობით. ხელისუფლება უზრუნველყოფს საკუთარი მხარდამჭერების საარჩევნო უბანზე მისვლას და ისეთი აგრესიული პოლიტიკის განხორციელებას ოპოზიციური ამომრჩევლის მიმართაა როგორც



შავი პიარ-ტექნოლოგიების გამოყენებით, რომ ოპოზიციის ამომრჩეველი არ მივიდეს უბანზე და სახლში დარჩეს, არ შემოხაზოს ,,ქართული ოცნება'', ეს ნიშნავს იმას, რომ ნაცმოძრაობას აქვს გამარჯვების შანსი.

ხელისუფლება ამაზე თამაშობს, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის მიყვანას და გააკეთებს ყველაფერს, რომ ოპოზიციური ამომრჩეველი არ მივიდეს ან მივიდეს და ისეთი მრავალფეროვანი სპექტრი დახვდეს, რომ ოპოზიციური ხმები გაიხლიჩოს.

**— თქვენ თვლით, რომ ე.წ.მესამე და მეოთხე ფრონტი ჩამოყალიბდება?**

— ჩამოყალიბდება, იმიტომ, რომ ამას ხელისუფლება ხელს შეუწყობს, შეიძლება არაპირდაპირ, მაგრამ ნებისმიერი ოპოზიციური პარტიის ლიდერი და მისი მხარდამჭერები, რასაკვირველია, ორიენტირებული არიან არჩევნებზე. ნებისმიერმა მათგანმა, ვინც არ არის ''ქართულ ოცნებაში'', უარი რომ განაცხადოს არჩევნებში მონაწილეობაზე, მისი პარტია დაიშლება. ამ პარტიების არჩევნებში მონაწილეობით კოალიციას ხმები წაერთმევა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის კოორდინაცია აუცილებელია, თუ სტრატეგია მოგებაზეა ორიენტირებული.

ყველა ხმა მნიშვნელოვანი უნდა იყოს და 27 მაისს გამოსული ხალხი არ ნიშნავს არჩევნებზე მიმსვლელთა რაოდენობას.

არც ერთი პოლიტიკოსი ამის გამო ეიფორიაში არ უნდა ჩავარდეს, რომ არჩევნებში მაქსიმალურ მხარდაჭერას მოიპოვებენ და რომ ეს მათ მიერ კარგად დაგეგმილი სტრატეგიის გამო გამოვიდა. ეს უნდა იყოს განხილული, როგორც უალტერნატივო პროტესტი და ავანსად გაცემული ნდობა მხოლოდ ივანიშვილსათვის. ის პოლიტიკოსები, რომლებიც დღეს კოალიციაში არიან, დიდი ხანია არიან პოლიტიკაში და ვერ იტყვიან, რომ ხალხში დიდი ნდობით სარგებლობენ.

**— ფიქრობთ, რომ მხოლოდ ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე - ბიძინა ივანიშვილზეა უდიდესი პასუხისმგებლობა ?**

— ივანიშვილი ბევრ პოლიტიკოსზე მაღლა დგას, მას ჯერჯერობით თავისი სიტყვა არ გაუტეხავს, უაზრო არაფერი გაუკეთებია. თუმცა დიდი სიამოვნებით მოვუსმენდი მის პასუხებს იმ ადამიანების შენიშვნებზე, ვინც მის ნაბიჯებში გარკვეული ტიპის შეცდომებს ხედავს. ერთია, რომ არ გაუტეხავს სიტყვა, მეორე კი ის, რომ ყველაზე მეტად იმისგან გწყინს და გტკივა, ვისაც ენდობი. ამიტომ ალბათობა იმისა, რომ აგრესია მის მიმართ უფრო მეტი იქნება, რეალურია. ახლა, როდესაც კოალიციის მხრიდან, საუბარია იმაზე, რომ ზედმეტი რჩევები არ სჭირდებათ, შემდგომში ისიც უნდა ითქვას, რომ ამ არჩევნებზე დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით მომავალი არჩევნებისთვის მოემზადებიან.

აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ თბილისი ყოველთვის გამოირჩევა პოლიტიკური პროტესტით, დარწმუნებული ვარ, ქუთაისშიც ძალიან ბევრი ხალხი გამოვა, მაგრამ სხვა საკითხია სოფლები. ოპოზიციის ლიდერები ივანიშვილამდეც დადიოდნენ რეგიონებში და დიდი ნდობა არ ჰქონდათ.



დღეს ივანიშვილის მიერ ტელევიზიით ნათქვამი ორი სიტყვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კოალიციის ლიდერების შეხვედრები, მაგრამ სხვა საკითხია, რომ რეგიონებში ის ტელევიზიები არ მაუწყებლობენ, რომლებიც ბატონ ივანიშვილს აშუქებენ.

მან რომ თავად გაიაროს რეგიონებში, ბევრ რამეს გაიგებს, უფრო მართალს და რეალურს. რეგიონებში მხარდამჭერთა განწყობისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაციას, შესაძლებელია, რომ მას უფრო ლამაზი ფორმით აწვდიან. რაიონების ცენტრების დონეზე უნდა მოხდეს ბიძინა ივანიშვილის კომუნიკაცია მოსახლეობასთან, რეალურად ნახოს, რა განწყობაა ადგილებზე, რამდენად ეფექტურად მუშაობენ ოფისები და რას ფიქრობს ადგილობრივი მოსახლეობა ამ ოფისების შემადგენლობაზე. მთავარია, რომ მას ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია და რეალურ გადაწყვეტილებას - მიიღებს. ინფორმაცია კი მაშინ არის ობიექტური, როდესაც არადაინტერესებული პირისგან იღებ მას.

**— და ვინ შეიძლება იყოს არადაინტერესებული პირი?**

— ივანიშვილის გარშემო ყველა დაინტერესებულია, რათა ფონი შექმნას, რომ მასზე დაკისრებულ მოვალეობას კარგად ასრულებს.

**— როგორ უნდა შეირჩეს მაჟორიტარი კანდიდატები, რომ არჩევნები გარანტირებულად მოიგოს კოალიციამ?**

— პროპორციული სიით უფრო ადვილია არჩევნების მოგება. ისეთი ადამიანების კანდიდატურა არ უნდა წარადგინო მაჟორიტარად, ვის შესახებაც ადგილობრივ მოსახლეობას უფრო ცუდი ინფორმაცია აქვს, ვიდრე ივანიშვილს. შეიძლება ტელევიზიით მაჟორიტარს კარგი ფონი აქვს, კოალიციის ლიდერები დადებითად ახასიათებენ, მაგრამ სულ სხვაა, რას ფიქრობს ხალხი ადგილზე, რა წარსული აქვს კანდიდატს, როგორი ურთიერთობა აქვს ადგილობრივ მოსახლეობასთან, არის თუ არა მის მიმართ ნდობის მანდატი. მაჟორიტარული არჩევნები მძიმე არჩევნებია, მით უმეტეს დღვანდელ სისტემაში. თუკი ხელისუფლება წამოაყენებს რაიონისათვის მეტნაკლებად მისაღებ კანდიდატს და ოპოზიციის ერთი ნაწილი თავისას, მეორე კი - სხვას, რომელიც ასევე მისაღებია რაიონისათვის, საერთო ჯამში, ნაცმოძრაობის ელექტორატი მისცემს ხმას საკუთარ კანდიდატს, ბრძოლა წავა ორ ოპოზიციურ კანდიდატს შორის და ხმები გაიხლიჩება. გაიხსენეთ 2008 წლის არჩევნებზე გახლეჩილი ხმები, რადგან არ იყო ერთიანი ოპოზიციური კანდიდატი...

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეგიონებში ადგილობრივი მმართველობა ადვილად ახერხებს ხმების კონტროლს, ვიდრე თბილისში. მაჟორიტარ კანდიდატთან დაკავშირებით ოპოზიციის კოორდინირება აუცილებელია.

**— კოორდინაციის შესახებ ინიციატივით არაერთხელ გამოვიდა ქ-ნი ნინო ბურჯანაძე. რამდენად ეფექტური იქნება კოორდინაცია ''ქართულ ოცნებასა'' და ბურჯანაძეს შორის?...**

— როგორც სპეციალისტი, ვიტყვი, რომ ეს ბევრ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. ეს მოდელი იმუშავებდა მხოლოდ მაშინ, თუ კოალიციაში არმყოფი ოპოზიციური პარტიები მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას, ხოლო პროპორციულზე უარს იტყვიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიქმნება მხოლოდ ილუზია, რომ შეთანხმება შედგა.

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ...რამდენად არის ამ ცვლილებების შემდეგ მოსალოდნელი ქართულ პოლიტიკაში ახალი სახეების გამოჩენა?**

— ის, რომ პრეზიდენტი ვეტოს დადების უფლებით ისარგებლებდა, იყო ილუზია. ვერც ქდმ და ვერც ნაცმოძრაობა ამ ცვლილებას მხარს ვერ დაუჭერდა, რომ არა პრეზიდენტის თანხმობა. ცხადი იყო, ამ იდეის გახმაურებისთანავე რომ ის არ უკავშირდებოდა მხოლოდ ბატონ ივანიშვილს. არ მჯერა პოლიტიკაში დედა ტერეზობის, განსაკუთრებით ამით პარტიის მხრიდან, რომელსაც რამდენიმე წლის მანძილზე ჰქონდა პრეტენზია რეიტინგით მეორე ადგილზე დაფიქსირებულიყო. რატომ უნდა მოიკლას ამ პარტიამ თავი, პოლიტიკაში ის მოთამაშე შემოუშვას, რომელიც მესამეზე გადაანაცვლებს, ცოტა გაუგებარია.

დარწმუნებლი ვარ, ევროკავშირის ქვეყნებში არიან ის ბიზნესმენები, რომლებიც დაუკავშირდებიან სხვადასხვა პარტიებს, რათა მოიპოვონ დიპლომატური პასპორტი და პარლამენტის წევრის სტატუსი. ისინი ფინანსურად უზრუნველყოფილი არიან, მაგრამ ევროპის პოლიტ-ელიტაში ვერ შევლენ მხოლოდ იმიტომ, რომ ფული აქვთ. აქედან გამომდინარე, მივიღებთ ისეთ სიტუაციას, რომ გამოჩდებიან ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც დააფინანსებენ გარკვეულ პარტიებს, სანაცვლოდ მოხდებიან პარტიულ გამსვლელ სიაში და საბოლოოდ მიიღებენ პარლამენტის წევრის სტატუსს, დიპლომატიურ პასპორტს და გახდებიან პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, რაც თავისთავად მისცემს საშუალებას იმ ქვეყნებში, სადაც მოღვაწეობენ, სულ სხვა სტატუსით ისაუბრონ.

**ნინო ფირცხალავა**

## ნიკა ჩიტაძე: კლინტონთან შეხვედრაზე ივანიშვილის ნაცვლად კობახიძის წარგზავნა სწორი გადაწყვეტილება იყო



პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ კოალიცია "ქართულმა ოცნებამ" სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ჰილარი კლინტონისა და ოპოზიციის ერთი ნაწილის შეხვედრაზე "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" კვოტით ბიძინა ივანიშვილის ნაცვლად მანანა კობახიძე მიავლინა.

როგორც ჩიტაძემ "მედიანიუსს" განუცხადა, "ბიძინა ივანიშვილი ორატორის თვისებებითა და პოლიტიკური ინტელექტით არ გამოირჩევა, რაც 27 მაისის აქციაზეც დადასტურდა, შესაბამისად, კლინტონთან შეხვედრაზე უკეთესი იქნებოდა, თუ კოალიციის სახელით ისეთი, ამ თვალსაზრისით გამოცდილი ადამიანები ისაუბრებდნენ, როგორიც დავით უსუფაშვილი, მანანა კობახიძე და თეა წულუკიანი არიან".

"მართალია, პოლიტიკაში ყოფნის დიდი გამოცდილება არც მანანა კობახიძეს აქვს, მაგრამ მოლაპარაკებების გამოცდილება მას საადვოკატო საქმიანობიდან გააჩნია", - განაცხადა ჩიტაძემ და დასძინა, რომ კოალიციისთვის უფრო მომგებიანი იქნება, თუ ასეთი დონის შეხვედრებზე დიდი პოლიტიკური გამოცდილებისა და პოლიტიკური ინტელექტის მქონე ადამიანებით იქნება წარმოდგენილი.

ზემოხსენებულ ფორმატში ბიძინა ივანიშვილის ჰილარი კლინტონთან არშეხვედრის გადაწყვეტილების სისწორის შესახებ დღეს განაცხადება კიდევ ერთმა ექსპერტმა გია ხუხაშვილმაც გააკეთა, თუმცა მან სხვა მიზეზი დაასახელა.

"ხელისუფლებასთან ინტეგრირებულ პარტიებთან ერთად კლინტონთან შეხვედრაში პირადად ივანიშვილის მონაწილეობა გაუგებარი იქნებოდა", - განაცხადა ხუხაშვილმა დღეს "პრაიმ-ტაიმის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე.

# kaxeTs axali maoxreblebi Seesivnen

საკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა გაუყიდავი თითქმის არაფერი დატოვა, რაც „ნაცელიტის“ უსაზღვრო მადას გადაურჩა, იმას უცხოელებზე ასხვისებენ მიზერულ ფასად. ნაცმაოხრებლებმა ახლა კახეთში გადაინაცვლეს, ერეკლე მეფის სახლ-მუზეუმს ნახევარსაუკუნიანი მართვის უფლებით სავარაუდოდ ირანელებს გადასცემენ (თუ უკვე არ გადასცეს), ხოლო თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრისთვის, რომლის დაქცევა-გაკოტრებაც ერთი წელია მიმდინარეობს ხელისუფლების „რუხ კარდინალად“ მონათლულ იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს დაუდგამს თვალი და როგორც მოძრაობა „ივერიელების“ ხელმძღვანელმა ლევან კოჭლოშვილმა გვითხრა, იქ ღვინის მარნის გაკეთებას აპირებს.

**ლევან კოჭლოშვილი:** „დაახლოებით ერთი წელია თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრი უმოქმედოდაა, ერთი სპექტაკლიც კი არ დადგმულა. თეატრი პრაქტიკულად მხოლოდ ნაცმოძრაობის წარმომადგენელთა შეკრებების და შეკვეთილი კონცერტების ჩატარების ადგილად იქცა. ცოტა ხნის წინ აქ ანრი ჯოხაძემ და „ვია-75“-მა ჩაატარეს კონცერტები. მიზანმიმართულად ხდება ამ დიდი ტრადიციების მქონე თეატრის დაქცევა-გაკოტრება. მსახიობები და სხვა თანამშრომლები ხელფასს ნაწილობრივ კი იღებენ, მაგრამ მათი ერთადერთი სამუშაო ისაა, რომ დილას მივიდნენ თეატრში და საღამომდე ეზოში ისხდნენ. მე მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ხელფასებს თუ იხდიან, მაშინ რატომ არ მუშაობს თეატრი? თელავში დიდი ხანია ხმები დადის, რომ თეატრის შენობის შესყიდვა იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს უნდა და დუტა სხირტლაძეც სწორედ იმ მიზნით დანიშნეს თეატრის მმართველად, რომ მას თეატრის ფუნქციონირება შეეწყვიტა. სხირტლაძემ შეგნებულად გააკეთა ის, რომ თეატრს დავალიანებების გამო არც წყალი მიეწოდება და არც გაზი. 18 მაისს ვიყავი თეატრში მისული და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მითხრა, სხირტლაძესთან შეხება საერთოდ არ გვაქვს, ერთი წელი იქნება თეატრში არც კი შემოსულაო. კულუარული საუბრებიდან ირკვევა, რომ ზურაბ ადეიშვილის ინტერესების გამტარებელი მართლაც დუტა სხირტლაძე იყო, რომელიც ამ ამოცანის შესრულების შემდეგ სავარაუდოდ დაჯილდოვდებოდა. ადეიშვილს ამ შენობაში ღვინის მარნის მოწყობა ჰქონია გადაწყვეტილი. თეატრის შენობის მიმართ ადეიშვილის ინტერესებზე ისიც მოწმობს, რომ დაახლოებით ათი დღის წინ, საკუთარი თვალით ენახა, როგორ მოვიდა ადეიშვილი ესკორტით თეატრში. ადეიშვილს თელავის გამგებელი, მგონი გვარად კიკნაველიძე და „ნაცმოძრაობიდან“ თელავის მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი ბოტკოველიც ახლდნენ. მათ ერთად დაათვალიერეს ეს ტერიტორია და თეატრის შენობაც გააღეს. რატომღაც ადეიშვილი სხვა ობიექტების დათვალიერებით არ დაინტერესებულა, არადა, თელავის მთავარ ქუჩებში გამალებული რემონტი მიმდინარეობს. ე.ი. ამ დათვალიერებას კონკრეტული მიზანი ჰქონდა. შენობის ჭერიდან რომ წყალი ჩამოდის და იქაურობა რემონტს საჭიროებს, ამაზე თელავის „მამები“ არაფერს ამბობენ, არც ის ეტყობა, რომ რამეს აპირებენ. ეს საკმაოდ დიდი შენობაა, 700-800 მაყურებელს იტევს და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი კახეთის კულტურის ცენტრია. ამ წუთას ვერ გეტყვით კონკრეტულად რა ინტერესი აქვს ადეიშვილს, ადრე იყო საუბრები მისი მხრიდან შესყიდვის სურვილზე, მაგრამ მერე შეწყდა, თუმცა ხსენებული „ვიზიტის“ შემდეგ, განახლდა ეს საუბრები.

**— ეტყობა მართლაც აქვს ადეიშვილს ინტერესი, თორემ რა იუსტიციის მინისტრის საქმეა სარემონტო და სამშენებლო ობიექტების დათვალიერება? თელაველები და თეატრის დასი ასე პირში წყალჩაგუბებული უყურებს ამ ყველაფერს.**

— მაშინ იმით დავიწყოთ, ფსიქიკურად არაჯანმრთელ პიროვნებას რა ესაქმება საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ, რომ გიგა ბოკერიას, მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ადეიშვილსა და ვანო მერაბიშვილს ყველაფრის უფლება აქვთ და ისიც სამწუხარო რეალობად იქცა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრს შეუძლია ჯერ გააკოტროს და შემდეგ კი წაართვას ადგილობრივ მოსახლეობას კულტურის ასეთი მნიშვნელოვანი კერა. სხვათა შორის, ზურაბ ადეიშვილი თელავის კულტურის სახლში იუსტიციის სახლს ხსნის, ახლა თეატრშიც ღვინის მარანს გახსნის და კულტურული ღონისძიებების ჩატარების საშუალების გარეშე დატოვებს იქაურებს.

რაც შეეხება ხალხის დუმილს, რაიონებში მოსახლეობა ისეა დაშინებული, რომ, როგორც კი თელავში გაიგეს ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად რომ ვიყავი განწყობილი, ჩემთან ურთიერთობას ერიდებოდნენ, რადგან ზოგი სოციალურ დახმარებას იღებს, ზოგი საჯარო სამსახურში მუშაობს, ურთიერთობისაც კი ეშინიათ, პროტესტის ხმამაღლა გამოხატვაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, როდესაც სააკაშვილი თელავში იყო ჩასული, შეხვედრის დროს იქაურებმა მას ტაში არ დაუკრეს. ამ „არასტუმართმოყვარეობის“ გამო სააკაშვილმა კახეთის გუბერნატორ ღვინიაშვილს სცემა. ეს ინციდენტი გომბორთან მდებარე რესტორანში მოხდა. ისე, ამათთვის ჩვეულებრივი ამბავია კაბინეტებში დედის გინება და ცემა-ტყეპა.

**— ერეკლე მეფის სასახლესთან დაკავშირებით ითქვა, რომ მის ირანელებისთვის იჯარით გადაცემას აპირებდნენ. ამ მასობრივი რემონტის ფონზე ეს სასახლეც თუ რემონტდება და ვისი ფინანსებით?**

— ერეკლეს სახლ-მუზეუმის რემონტიც მიმდინარეობს, თუმცა ამ მშენებლობებთან დაკავშირებით ძალზე გაუგებარი სიტუაციაა, ნახევარი ქალაქი გადათხრილია, ამოყრილია საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის მილები, სხვა საკომუნიკაციო სისტემებიც, რის გამოც ხალხს კვირაობით არ მიეწოდება წყალი. სარემონტო სამუშაოებს სამშენებლო ფირმა „ინსი“ აწარმოებს, თუმცა იქ რამდენიმე ჯგუფია, რომელთაგან ზოგი „სილქნეტის“ კაბელების ჩაყრაზე მუშაობს, ზოგი წყალგაყვანილობაზე, ზოგი ფასადებზე, საბოლოო ჯამში კი მხოლოდ ფირმა ჩანს. ერთხელ ამოთხრილს მიწას რომ დააყრიან, მერე ხელმეორედ ხდება ამოთხრა, ეს რემონტი თუ მშენებლობა. ვფიქრობ, სახლ-მუზეუმი უკვე გადაცემული აქვთ და ახალი „მფლობელი“ ხარჯავს თავის ფულს. სხვათა შორის, რამდენიმე ადგილობრივი ბიზნესმენი დაუბარებიათ კახეთის სამხარეო პოლიციაში, ცენტრალურ ქუჩებზე, მაგალითად, ჭავჭავაძის ქუჩაზე ფასადებს და გზის საფარს მთლიანად თქვენ გააკეთებთო. ხელისუფლებას რეალურად ფული აღარც აქვს, თვითონ რომ ჩაატაროს რესტავრაცია. ბიზნესმენებისთვის „შეწერილი“ და „ახეული“ ფულით კეთდება ბევრი რამ თელავში. ხშირია გამგებელსა და სხვა ჩინოსნებს შორის ფიზიკური გარჩევები, რადგან უამრავ საქმეზე აქვთ პასუხისმგებლობა აღებული, რადგან აღმოჩნდება, რომ თურმე რაღაცის ჩაყრა დავიწყებიათ. მოკლედ, 6 ჯგუფი ასე ერთმანეთთან შეუთანხმებლად მუშაობს და სრული ქაოსია. რაც შეეხება კონკრეტულად თელავის ისტორიულ-კულტურულ ღირებულებას, ერეკლე მეფის სახლ-მუზეუმს, იქ გაურკვეველი წარმომავლობის შენობა-ნაგებობებიანი ბანერებია გამოკრული, თურმე ეს შენობები უნდა დაიდგას მუზეუმის ტერიტორიაზე. დიდი ხანია ხმები დადის, რითაც თელაველები ძალზე შეშფოთებულები იყვნენ, რომ იქ უნდა გახსნილიყო შაჰ-აბასის შთამომავალთა მუდმივმოქმედი მუზეუმი და ამიტომ უნდა გადაეცათ 49-წლიანი მართვის უფლებით ირანელებისთვის. ინვესტიციების შემოსვლის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ არსებობს ფასეულობები და პრინციპები, რაც არ უნდა შეურაცხვყოთ, თუმცა ეს არც მიკვირს, რადგან დიდი ხანია ეს ხელისუფლება მიზანმიმართულად ახორციელებს ახალი ქართველის ფორმირებას. რამხელა ბედის ირონიაა, როდესაც ერეკლე მეფის სასახლეში შაჰ აბასის შთამომავალთა მუდმივმოქმედი მუზეუმის გახსნა და სასახლის ირანელების ხელში ჩაგდება უნდათ. მოკლედ, რაც შაჰ აბასმა ვერ გაუკეთა თელავს, იმას სააკაშვილი აკეთებს. ხმები ტყუილად არ ვრცელდება, თავიდან, როგორც წესი, ეს ხელისუფლება ყველაფერს უარყოფს, მაგრამ მერე სიმართლე აღმოჩნდება ხოლმე. მუზეუმში რემონტის დაწყება იმის მანიშნებელია, რომ ვიღაცისთვის გადასაცემად ამზადებენ, თუ უკვე გადაცემული არა აქვთ. იქ მუშების გარდა ვერავის ნახავთ, არავინაა პასუხისმგებელი პირი, რომ მეკითხა, ვინ დაუკეთა ფული კი არ აქვთ და ამის გამო ყველაფერს კადრულობენ. „გასაწ-წი“ ბიზნესმენები, მათივე კარის ბიზნესმენები არიან, რადგან ყველა ობიექტი, რომლის თვიური შემოსავალიც 5000 ლარზე მეტია, ან ნაცმოძრაობის წევრებისაა, ან მათთან დაახლოებული პირების. თელავში ყველა ავტომანქანების გაზგასამართი სადგური, რაც საკმაოდ შემოსავლიანი ბიზნესია, ნაცმოძრაობის ფავორიტი ბიზნესმენებისაა, მათვე ეკუთვნით თელავის ყველა სასტუმრო. ორი ბიზნესმენია ასეთი პრივილეგირებული და სწორედ მათ დაევალათ თელავის ქუჩების ნაწილის შეკეთება.

**— მათი ვინაობა არ იცით?**

— მათი სახელი და გვარი ჯერ ვერ გავარკვიე, მაგრამ ერთ მათგანს თელაველები „ლეკის ბიჭად“ იხსენიებენ, რომელსაც გუბერნატორ ღვინიაშვილთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა აქვს. როგორც ამბობენ, ამ „ლეკის ბიჭს“ 3 მილიონი უკვე წაართვეს და კიდევ 2 მილიონის წართმევას უპირებენ. ცხადია, ის ამ ფულს გადაიხდის, რადგან ნაცმოძრაობის ხელშეწყობით აქვს ნაშოვნი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიჭერენ კიდეც. თელავის ყველაზე კარგი სასტუმრო, რომელსაც ხშირად სტუმრობს გუბერნატორი ღვინიაშვილი და ხშირად ტარდება ნაცმოძრაობის შეკრება-ღრეობები, თურმე ამ ბიზნესმენს ეკუთვნის, თუმცა 50%-იან მოწილედ გუბერნატორი ჰყოლია.

ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით რამდენიმე კითხვას დავუსვამ კონტროლის პალატის შეფ ლევან ბეჟაშვილსა და მის მარჯვენა ხელს, ნაპროკურორალ ნათია მოგელაძეს - როგორ ხდება, რომ გუბერნატორი და „ნაცმოძრაობის“ თელავის მაჟორიტარობის კანდიდატი ერთად ხვდებიან იყალთოში სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, ვისი ფულით უპირებენ მოსწავლეებს პატრიოტთა ბანაკებში დასასვენებლად გაშვებას 3-3 ავტობუსით, როგორ ხდება პრეზიდენტის სასახლის დასათვალიერებლად კახეთიდან წამოსულ ბავშვებს მაჟორიტარობის კანდიდატი ბოტკოველი რომ აცილებს, რა სახსრებით ხდება ეს ექსკურსია, აქვს თუ არა უფლება ბოტკოველს მთავრობის წევრებს მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თან რომ ახლდეს და სახელმწიფოს კუთვნილ რესურსს იყენებდეს?

რაც შეეხება ნაცმოძრაობის „ღირსეულ“ წარმომადგენელ გიორგი ბოტკოველს, ეს არის ამორალური პიროვნება, რადგან მხდალი ადამიანია და პრეზიდენტად წოდებული სააკაშვილის კვალობაზე ყველას კარგად მოეხსენება, რომ მხდალი კაცი არც ქვეყნისთვისაა სიკეთის მომტანი და არც ხალხისთვის. ბოტკოველიც ისევე, როგორც ნაცმოძრაობის ბევრი სხვა წარმომადგენელი, გაურკვეველი წარსულისაა, მანამდე რას საქმიანობდა არავინ იცის, თუმცა, ბოლო რამდენიმე წელია მან და მისმა საგვარეულომ იყალთოს (ბოტკოველი იყალთოელია) „ოკუპირება“ მოახდინა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ეტყობა ის კარგად ასრულებდა პარტიის ბინძურ დავალებებს, ამიტომაც გადაწყვიტეს დაეჯილდოებინათ.

**მანანა სუხიშვილი**





## erekle mefis sasaxleSi SeiZleba Sah-abasis STamomavalTa muzeumi gaixsnas, xolo Telavis Teatris marnad gadakeTebas apireben



# `yvela qarTveli erovnuli ideis garSemo unda gaerTiandes~

## 30 მაისს მოძრაობა „ეროვნულები“ ოფიციალურად დაფუძნდა

*30 მაისს ოფიციალურად დაფუძნდა მოძრაობა „ეროვნულები,“ რომელიც ქართველი ერის ტრადიციული იდეალებისა და ქართული ცნობიერების გადარჩენის უდიდესი სურვილით შეპყრობილი ადამიანების შეკავშირებით შეიქმნა. მოძრაობის სულისკვეთებაა, გახდეს შემაკავშირებელი რგოლი ყველა იმ პატრიოტული ძალისა, რომელიც თავისი არსით ეროვნული იდეოლოგიის მატარებელია, დიდი ილიას, ზვიადისა და მერაბის საქმის გამგრძელებელი.*

**კახა მიგინეიშვილი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ყოფილი მსახიობი, მოძრაობა „ეროვნულების“ საინიციატივო ჯგუფის წევრი:** — ეს ყველაფერი „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფით“ დაიწყო, შემდეგ, ეს გადაიზარდა იდეაში, რომ დაფუძნებულიყო მოძრაობა „ეროვნულები“ და მეც შევუერთდი. გამოწვევები ძალიან დიდია — ქვეყანა რა მდგომარეობაშია, ვხედავთ; ადამიანური ურთიერთობებიც რა უცნაური გახდა — ვხედავთ და ამ ფონზე სამშობლო თვალსა და ხელს შუა გვეცლება. ყოველი ჩვენგანი, მეტ-ნაკლებად, რაღაც ფორმით, ყოველთვის ვახერხებდით ერთი ქართველის საქმის გაკეთებას, ახლა კი, ჩემი და ჩემი მეგობრების მეცადინეობით მოხერხდა ის, რომ საქმის კეთებამ ორგანიზებული ფორმა მიიღოს.



ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ჩვენ არათუ ვართ, უბრალოდ, ყოფნისთვის, არამედ, ვართ საქმისთვის, მოწადინებულები იმისთვის, რომ არავის დავუთმოთ საქართველო საჯიჯგნად. ყოველ ჩვენთაგანს ქართველობა სულში გვაქვს, სისხლში გვაქვს და სხვანაირად არც გვესმის და არც შეგვიძლია.“

**დავით ხარჩილავა, საინიციატივო ჯგუფის წევრი:** — „მიხარია, რომ „ეროვნულების“ დამფუძნებელ ყრილობაზე ბევრი ახალგაზრდაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდობა ღირსეულად გააგრძელებს ეროვნული მოძრაობის მიერ 90-იან წლებში დაწყებულ გზას“.



**გია ფერაძე, მოძრაობა „ეროვნულების“ საინიციატივო ჯგუფის წევრი:** — „ის ხალხი, ვინც დღეს აქ ესწრება და ძალიან ბევრი კიდევ, ვინც ვერ ჩამოვიდა (იცით, რა სიდუხჭირეცაა დღეს), ესენი არიან ის ხალხი, რომელთაგან, დიდი უმრავლესობა გასული საუკუნის 90-იან წლებში უშუალოდ განიცადა რეპრესიები. ყველა მათგანი არ იყო დაპატიმრებული, მაგრამ უმრავლესობაზეა საუბარი, გარდა ამისა, ძალიან ბევრი იყო სამსახურიდან გამოგდებული. მოგეხსენებათ, რა დევნა და



შევიწროვება იყო მაშინ, მთელი ოჯახები იყო ჩართული. მხოლოდ უზენაესი საბჭოს დეპუტატები ხომ არა, რაიონის პრეფექტები იყვნენ, მებრძოლები, მათი ოჯახის წევრები. მერე, იცით, რომ, როცა მოვიდა ეს სატანისტური ხელისუფლება, დაიფიცა, რომ მე, თქვენ, იმ ხალხს, რომელიც ჭეშმარიტად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და ვინც მართლა მოუტანა და დღეს ტრაბახობენ, თავისუფლები ვართო, რითი არიან თავისუფლები, ჩვენი ბრძოლით, სხვა ხომ არაფრით — იმ ხალხს დაუწყეს დევნა, ვინც მოუტანა დამოუკიდებლობა. დაიფიცეს ეკლესიის წინ, მაგრამ დაფიცება აღმოჩნდა ბლეფი. გამოიყენეს ეს ხალხი, რომელიც არ არის პატარა მასა — დღეს რომ აქ ამდენი ადამიანი ესწრება, წარმოიდგინეთ მთელ საქართველოში რამდენი იქნება? ვერც ერთი ძალა საქართველოში არჩევნებს ვერ მოიგებს , თუ ეს ხალხი არ დაუდგა გვერდზე — ეს საქართველომ რამდენჯერმე ნახა.



**ბადათერ არაბული, მოძრაობა „ეროვნულების“ საინიციატივო ჯგუფის წევრი:** — „სწორედ ამ ხალხმა, რომლებიც დღეს ამ დარბაზში იმყოფებიან და მათმა იდეებმა, სისხლხორციანად ქართულმა იდეებმა უნდა გადაარჩინოს საქართველო და ეს აუცილებლად მოხდება.



მე ვფიქრობ, ყველა ქართველი ვალდებული ვართ გავერთიანდეთ ამ იდეის გარშემო, ეროვნული იდეის გარშემო. დღეს, როდესაც ბატონი ბიძინა ივანიშვილის გარშემო ხდება კონსოლიდაცია ყველა ეროვნული ძალისა, მოძრაობა „ეროვნულები“ იქნება ერთ-ერთი დიდი შენაკადი. მე ვიტყოდი, რომ ყველა, ვინც ამ დარბაზში არის, ზოგი კი გარეთ და ქართული ცნობიერების მატარებელია, გაერთიანდება ერთ დიდ ეროვნულ ძალად და აუცილებლად გაიმარჯვებს და გადარჩება საქართველო!“

**გივი ზედგინიძე, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“:** მივესალმები მოძრაობა „ეროვნულების“ დაფუძნებას, რაიონებიდანაც კი არიან ჩამოსულები და ღმერთმა ქნას,



რომ გამართლდეს ის, რაც ზვიადის უნდოდა, თორემ, ამათ ხელში, ყველაფერს დავკარგავთ, თუკი რაიმე დაგვრჩა დასაკარგი. რაც დროულად მოვა ეროვნული ხელისუფლება, მით უფრო მალე ეშველება საქართველოს. ხუთი შვილიშვილი მყავს და იმათ თუ მომავალი არ ექნა, რა აზრი ჰქონია ჩემს ყოფას — ასეა, დღეის მდგომარეობით, ნებისმიერი ქართველის მომავალი განწირულია. თუ არ მოვიდა ერზე შეყვარებული ხელისუფლება, არანაირი საშველი არ გვექნება!“



**მერაბ შათირიშვილი, მწერალი:** — „ნებისმიერი საზოგადოებრივი გაერთიანება, ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფი, თუ ის ნამდვილად საქართველოს თავისუფლებაზე ფიქრობს, ამ ბრძოლაში უნდა ჩაებას.

მე თვითონ იმიტომ მოვედი ეროვნულებთან, რომ ვფიქრობ, ჩემი გამოსვლებით, ჩემი მენტალიტეტით, ჩემი მოქალაქეობითა და ჩემი ქართველობით სწორედ იქ ვდგავარ, სადაც ნებისმიერი ქართული ოჯახი“.



**გივი ფარადაშვილი, ახალციხის მე-9 ბატალიონის ხელმძღვანელი:** — „ძალიან კარგი დღეა... პირველ რიგში, ჩვენი იმედი ის არის მხოლოდ, რომ ისევ კაცური ხალხი უნდა შეიკრას ერთ მუშტად ერისთვის და ქვეყნისთვის, სამშობლოსათვის, დანარჩენი, ყველაფერი იქნება მომავალში. ქართველი იმიტომ იბადება, რომ სულით უნდა იყოს მებრძოლიც, მეომარიც და უკან დაუხეველიც. 8 წელი გაქცეული ვიყავი თურქეთში, რატომ, რისი გულისთვის? — იმიტომ, რომ ვისაც სამშობლო უყვარს, ის არავის უნდა, აი, ასე გამოვიდა... დიახ, მე შევქმენი პირველი გვარდია, სულ რომ არაფერი ჰქონდა — ამას დიდი გარჯა და ბრძოლა უნდა... ყველა ბრძოლაში მაქვს მონაწილეობა მიღებული, ე.წ „ბუნკერის“ ჩათვლით, ჩამოვთვალო?



**თენგიზ მაჭარაშვილი:** — „ძალიან გულიანი, ე.წ „ზვიადისტი“ ვიყავი და იმ პერიოდებში დავიჭერი, ვითომ შემთხვევით გავარდა იარაღი და ე.წ ბრმა ტყვია მომხვდა. ეს ის დროა, მიტინგები რომ ტარდებოდა, მერე დაყარეს ჭორები, ვითომ ოსიაო, დაჭრილისთვის ყურადღება რომ არ მოექციათ... შეძლებისდაგვარად ყოველთვის ვიცავდი თავს, გვერდზე ისეთი კოლორიტი ბიჭები მყავდნენ, რომლებიც მფარველობდნენ. რომელი ერთი ჩამოვთვალო, მსოფლიო ჩემპიონების და ძალიან დიდებული ქართველების გვერდზე გავიზარდე, 33 წლის ვიყავი მაშინ და ერთიმეორეს იმედით, როგორღაც გაგვქონდა თავი, რომ არავის მოეკლა რომელიმე ჩვენგანი. მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრი ბიჭები, ვითომ შემთხვევით, ჩუმ-ჩუმად ესალმებოდა სიცოცხლეს. ამჟამად, მე თვითონ ფილტვით დამაქვს ტყვია. დიდუბეში მიტინგი რომ იყო და „ვილისით“ შემოვარდა „მხედრიონი“ და დაგვაყარა ტყვიები — მანქანის უკანა მხარე გადმოხსნეს და ცეცხლი რომ გახსნეს, რამდენი ხალხი დაიჭრა, ჩემს გვერდზე მდგომ ბიჭს ჩემს თვალწინ წააცალა თავი, ბეწვზე ვარ გადარჩენილი... მერე, ვაგზალზე რომ მიტინგი იყო და ფეხით მოვაწყვეთ მსვლელობა, ცირკთან გადაგვიკეტეს გზა ავტობუსებით და სროლა აგვიტეხეს ბრმად, იქაც დაჭრეს და შეიწირეს ხალხი... ბევრი ტანჯვა-წამება გამოვიარეთ, მაგრამ შიშის გრძნობა საერთოდ არ არსებობდა, იმდენად დიდი იყო შინაგანი განცდა იმისა, რომ ვართ ქართველები და გვინდა თავისუფალი საქართველო, ქართველების საქართველო!

დღეს რომ მოძრაობა „ეროვნულების“ ყრილობაზე მოვედი, ვუყურებ და ჩემს თვალებს ვენდობი, ოცი წლის მანძილზე ასეთი ყრილობა არ ყოფილა, რაც თავისთავად დიდ იმედს იძლევა. მე მგონი, ჩვენ ისეთი კაცის გვერდზე ვდგავართ დღესდღეობით, ბატონ ბიძინა ივანიშვილზე ვამბობ, რომელიც ძალიან კარგად ხედავს, როგორ იტანჯება და იჩაგრება საქართველო და ქართველი ერი...“



**ერეკლე სადღიანი, პოეტი:** — „იცით რა არის, როგორც დიდი გალკტიონი წერდა, ილაპარაკეთ გეთაყვა, ოღონდ, ქართულად ილაპარაკეთ“, ასეა რა, მომენატრა ყველაფერი ქართული...

ახლა რა არის — სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს. მუხტი რასაც ჰქვია, ეს არის ის პირველი ეტაპი, რომელიც მოგამზადებს დიდი აზროვნებისთვის. სიტყვა ითქვა, ახლა სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე უნდა გადავიდეთ მიტინგიდან!...

**მაია ჭელიძე**

# mixeil saakaSvili saqarTvelos did gansacdels umzadebs

გთავაზობთ წერილს, რომელიც ზუსტად ერთი წლის წინათ გამოქვეყნდა „საერთო გაზეთში“ (№26, ივნისი, 2011 წ.).

## quTaisSi parlamentis gadataniT saqarTvelos orad gayofis gegma realur saxes iZens

*„დიდი მითქმა-მოთქმა და დისკუსიაა გამართული საქართველოში — რატომ გადააქვთ საკანონმდებლო ორგანო ქუთაისში?*

*ზოგი ამბობს, სააკაშვილი თბილისზეა გაბრაზებული და ამით თბილისელებზე შურს ძიობს — როგორ თუ ჩემს თავს „გრეჩიხა“ ამჯობინეთ? არ გევასებით? კაი, ბატონო, ირბინეთ ახლა აღმა-დაღმა და „სადაც თქვენსას იტყვით, იქ ჩემიც არ დაივიწყოთო“.*

*სხვების, ძირითადად, „ნაციონალების“ აზრით, გაბრაზება აქ არაფერ შუაშია — ეს ყველაფერი რეგიონის განვითარების და მისთვის ახალი ფუნქციის მინიჭების კეთილშობილური მიზნით კეთდება თურმე.*

*პეტრე ცისკარიშვილი უფრო შორს წავიდა და ასეთი უცნაური განცხადება გააკეთა —*

***პარლამენტი ქუთაისში იმიტომ გადაგვაქვს, რომ კონფლიქტის ზონასთან უფრო ახლოს ვიქნებით, რითაც მტერს ვაჩვენებთ, რომ ჩვენ მისი არ გვეშინიაო.***

*თუ მართლა ამის დასამტკიცებლად ატყდა ეს ამხელა ალიაქოთი, მაშინ ბარემ განმუხურში ან სულაც სადმე ცხინვალის გადასახვევთან გადაგეტანათ ეს საცოდავი პალამენტი, ამით უფრო არ დაამტკიცებდით თქვენს უშიშრობას და სიმამაცეს?*

*ჩვენი აზრით, ზემოთნახსენები ვერსიებიდან არც ერთი არ შეესაბამება სინამდვილეს.*

*საქმე ის რის, რომ სააკაშვილი ითვალისწინებს იმ ტრაგიკულ სიტუაციას, რომელიც შეიქმნა გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა პუტჩისტებმა თბილისიდან განდევნეს საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.*

*იმ დროს პარლამენტი ქუთაისში რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, გამსახურდია აუცილებლად მოახერხებდა ძალაუფლების შენარჩუნებას.*

*სააკაშვილი, როგორც ჩანს, სწორედ ამ დრამატული მოვლენების ანალიზის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მუდამ უკმაყოფილო და კაპრიზული თბილისიდან ადრე თუ გვიან გაქცევამ თუ მოუწია, მას ქუთაისში პარლამენტის სახით ისეთი საყრდენი ექნება, რომელსაც მისი მოწინაამდეგეები ძვრას ვერ უზამენ.*

*ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხი წყდება იქ, სადაც პარლამენტია.*

*თუ მოხდა ისე, რომ რაღაც ძალებმა, შეიარაღებული თუ მშვიდობიანი გზით ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, ამ ძალაუფლებას, სანამ პარლამენტი ქუთაისში იქნება, ლეგიტიმაცია არ უწერია.*

***როგორც ჩანს, რეალობასთან უფრო ახლოსაა ის მოსაზრება, რომ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრობისთვის კი არა, პარლამენტის თავმჯდომარეობისთვის ემზადება...***

*ქვეტექსტები იმ ცვლილებებისა, რომლებიც კონსტიტუციის ახალ ვარიანტში იქნა შეტანილი, სწორედ ამაზე მიგვანიშნებს.*

***ქუთაისში პარლამენტის გადატანით სააკაშვილი მარადიული პოლიტიკური თავშესაფრის მოპოვებას ცდილობს“.***

ამ წერილის გამოქვეყნებიდან, როგორც ვთქვით, ერთი წელი გავიდა.

ამ ხნის განმავლობაში ქუთაისში პარლამენტის შენობაც აშენდა და შენობაში პირველი „საცდელი“ სხდომაც ჩატარდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს „დისლოკაციის ადგილი“ ამიერიდან ქუთაისი რომ იქნება, უკვე დაკანონებულ-დამტკიცებულია.

**ქუთაისს უკვე მოიხსენიებენ საქართველოს მეორე დედაქალაქად, თუმცა არავინ აპროტესტებს და არავინ ამბობს, თუ რაში სჭირდება ერთ პატარა სახელმწიფოს ორი დედაქალაქი?**

მიხეილ სააკაშვილის არგუმენტი, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანა რეგიონის განვითარებას შეუწყობს ხელს და ეს ნაბიჯი სწორედ ამ კეთილშობილური მიზნით გადაიდგა, იმდენად აბსურდული და არაკვალიფიციურია, რომ მასზე სერიოზული მსჯელობა არც ღირს.

უდავოა, რომ ვინმე კაკო ბობოხიძის მიერ გაჟღერებული ეს ავანტურისტული იდეა, რომელიც პრეზიდენტი სააკაშვილის, მოქმედი პარლამენტის და მთავრობის მიერ ერთსულოვნად იქნა მიღებული და მოწონებული, ქართული სახელმწიფოს მთლიანობას და, საერთოდ, მის არსებობას უდიდეს საფრთხეს უქმნის.

**ადვილი შესაძლებელია, ამ უგუნურმა, აშკარად ანტისახელმწიფოებრივმა გადაწყვეტილებამ ქვეყნის ორად გაყოფა ან უარეს შემთხვევაში მისი რამდენიმე ჯუჯა სახელმწიფოდ დაშლა და დაქუცმაცება გამოიწვიოს.**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ დროს, როცა საქართველოს ტერიტორიაზე უკვე სახეზე გვაქვს ორი „დამოუკიდებელი“ სუბიექტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახით, რამდენად გამართლებულია ასეთი სარისკო ექსპერიმენტი, რომელმაც, შეიძლება, სახელმწიფოს რღვევის პროცესი კიდევ უფრო გაამძაფროს და გააღვივოს?

სააკაშვილისა და მისი გუნდის ეს მრავალმხრივ საეჭვო პროექტი ხელს ხომ არ შეუწყობს რუსეთის პოლიტიკურ წრეებში არაერთგზის გაჟღერებული დანაქადნის განხორციელებას, რომ რუსეთი თუ საბოლოოდ აიღებს ხელს საქართველოზე, მას იმ მდგომარეობაში დაუბრუნებს ქართველებს, როგორიც „ჩაიბარა“ — ფეოდალურ სამთავროებად დაყოფილს და დაქუცმაცებულს, კუთხეებად გამიჯნულს და დანაწევრებულს.

საქართველოს ხელისუფლების მიერ რეგიონის განვითარების თვალთმაქცური მოტივით შეფუთული ეს გეგმა რატომ ემთხვევა ასე საეჭვოდ რუსეთის ხელისუფლების მიერ, საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე კრიზისულ მომენტში, სამოქალაქო დაპირისპირების დროს შემოთავაზებულ გეგმას, საქართველო გაყოფილიყო ორად: აღმოსავლეთ საქართველოში შევარდნაძეს „ემეფა“, დასავლეთ საქართველოში — ზვიად გამსახურდიას.

**სქელი წითელი ხაზი, რომელიც ამ ოცი წლის წინათ ელცინმა საქართველო რუკაზე რიკოთის უღელტეხილის გასწვრივ გაავლო, როგორც ჩანს, დღემდე არ გახუნებულა და არ წაშლილა.**

გასაოცარია, რომ ამ ღია, გაცხადებულ საფრთხეს, რომელსაც პარლამენტის ქუთაისში გადატანა შეიცავს და რომელსაც შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყვეს საქართველოსთვის, ქართველ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი, ქართული საზოგადოება, უდრტვინველად და უშფოთველად შეხვდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ კანტიკუნტად გაჟღერებულ საპროტესტო განცხადებებს და რეპლიკებს ცალკეული პოლიტიკოსებისგან, რომლებიც სააკაშვილს და მის გუნდს აინუნშიც არ ჩაუგდიათ.

კატეგორიული, პრინციპული მოთხოვნა ხელისუფლების მისამართით, რომ მას დაუყოვნებლივ შეეწყვიტა ეს ანტისახელმწიფოებრივი, დანაშაულებრივი ქმედება, როგორც ვთქვით, არ ყოფილა.

**ძნელია იმის დადგენა, თუ რა შეიძლება იყოს ამგვარი საყოველთაო, საერთო ეროვნული აპათიისა და გულგრილობის მიზეზი საკუთარი ქვეყნის და საკუთარი ბედ-იღბლის მიმართ, როცა ხედავ, რომ სა-**



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**ხელმწიფო თავზე გექცევა, შენც კი მაინც მშვიდად ხარ და აუმღვრევლად ადევნებ თვალს საბედისწერო პროცესებს.**

იქნებ მიზეზი ამისა ისაა, რომ ვერ ვხვდებით, ვერ ვწვდებით, ვერ ვშიფრავთ ერთმანეთზე გადახლართულ, მკაცრად გასაიდუმლოებულ რთულ კომბინაციებს, რომელთა საშუალებითაც ქვეყნის შუაზე გადახსნას გვიპირებენ, თუმცა რა არის მისახვედრი, რა არის ჩასაწვდომი, რა არის გასაშიფრი, როცა ფაქტი სახეზეა, როცა ფაქტი მომხდარია.



**რაც უკვე მოხდა, იმაზე დიდი მტკიცებულება რა გინდათ — საქართველოს ორი დედაქალაქი აქვს, ერთში მთავრობა „განისვენებს“, მეორეში პარლამენტი, შუაში კი უღელტეხილი დევს — რომელიმე მხარეს ტვინი რომ გადაუბრუნდეს, ჩახერგავს ამ გზას, მის გაწმენდას ათი წელი მოუნდება.**

— ტყუილი შიშია, ვერავინ გაბედავს საქართველოს შუაზე გაყოფას, ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს! — შემომედავებიან, ალბათ, ოპტიმისტი ოპონენტები.

გაბედეს და ეგ არი...

თუ ვინმე ფიქრობს, რომ დღეს ქართული სახელმწიფოს შუაზე გაყოფას ბევრი უკლია, ძალიან ცდება.

უკლია რა შუაშია, გაყოფილია და ეგ არი.

არ გჯერათ?

ვისაც არ გჯერათ, ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნების დროს დაიჯერებთ...

**თუ ხელისუფლება დარწმუნდება, რომ არჩევნებს აგებს, აი, მაშინ გაცხადდება თავიდან ბოლომდე, სინამდვილეში რატომ მოაფარეს თვალს პარლამენტი და რატომ გადამალეს ლიხს იქით...**

მისთვის საძულველი თბილისიდან გაქცეულმა სააკაშვილმა პარლამენტიც ხელს გააყოლა, რომ მომავალში ხელის ბიჭად მოიმსახუროს და თავის საფეოდალოში სიცოცხლის ბოლომდე იბატონოს.

რაც შეეხება, საფეოდალოს, მშვენიერი კოხტა მინისახელმწიფო გამოვა.

აბა, დააკვირდით, ასეა თუ არა — იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი — მთაც არის, ბარიც არის და რაც მთავარია, არის ზღვა, ანუ არის გასასვლელი დანარჩენი მსოფლიოსკენ.

* * *

თემა, რომელზეც ამ წერილში ვისაუბრეთ (შეიძლება ზედმეტად ემოციურად და ზედაპირულად), ჩემი აზრით, არის მთავარი თემა, უმთავრესი თემა, რომელზეც დღეს ჩვენი პოლიტიკური ელიტა და ქართველი საზოგადოება უნდა ლაპარაკობდეს.

**ეს თემა პირდაპირ არის მიბმული ოქტომბრის არჩევნებთან, აგრეთვე იმ საგანგაშო პოლიტიკურ პროცესებთან, რომლებიც ჩვენს გარშემო ხდება.**

ჩვენ დღეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დაბრუნებაზე ვწუხვართ.

**თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ კი არა, დანარჩენი საქართველოც დასაბრუნებელი გაგვიხდეს...**

**ვახტანგ ხარჩილავა**

# Cvenia, magram ar gvekuTvnis!

გარეჯის სამონასტრო კომპლექსი 2,5 კილომეტრზეა განთავსებული, ამასთან სამონასტრო კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილი მოქცეულია საქართველო-აზერბაიჯანის 450 კილომეტრიანი საზღვრის ერთ-ერთ დაუდგენელ მონაკვეთში.

საზღვრები, რომლის შესახებაც, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საუბრობდა, გასული საუკუნის 20-იან წლებში დადგინდა. გადამწყვეტი აღმოჩნდა 1921 წელს ამიერკავკასიის ფედერაციის კავბიუროს ხელმძღვანელის, სერგო ორჯონიკიძის ხმა. აზერბაიჯანელი და სომეხი კომუნისტები ითხოვდნენ გარკვეულ ტერიტორიებს, კერძოდ, ლორეს — სომხები, ყარაიასველს და ზაქათალის „ოკრუგს“ — აზერბაიჯანელები. სერგო ორჯონიკიძემ, მართალია, ეს საკითხი სომხებისა და აზერბაიჯანელების სასარგებლოდ გადაწყვიტა, მაგრამ თან განმარტებაც მიაყოლა: სირცხვილია, მოძმე კომუნისტებს შორის საზღვარზე დავაო, მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას რომ მოვახდენთ, საზღვრები ისედაც აღარ იქნება და რატომ ვედაოთ ძმებსო. შესაბამისად, ყარაიას ველი და მათ შორის, სამონასტრო კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. თუმცა, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ორ სახელმწიფოს შორის დროებითი შეთანხმების საფუძველზე პირობითი საზღვარი იქნა გავლებული მონასტრის თხემზე ისე, რომ სამონასტრო კომპლექსის ყოველდღიური ცხოვრება არ შეცვლილა. ამბობენ, რომ აზერბაიჯანის საზღვრის დაცვის სამსახურში შეიცვალა იმ სამმართველოს ხელმძღვანელი, რომელსაც ევალევა "კეშიკჩის" პერიმეტრის კონტროლი, ("კეშიკჩის" აზერბაიჯანელები დავით გარეჯს უწოდებენ) და მას შემდეგ აღარ უშვებენ გარეჯის ტერიტორიაზე ქართველ მომლოცველებსო, მაგრამ საზღვრის დაცვის სამსახური დამოუკიდებლად ხომ ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებისას? ეტყობა, ჰქონდათ მთავრობისგან შესაბამისი მითითება.

### ვის ეკუთვნის დავით გარეჯი?

ისტორია თავად მონასტრის კედლებზეა ასახული, ეპიგრაფიული წარწერები და ქართული ფრესკები ნათლად მიუთითებს მის ქართულ წარმოშობაზე და ალბანურ კვალზე საუბარიც კი ზედმეტია.

კომპლექსი დაარსდა VI საუკუნის I ნახევარში ასურელი მამის — დავითის მიერ. დროთა განმავლობაში, მას განშტოებები შეემატა. XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა დავით გარეჯის მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია და ისინი გაანთავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან. XIV საუკუნის I ნახევარში გიორგი ბრწყინვალის მეფობისას, დავით გარეჯი მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა. მონასტერთა მესვეურნი მონაწილეობდნენ სამეფო დარბაზის მუშაობაში და ქვეყნის საეკლესიო საქმეთა მართვაში. 1424 წელს ალექსანდრე I დიდმა დავით გარეჯი მცხეთის საპატრიარქო ეკლესიას შესწირა. 1639 წელს თეიმურაზ პირველმა აღადგინა სპარსელების შემოსევების შემდეგ შეწყდარი სამონასტრო ცხოვრება დავით გარეჯში და იგი კვლავ მეფის ხელდებული გახდა.

### ვის ეკუთვნოდა საბჭოთა კავშირის დროს დავით გარეჯი?

მართალია, სერგო ორჯონიკიძემ აზერბაიჯანლებს საზღვრებთან დაკავშირებით დაუთმო, მაგრამ, რეალურად, დავით გარეჯი დაარსების დღიდან ყოველთვის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

როდესაც დავით გარეჯის სიახლოვეს განლაგებულმა სამხედრო პოლიგონებმა სამონასტრო კომპლექსი მნიშვნელოვნად დააზიანა, სწორედ საქართველოში 1988 წელს დაიწყო საპროტესტო მოძრაობა პოლიგონის დახურვის მოთხოვნით, რომელიც შემდეგ ეროვნულ მოძრაობაში გადაიზარდა.

სახალხო ზეიმი "გარეჯობა" კი სრულიად საქართველოს დღესასწაულად ითვლებოდა საბჭოთა კავშირის დროსაც და შემდეგაც.



### „ოქროს შუალედი“

ღია ტურისტულ ზონად გამოცხადება, ისტორიკოსების ნაწილს მიაჩნია, რომ დავითყ გარეჯი შესაძლოა სამონასტრო რესპუბლიკად, თავისუფალ ზონად გამოცხადდეს, ისევე, როგორც ათონის მთა.

აზერბაიჯანელი (და სამწუხაროდ, ბოლო დროს ქართველი) პოლიტიკოსები საზღვრის დელიმიტაციის პროცესის სამომავლოდ გადადებას გვთავაზობენ. მათი თვალსაზრისით, მთავარია, საქართველოს და აზერბაიჯანის სტრატეგიული ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდეს და საზღვრების დაზუსტება "მოიცდის". ამ პრინციპით ვმოქმედებდით უკვე ათეული წლებია და სადამდე მიგვიყვანა "მოიცდის" - ვნახეთ. ვერც მეჩეთების გახსნამ გვიშველა და ვერც ალიევის ძეგლის დადგმამ თბილისში, გარეჯი დაკარგვის პირასაა.

დავით გარეჯის შესაძლო დაკარგვამ საზოგადოების რეაქცია გამოიწვია, სიმართლე გითხრათ, მე პირადად, უფრო დიდ და მწვავე რეაქციას მოველოდი.

საინიციატივო ჯგუფმა "დაიცავი დავით გარეჯი" ძირითადი მოთხოვნები ჩამოაყალიბა. ისინი ითხოვენ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინოს დოკუმენტური მასალებით დასაბუთებული და არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზე გააკეთეს ქართული საზოგადოებისათვის მიუღებელი და შეურაცხმყოფელი განცხადებები, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ და კულტურის მინიტრმა. ასევე, საქართველოს მთავრობას მოსთხოვეს, 31 მაისამდე (წმ. დავით გარეჯის ხსენების დღემდე) დავით გარეჯის თაობაზე წარმოებული მოლაპარაკებების სტენოგრამების და ოქმების საჯაროობა მოხდეს.

### რატომ სურთ აზერბაიჯანელებს რომ დავით გარეჯი ალბანურ ძეგლად ითვლებოდეს?

საქართველოს ამჟამინდელი სტრატეგიული პარტნიორი, აზერბაიჯანი დავით გარეჯს ალბანური წარმოშობის ძეგლად მიიჩნევს. დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ალბანეთი, როგორც ქრისტიანული სახელმწიფო, ნამდვილად არსებობდა. დღემდე შემორჩენილია ალბანური კულტურის ძეგლები, მაგრამ დავით გარეჯი ქართული კულტურული ძეგლია და ამის დამამტკიცებელი უამრავი წერილობითი დოკუმენტი გაგვაჩნია. ქართულმა მხარემ, დავით გარეჯის სამონასტრო კოპლექსის სანაცვლოდ, აზერბაიჯანს სხვა ტერიტორია შესთავაზა, მაგრამ ამაზე უარი განაცხადეს. საქმე ისაა, რომ ეს თემა მათთვის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს უკავშირდება. კერძოდ, ისინი მთიან ყარაბაღში არსებულ უძველეს ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს ალბანური კულტურის ძეგლად აცხადებენ და რადგან ალბანური კულტურის მემკვიდრე სწორედ აზრებაიჯანია, ამ ლოგიკით, დავით გარეჯიც მათ უნდა ეკუთვნოდეთ. ამდენად, ბაქოში ფიქრობენ, რომ თუკი რომელიმე ქრისტიანულ ძეგლთან დაკავშირებით აზერბაიჯანი დათმობაზე წავა, ეს მათ მთიანი ყარაბაღის საკითხშიც პრობლემას შეუქმნის და წყალში ჩაიყრება მათი ამდენი წლის შრომა, სომეხი ისტორიკოსები კი მათ განახლებული არგუმენტებით შეუტევენ.

როგორც ვნახეთ, ორი სახელმწიფოს მოლაპარაკების შემდეგ, დავით გარეჯში მომლოცველთა გადაადგილებას მესაზღვრეები ხელს აღარ უშლიან, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ადვილი შესაძლებელია, ხელისუფლებამ არჩევნების შემდეგ მსგავსი განცხადებები გაიმეოროს. მაინც რაზე გავურიგდით და რის საფასურად ვუთმობთ დავით გარეჯს აზერბაიჯანს — უცნობია. ფაქტი ერთია, დავით გარეჯით სპეკულირება, მისი გაყიდვა, გასხვისება, სამხედრო პოლიგონებზე ჩატარებული „ვაი მეცადინეობებით" დაზიანება — ღვთისა და ერის ღალატის ტოლფასია, მაგრამ არც სერგო ორჯონიკიძეს და არც დღევანდელ ხელისუფლებას, ღვთის შიშით და ერის რისხვით, როგორც სჩანს, ვერ შევაშინებთ.

**თამარ კეშელავა**



# `CvenisTana bednieri, gana aris sadmeeri...~

## თუ მართლა ბედნიერი ერი ვართ, რატომ მოხვდა საქართველო უბედური ქვეყნების ათეულში?

უკვდავი ილიას სიტყვებს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა და, ალბათ, კიდევ დიდხანს მოგვადგება ენის წვერზე, თუ ქვეყანაში ძირეული ცვლილებები არ გატარდა. ხალხი რომ ცვლილებებს ელოდება და მზად არის ამისთვის ყოველგვარ რისკზე წავიდეს, ეს 27 მაისის აქციამაც დაადასტურა. დაშინების, შიმშილის, სამსახურის დაკარგვის დიდი ალბათობის მიუხედავად, ათობით ათასმა ადამიანმა მშვიდობიანი გზით დაანახა მსოფლიოს ცვლილებების გარდაუვალობის აუცილებლობა, რადგან ქვეყანაში რევოლუციის წინ არსებული სწორედ ის კლასიკური მაგალითია, როცა მმართველ კლასს აღარ ძალუძს ქვეყნის მართვა და ხალხს აღარ სურს ამ მმართველობის ატანა. ოღონდ რევოლუცია ამ შემთხვევაში სულაც არ ნიშნავს ზამთრის სასახლის აღებას (ამ შემთხვევაში ჰავლაბრის სასახლის) და სისხლის მდინარეებს, რევოლუციაც დემოკრატიულად უნდა მოხდეს ამ შემოდგომით — არჩევნების გზით!

„ნაციონალური ტელევიზიები" მუდმივად ჩაგვჩიჩინებენ, რომ ქვეყანა აყვავდა, აღორძინდა, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიც უკან ჩამოვიტოვეთ, სინგაპურს დავეწიეთ და გავუსწარით და ამის დასტურად კი სტატისტიკურ მონაცემებს გვთავაზობენ, რომელიც გარშემო არსებული რეალობისგან აბსოლუტურად განსხვავდება. ჩვენს ქვეყანაში ფურცლებზე დაბეჭდილი „ბედნიერი აწმყო" აშკარად განსხვავდება ჩვენს მაცივრებსა და ჯიბეებში გამეფებული მყოფადისაგან, სადაც დიდი ხანია თაგვები დათარეშობენ. „მაძღარ მღვდელს დიაკონიც მაძღარი ეგონაო", — ეს მკრეხელური გამონათქვამი გამახსენდა ჩვენი ნაპატიები ჩინოვნიკების დანახვაზე, რომელთაც ნამდვილად არ აწუხებთ არც დაბალი ხელფასი, არც გადასახადების მაღალი ტარიფები, არც დენზე მიბმული ნაგავი და არც შვილების ჯანმრთელობის ხარჯზე გაკეთებული ეკონომია. ჩვენი ხელისუფლება სწორედ იმ აღთქმულ მიწაზე ცხოვრობს, რომელსაც 2003 წელს გვპირდებოდა, თავად მიაღწია, მაგრამ ჩვენი იქ წაყვანა დაავიწყდა ან დაეზარა, ჩვენ ბევრი დაგვრჩებას პრინციპით. ხოლო „აყვავებული ქვეყნის" სტატისტიკა კომუნისტური პერიოდის ქაღალდზე შესრულებულ ხუთწლედის გეგმებს დაემსგავსა. ისე, არც ნაცმოძრაობა განსხვავდება დიდად კომუნისტებისგან, თუმცა, მგონი ისინი ჯობდნენ, კარგად თუ ავად სწავლა და სამედიცინო მომსახურება მაინც იყო უფასო.

თუმცა, მოდით ისევ სტატისტიკას დავუბრუნდეთ, რომელზეც დგას ქვეყნის მდგრადობა. როგორც ცნობილია, დავოსის ეკონომიკური ფორუმისთვის ჩატარდა სხვადასხვა კვლევა, რომელთაგან ერთ-ერთი "უბედური ქვეყნების" სტატისტიკას ეხებოდა. კვლევა ჩატარდა 155 ქვეყანაში, სადაც შეისწავლეს ადამიანების განწყობა სამ კითხვაზე პასუხით: ცხოვრობთ თუ არა ხალისიანად? დაძაბული ხართ თუ არა? იტანჯებით თუ არა ცხოვრებისგან?

საქართველო ტანჯვის ხარისხის მიხედვითაც გამოირჩევა. კერძოდ, მოსახლეობის 35% იტანჯება, 55% დაძაბულია,10% ხალისობს. ე.ი. მოსახლეობის მინიმუმ 90% მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. ალბათ, ყველასათვის გასაგებია, რომელი 10%-ია ცეკვა-თამაშის ხასიათზე, ალბათ აქედან გამომდინარე უნდა იფიქრონ ნაციონალებმა მაქსიმუმ ხმების რა რაოდენობას უნდა ელოდონ საპარლამენტო არჩევნებში შემოდგომაზე. ნაკლებად მჯერა, მოსახლეობის დაძაბულ-დატანჯულმა ნაწილმა თავიანთ მტანჯველ-მძაბველის ხელახლა კუნტრუშს მისცეს ხმა.რადგან ტანჯვის ხარისხით მხოლოდ ისეთი ქვეყნები გვისწრებენ, როგორიც ბურუნდი და ჰაიტია, ეს მონაცემებიც "**WORLD ECONOMIC FORUM**"-მა გამოაქვეყნა.

როგორც ერთ-ერთ გადაცემაში ბატონმა გია მაისაშვილმა განგვიმარტა: „გაერთიანებულმა ერებმა დაუკვეთა მეცნიერების ძალიან ცნობილ ეკლექტურ ჯგუფს, რომ გააკეთონ კვლევები ბედნიერ და უბედურ ზონებზე. მოახდინეს ყველაზე ბედნიერი და უბედური ქვეყნების გრადაცია, რანკირება. ბედნიერი ქვეყნების პირველი ათეული ასე გამოიყურება: 1.კოსტა-რიკა, არამოძალადე ქვეყანა, 2.დანია, რომელიც არის სახელმწიფოს მშენებლობის მაგალითი, მართლაც ქრესტომათიული მაგალითი იდეალური სახელმწიფოსი და ამასთან არ დაგვავიწყდეს, რომ იგი ჩვენსავით პატარა ქვეყანაა; 3.ისლანდია, 4.შვეიცარია, 5.ფინეთი, 6.მექსიკა, მიუხედავად იმისა, რომ მექსიკა კრიმინალური ქვეყანაა, არც სიმდიდრით გამოირჩევა, მაგრამ სამაგიეროდ არაჩვეულებრივი სოციალური ურთიერთობები აქვთ, კარგად იციან დრო როგორ გაატარონ, აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს ლათინური კულტურა. 7. ნორვეგია, 8.კანადა, ვიღაცამ თქვა, რომ უფასო ჯანდაცვა, ხომ სოციალიზმიაო, აი, კანადაში ჯანდაცვაც და განათლებაც უფასო და ამასთან უნივერსალურად წარმატებული და მიმზიდველი ქვეყანაა. ამ გადასახედიდან კანადა ყოფილა ჩამორჩენილი სოციალიზმი და საქართველო, რომელშიც 1% განაგებს ყველაფერს და 99 პროცენტს არაფერი აქვს, ყოფილა წარმატებული. მეცხრე ადგილზეა პანამა, მეათეზე — შვედეთი და მეოცეზე — ამერიკა".

ჩვენს ხელისუფლებას თუ დავუჯერებთ, ჩვენი მზარდი და მდგრადი ეკონომიკით, აღმშენებლობის ტემპებით, რეფორმირებული თუ დეფორმირებული სასამართლო, სასჯელაღსრულების, განათლების, კულტურის, მეცნიერების და, კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო, სისტემით, უკვე სამხედრო აღჭურვილობის წარმოების ხარისხითაც კი, ბედნიერთა სიაში პირველ თუ არა, მეორეში ათეულში მაინც უნდა მოვხვედრილიყავით, მაგრამ საკუთარ თვალებს თუ არ დავუჯერებთ, ეს ოხერი სტატისტიკა ხომ მაინც არ ტყუის. თან ეს კვლევები არც ნაცმოძრაობის დაფინანსებულია და არც ქართული ოპოზიციური ფრონტის, გაყალბებაში რომ დასდონ ბრალი. როგორც ბატონმა გია მაისაშვილმა აღნიშნა: „ახლა ყველაზე უბედური ზონა განვიხილოთ. აქ პირველ ადგილზეა ზიმბაბვე; მეორეზე — სომხეთი; მესამეზე — მოლდოვა, მეოთხე — ბელორუსია, მეხუთე — უკრაინა, მეექვსე — ალბანეთი, მეშვიდე — ერაყი, მერვე — ავღანეთი, მეცხრე — საქართველო, მეათე — რუსეთი. სომხეთს ამ ზონაში მეორე ადგილი იმიტომ უჭირავს, რომ მისი ყოველდღიური ცხოვრება არის წარსულზე ორიენტირებული. ამბობენ, რომ ჩვენ ყველაზე კარგები ვიყავით და თქვენს გამო ვართ დაჩაგრული და ა.შ."

ვერ გეტყვით რა პრინციპით გადანაწილდა „საკონკურსო ადგილები", ეს იყო ისტორიული ძნელბედობა თუ სასტიკი აწმყო, რადგან ამ ორივე კრიტერიუმს ვაკმაყოფილებთ. რაც შეხება სომხეთს, თუ არ ჩავთვლით „ველიკაია არმენიას" განუხორციელებელ იდეას, მაინცდამაინც არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია მეორე ადგილზე, ბოლო-ბოლო ყველაზე დიდი დიასპორები სომხებს ჰყავთ საზღვარგარეთ და სწორედ ქვეყნიდან გასული მოსახლეობის ხარჯზე ცხოვრობს. არც ამერიკაში არსებული ყველაზე მძლავრი სომხური ლობი უნდა დავივიწყოთ, რომელიც არათუ თავის ისტორიულ სამშობლოზე ზრუნავს, არამედ, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ხანდახან მოძმე სახელმწიფოს ახალ ხელისუფლებასაც კი აკომპლექტებს ეთნიკური სომხებით. მაგრამ სჯობს აქ შევჩერდეთ, ქსენოფობია არავინ დაგვაბრალოს. ისე, ჩვენში დარჩეს და მგონი, საქართველოც აღარ ჩამორჩება ქვეყნიდან გასული მოსახლეობის რაოდენობით, სომხეთი რას აწარმოებს ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ჩვენი ქვეყანა რომ მხოლოდ გრანტით და საშოვარზე გადახვეწილი ქართველების ფულით ცხოვრობს, ამას დიდი ეკონომიკური განათლება არ სჭირდება, თავად ვერც კი ხვდება, ვერაზე უკეთ ხვდება ხელისუფლება, ოღონდ ხმამაღლა არ აღიარებს და გრანტებს თუ საგარეო ვალებს ისე აფორმებს, როგორც ქვეყანაში შემოსული ინვესტიცია. სინამდვილეში კი, როდის მოგვადგება კარზე ვინმე „საზიზღარი კაპიტალისტი" და დარჩენილ სულს ამოგვართმევს, არავინ იცის. სულს იმიტომ, რომ სულს იქით უკვე აღარაფერი გვაბადია, გასაყიდი დიდი ხანია გაყიდულია.

ისე ძალიან მიკვირს ამ სიაში მხოლოდ მეცხრე ადგილით რომ „დავკმაყოფილდით", რადგან თუ სტატისტიკას (ისევ ეს წყეული სტატისტიკა) დავეყრდნობით მილიონნახევარზე მეტი საქართველოს მოქალაქე გაქცეულია ქვეყნიდან უსახსრობის გამო! 900 000 უმწეობის დახმარებს იღებს(30 ლარს?)! კიდევ 600 000-ს უარი ეთქვა ამ დახმარებაზე! 300 000 ბანკროტია ბანკების სიებში! ბოლო სამი წლის განმავლობაში, საცხოვრებლისა და პირადი ქონების გარეშე დარჩა 151 000 ოჯახი.....აღარაფერს ვამბობ ტერიტორიებზე ან რაც დაგვრჩა ვინ სარგებლობს იმ რესურსით.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე კი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი ანუ ბატონი სააკაშვილი იქეთ ამერიკას აბოლებს, აქეთ ევროპას და შუაში - ჩვენ, რადგან ჩვენ, ხალხი, მას დიდი ხანია სწორედ შუაში ვკიდივართ: "ჩვენთან ხომ მოსახლეობის 53 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა იყო... ახლა კი ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე ჩვენ წინ მივიწევთ, თან ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ეს ვინმეს წარმოედგინა.... საქართველო შეიცვალა, მაგრამ ეს ცვლილება მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლებით არ აისახება. მაშინ, როდესაც პრეზიდენტი გავხდი, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით, 1200 ამერიკულ დოლარს შეადგენდა, მაგრამ მომდევნო წლის დამლევს ამ მაჩვენებელმა 6 ათას დოლარს მიაღწია. ეს ჯერ კიდევ დაბალი შემოსავალია, მაგრამ ღარიბი ქვეყნების სიაში უკვე აღარ ვართ."



საინტერესოა, როდის აქეთ აღარ ვართ ღარიბი ქვეყნების სიაში, და თუ ჭეშმარიტებას ღაღადებენ მისი ბაგენი, მაშინ რამ დაამშია ქვეყნის მოსახლეობა, რატომ გვყავს ამდენი უპოვარი, რატომ იკვებება ამდენი ბავშვი ნაგვის ურნიდან ამოღებული პურის ნატეხებით და ნარჩენებით, რატომ გარბიან ჯანმრთელი ქალები საზღვარგარეთ სამუშაოდ, „პამპერსის" გამომცვლელებად კაცები კი - შავ მუშებად, სადაც მათი უფლებები აბსოლუტურად დაუცველია და ყოველმა მათგანმა კარგად იცის, რომ თანხმდება რა ამ სამუშაოს, თავად აწერს ხელს საკუთარ ტრეფიკინგს, სხვა შემთხვევაში კრიმინალურ სამყაროს უნდა შეეკრას, რომ სახლში დატოვებულ ცოლშვილს პურის ლუკმა გამოუგზავნოს. ხოლო უკვე რამდენი შემთხვევა გვაქვს, როცა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა ჩვენი მოქალაქეებისთვის ფატალური შედეგით დასრულდა. მოკლედ, ძალიან ბევრი, რატომ დაგროვდა, რომელზეც პასუხი ხელისუფლებამ უნდა გაგვცეს, ძველმა თუ არა შემოდგომაზე — ახალმა მაინც. იქნებ მომავალ წელს, როცა კვლავ შეუკვეთავენ კვლევას გაერთიანებული ერები, ბედნიერთა სიაში თუ ვერ მოვხვდებით, უბედურთა სიაში მაინც აღარ აღმოვჩნდეთ.



**ნ. მამისაშვილი**

# სატელევიზიო არხის, ე.წ. რეალ-ტივის ხელმძღვანელსა და შემქმნელს, ქალბატონ გურგენას რ ე პ ლ ი კ ა

ქალბატონო გურგენა! გუშინდელ დღესავით მახსოვს, როგორ გამოდანდალდი პოდიუმზე დიდი, მრგვალი მძივებით და როგორ მოაგორებდი გამოცდილ და მიმნდობ უკანალს მდედრული რწევით. სამართალი რომ არსებობდეს, ტელევიზია კი არ უნდა გებაროს და ქვეყანას კი არ უნდა წამლავდე თეთრი ძაფით ნაკერი ტყუილებით, არამედ საპყრობილეში უნდა ეგდო შენნაირ ავაზაკებთან ერთად; იმიტომ, რომ მკვლელი ხარ და სისხლის სამართლის დამნაშავე. მით უმეტეს, რომ შენნაირებს დიდი გასავალი აქვთ ციხეში და შენც სიამოვნებით იწკმუტუნებდი ღამღამობით.



მე მთელ საქართველოს ხშირად შევახსენებ, რომ იდაყვებამდე სისხლით ხარ დალებილი, რომ ქართველმა ხალხმა არასოდეს არ გაპატიოს ჩადენილი არაერთი უმძიმესი დანაშაული. რაც შეეხება შენსა და შენი უსირცხვილო არხის მოღვაწეობას, რომელიც ხალხში საყოველთაო ზიზღს იმსახურებს, მე რომ მკითხოს კაცმა, წესიერი საქართველოს წისქვილზე უფრო ასხამს წყალს, ვიდრე ამ წამლით გასიებული გარეკილის წისქვილზე.

ცნობილმა აფერისტებმა მოუხშირეს შენი ეკრანიდან პოლიტიკური ანალიზების განვრცობას და ისე შლიან ხელებს, თითქოს ნახევარი საქართველო მოსაკლავად არ დასდევდეთ... რაც შეეხება მიშას ქარიზმას, ეს უფრო მტვერში არეული ქარის ხმაა და სხვა არაფერი.

ჩოლოყაშვილი, ბოროტი ბოლმისგან რომ სახე უსივდება, ცუდ საქმეს გიკეთებს. იმიტომ, რომ ნამდვილი საქართველო მაგის დანახვაზე იფურთხება და თან მსუყედ „ლოცავს“ მას და მისნაირების დედას და მამას.

ქალბატონო გურგენა, მალე დამთავრდება თქვენი კუნტრუში და მალე გნახავენ გალიაში ან ქალებთან, ან კაცებთან ერთად (შენ, რასაკვირველია, კაცებთან გენდომება, რატომ? შენც და მთელმა საქართველომაც კარგად იცის).

ახლა, გინდა შემომახტით და გინდა დამახტით მეზობლის კურდღლებივით შენ და შენი პატრონები და შენი უზნეო ქვეშევრდომები...

**რეზო ამაშუკელი**

**რედაქციისგან: ავტორის კატეგორიული მოთხოვნით ტექსტი იბეჭდება უცვლელად.**

# facebook xalxis azriT

არ ვიცი, მართალია თუ არა, მარა ერთმა პოლიციელმა გაახმაურა ვანოს ნათქვამი: “აკვანში ბავშვის მოკვლა რომც დაგვჭირდესო, ეს არჩევნები მაინც უნდა მოვიგოთო”. 4 თვის წინანდელი ბაზარია რაიონში, რაღაც შეკრებაზე გადმოუფრქვევია მჭევრმეტყველს.

იყო გვერდი „პიზდეცინტელექტუალიზმი“, რომელზეც განთავსებული იყო მიშისტების გამონათქვამები, კარგს რას იტყოდნენ ეხლა ლაშა ბერულავა, ქეთა გაბიანი, ზურა ოდილავაძე, მიშა თავხელიძე და ა.შ. ცოტა ხნის წინ ამ გვერდის ადმინმა დაწერა, რომ პირად მიმოწერაში კატეგორიულად თხოვდნენ მოეხადა ბოდიში, გაეუქმებინა ეს გვერდი, თორემ დაიჭერდნენ და გვერდიც გაუქმდა 2 წუთში... ცუდად არის საქმე, ტერორი მიდის და ნულოვანი ტოლერანტობა შედის ახალ ფაზაში!

სამწუხაროდ, საღად მოაზროვნე საზოგადოება, დღეს, საქართველოში უმცირესობაშია. მარტო გრანდიოზული აქციები, შეხვედრები მოსახლეობასთან, შესაძლებლობის ფარგლებში მათი დაცვა ხელისუფალთა განუკითხაობისაგან და პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ადამიანთა გარკვევა არსებულ სიტუაციაში, მათი გამხნევება მოგვცემს შანს, ხალხმა არჩევნებზე სწორი არჩევანი გააკეთოს. ეს არ არის ადვილი სამუშაო, სიძნელეები წინ არის, რაც უნდა ერთობლივი ძალისხმევით დაიძლიოს. მხოლოდ ოპოზიციონერთა გაერთიანება არსებული რეჟიმის დასამარცხებლად მოგვცემს შედეგს ერთფეროვან, დაუძლურებულ, დაბეჩავებულ და გალატაკებული მასის ( სამწუხაროდ, ასეთნი ვართ დღეს) ჭეშმარიტებიკენ მოქცევაში. ოპოზიციონერებო, გაერთიანდით არსებული რეჟიმის დასამარცხებლად!

ადრე ქალაქელმა იცოდა, რომ სოფლელი თუ არ მოიყვანდა მოსავალს, შიმშილი არ ასცდებოდა.. ასევე სოფლელმაც იცოდა, თუ ქალაქელი არ აწარმოებდა ტანსაცმელს, იარაღს და ა.შ. ვერ იცხოვრებდა.. ესევე მთიელმა იცოდა, ბარში თუ არ იქნებოდნენ კარგად,ვინ იყიდიდა მათ ნაწარმს, ერბოს და ხორცს. ესე იყვნენ სხვადასხვა კუთხეებიც და ცხოვრობდნენ გონიერად... ეხლა, როცა ადამიანი გრანტით ცხოვრობს, ფეხებზე არ ჰკიდია მეორე? პირიქით, აქ რომ გონიერად იცხოვროს ხალხმა, რა დედიმისისაში მისცემენ გრანტს?.... დანარჩენებიც გაყუჩებულები არიან, უფლებებს-უფლებადამცველები იცავენ, სამართალს სტრასბურგში ვეძებთ, ტერიტორიებს ჰააგა დაგვიბრუნებს... რა ჯობია? წამოწექი ბუნებაში (ვიდრე ბოლომდე გაუჩეხიათ და გაუჩუქებიათ) და იხვრინე...ცხოვრება კი არა ნეტარებაა.... ვიღაცა და გვიშველის-გაჩეჩილაძე, ბურჯანაძე, ან ივანიშვილი... მე რატომ შევიწუხო თავი??

# da Rmer Tma Sehqmna qar Tve l i qa l i... da qar Tve l i homoseqsua l istebi

## (თემის გაგრძელება დანართით)



**ლ. მ.** — ბევრი დრომოჭმული და არაფრისმთქმელი ტრადიცია გვაქვს, ბევრ რამეს უცნაური ახირებებით ვუყურებდით და აღვიქვამდით: მხედველობაში მაქვს ახალგაზრდების მიერ პრეზერვატივის ხმარება, რაც ქალისადმი შეურაცხყოფის მიყენებად ითვლებოდა; ოღონდ ამ შეურაცხყოფისგან თავის არიდებას აბორტებზე გინეკოლოგებთან სირბილი მოჰყვებოდა ხოლმე, უარეს შემთხვევებში არალეგალურად და არაერთი ახალგაზრდა ქალის სიცოცხლე შეეწირა კიდეც. ქართველი ქალი და კაცი გამოგონილი ტრადიციების მიხედვით შეჰყურებდნენ ერთმანეთს და ფანტაზიებს სხვებთან იკმაყოფილებდნენ, თუმცა, ასე თუ ისე, ტენდენცია უცხოელებისკენ მიდრეკილებისა ნაკლები იყო, ვიდრე ახლაა. მოვედით აქამდე დაავადებული თაობებით, გაუცხოებულნი ერთმანეთის მიმართ. ჩვენს მიერ მოხსენებულ დრომოჭმულ ტრადიციებს და კომპლექსებს დაერთო უმძიმესი ტვირთი — უფულობა, ეკონომიური სიდუხჭირე, რაც ადამიანის ფსიქიკურ და მორალურ დაკნინებას გულისხმობს.

**„გვინდა ახლა ჩვენ ცისფერებისა და ვარდისფერების გაზრდილი შვილები?? ამათი ცისარტყელა დედა...!“**

**გ. მ.** — ღმერთმა ქალიც შეჰქმნა და კაციც, ბატონო, მაგრამ ძალიან პატარა შეჰქმნა ჩვენი ქვეყანა და ერი. ამიტომ მე ძალიან მინდა ერთ საკითხზე შევაჩერო თქვენი ყურადღება — სექსუალურ უმცირესობებზე მოგახსენებთ. რა გეებისა და ლესბოსელების დაცვა და გაპიარება მოგვინდა?! მსოფლიო სექსუალურ უმცირესობათა დაცვის დღეს აღნიშნავსო. აღნიშნონ მერე, ჩვენ რა?? ცივილიზებული ქვეყნებიდან გადმოღებული არც ერთი კარგი მაგალითი ჩვენში მე არ მინახავს. ვბაძავთ ყველაფერ ცუდში და რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, ისეთ რამეებში, რაც იმათ უკვე უკან ჩამოიტოვეს. თქვენ იცით, რა სადა, რა პურიტანები არიან ამერიკული ოჯახები? ამერიკაში კანონს რომ იღებენ ერთსქესიან ქორწინებების შესახებ, არც ესაა აღსაფრთოვანებელი, მაგრამ შტატებში 200 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, ჩვენ სამი მილიონიც აღარ დავრჩით და კიდევ ამათი “ბლატაობა” გვინდა? უნდა ვიმოქმედოთ ისე და კანონებიც ისეთი უნდა მივიღოთ, რაც ჩვენს ქვეყანას შეეფერება და შეეშველება. წარმოიდგინეთ ადამიანს სახლში ცარიელი ხმელი პური ედოს, ყველიც არ ჰქონდეს ზედ მისაყოლებელი და ჰავაის კუნძულებზე გასამგზავრებელ საგზურზე ფიქრობდეს — ასეა ჩვენი საქმე. შვილები ნორმალურად გამოკვებონ და ელემენტარული განათლება მისცენ, ოჯახები ბანკის ვალებს იდებენ, რა დროს გეებია? მაშინ ნუღარ გვექნება პრეტენზია ქართველი ქალი რომ უცხოელისკენ გაიხედავს.

ჯერ გაიძახიან ჩვენი უფლებები დაიცავითო, მერე მოითხოვენ შვილების გაჩენა-აყვანის უფლება მოგვეცითო. გვინდა ახლა ჩვენ ცისფერებისა და ვარდისფერების გაჩენილ-გაზრდილი შვილები? ამათი ცისარტყელა დედა... არ გვაქვს ბატონო, ჩვენ ამისი ფუფუნება, არა! დავანებოთ თავი რაღაც უაზრო მანჭვა-გრეხვას და ერთმანეთს მივხედოთ.

**ნ. ა.** — ამ ორიოდე კვირის წინ, მე და კიდევ სამმა დაქალმა ღამის ბარში წასვლა გადავწყვიტეთ, თან იმ საღამოს რაღაც საინტერესო „ფართი“ იგეგმებოდა. ჰჰოდა, მოვემზადეთ გოგონები, სალონი, სოლარიუმი, ვიზაჟი... გამოვეწყვეთ და წავედით. მივუსხედით ჩვენს მაგიდას, საზოგადოება იყო უკვე შეკრებილი, იქვე ახლოს, მაგიდასთან ისეთი ყმაწვილები ისხდნენ, თვალს ვერ მოაშორებდით. ჩავთვალეთ რომ საინტერესო ახალი ნაცნობობა გველოდებოდა და დროს ტყუილად არ ვკარგავდით. დავიწყეთ კოქტეილის სმა, ეშხში შევიდა ნელ-ნელა სიტუაცია, ანუ როგორც იტყვიან, გაჯაზება დაიწყო. თუმცა ამ გაჯაზებას ჩვენი, ოთხი დაქალის ეჭვები მოჰყვა მეზობელ მაგიდასთან მსხდომი “კრასავჩიკების” მიმართ, ისეთი მანერები ჰქონდათ, ბევრ ქალს რომ შეშურდება. საერთოდ არ მოგვაქციეს ყურადღება, მერე რეკავს ერთ-ერთის ტელეფონი, “ვაიმე, სიცოცხლე!” — ისმის ამისი ოვაციები — ნუ, რა მყავხარ!! თეენქ! “პარიზში ვიჩითები!” — მიახარა “ძმაკაცებს”. “რა გიჟი ხაარ!” — მოჰყვა რეპლიკები, “რა ბიძა ააგდე!!”... ჩვენ კი გადავხედეთ უსიტყვოდ ერთმანეთს. “ჩვენ ვართ ქალები?” — ამბობდა ერთმანეთისადმი მიპყრობილი მზერა. გგადის კიდევ ცოტა ხანი და იმათ მაგიდას ახალგაზრდა ბიჭი უახლოვდება, 20 წლისა თუ იქნებოდა. თვალები აშკარად შეღებილი აქვს. „კოცნა, მოკითხვა... “გავსუქდი”, — წუხს ახალგაზრდა და წელზე ისვამს ხელს, მერე ბარისკენ მიდის, გრაციოზული მოძრაობით იხრება ბარმენისკენ, რომელიც “ნათურალია” (ნატურალური ორიენტაციის მიმდევარი) და სასმელს უკვეთავს, ცდილობს შეაბას, საკმაოდ სიმპათიურია ბარმენი, იქნებ “ნათურალობისგანაც” გადაახვევინოს.

ასე გაიარა იმ ღამემ და „ფართმა“. წამოვედით სალონ-სოლარიუმმოვლილები, მოვდიოდით და თან ჩვენს თავზე გვეცინებოდა. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ: ქართველი ქალი ან გოგო თუ სადმე ნამდვილ მამაკაცს შეხვდება, იმის ეროვნებას, რჯულს და მამა-პაპის წარმომავლობას დაუწყებს გამოკითხვას? ალბათ, არა.

**თამუნა ქადაგიძე**

# muyaos `titanikidan~ _ saxelwodebiT miSa, virTxebis gamoqceva daiwyo

ბევრჯერ საუბარი მიდიოდა იმაზე, რომ ივანიშვილი პოლიტიკოსი არ არის, პოლიტიკის არაფერი გაეგება. ზოგი ფილოსოფიურ თუ ფსიქოლოგიურ გამოსვლას უწუნებდა და ზედმეტად რთულ აზროვნებაში სდებდა ბრალს. მის ოპონენტებს დაავიწყდათ, რომ ბიზნესის კეთებასაც პოლიტიკა და პოლიტიკოსობა სჭირდება. "ნაციონალების წარმოებულ ბიზნესისგან" განსხვავებით, როცა სხვებს ართმევენ, ობშერულ ზონებში არეგისტრირებენ და სამშობლოს გაყიდვაც ბიზნესად აქციეს. რასაც უნამუსობა და მტაცებლობა ჰქვია. ასეთი ბიზნესი აქვს ტრამპსაც. საერთოც ამ ხელისუფლებასთან ამიტომ გამონახა. თანაც არაფერში ზარალის ფულის აღებაც ხომ "ბიზნესია". ბიძინა ივანიშვილმა სატელევიზიო გამოსვლებით მთელს პოლიტიკურ სპექტრს – ნაციონალებს, მთელი თავისი ვითომ ოპოზიციით და თვით კოალიციაში შემავალ ოპოზიციასაც კი 10: 0 მოუგო. მოკლე და ლოგიკური პასუხებით დაანახა, რომ პოლიტიკას ბრტყელ-ბრტყელი უცხო სიტყვებით მონოლოგები სრულებით არ სჭირდება. მარტივად, გასაგები ქართულითა და ხალხისთვის გასაგებ ენაზეც შეიძლება ადამიანებამდე მიიტანო სათქმელი. ბიძინა ივანიშვილი არ აღმოჩნდა "ის გემრიელი ლუკმა", რომელსაც ნაციონალები ჩვეული ტექნოლოგიებით და მოსყიდვებით უპირებდნენ "გადაყლაპვას". რამდენიც არ უნდა იყვირონ და იწივლონ სახელისუფლებო არხებმა, უმთავრესი ამ აქციიდან იყო ის, რომ 27 მაისს ქართველი ხალხი კვლავ ერთად დადგა. ბიძინა ივანიშვილისგან უზუსტესი გათვლა იყო ის, რომ მოყირჭებული ოპოზიციური სახეები ივანიშვილმა მიკროფონთან არ ჩამოამწკრივა. ხალხში ვიდექი და მათი აზრი მესმოდა. ხალხი კმაყოფილი დარჩა, რომ პირადად ივანიშვილმა დაიწყო და დაასრულა კიდეც მიტინგი. ქართველი ხალხის დაწყებული ბრძოლა, რომელიც გამოჩნდა რომ უცილობლად საბოლოო გამარჯვებით დაგვირგვინდება, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისა და ქართველი ხალხის გამარჯვება იქნება და ნურც ერთი პოლიტიკოსი ამის მიწერას ნუ შეეცდება. "სახელისუფლებო სისინის" ტექნოლოგია მოძველდა, რადგან ივანიშვილის საწინააღმდეგოდ აგორებული შავი პიარი, უკუპიარის პრინციპით მოქმედებს. წარმოიდგინეთ, რამხელა აღტაცებით გააშუქებდა "რუსთავი 2"-ის სტაჟიანი სახე კიკალიშვილი "პ.შ."-ში აქციის თემას, ივანიშვილის კოალიციას "სომხური ოცნება" რომ რქმეოდა? დიახაც "ქართული ოცნება" დაარქვა ივანიშვილმა თავის კოალიციას, რადგან ძლიერი ქართული ქვეყანა ძლიერ საქართველოსაც ნიშნავს. თავად ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა მისი მოქალაქე ქართველია, მაგრამ "რუსთავი-"2-სთვის ეს მაინც არ კმარა! გოგოტიშვილის სამარცხვინო რეპორტაჟიც, რომ თურმე ივანიშვილი მოსვლისთანავე "მშვიდობის ხიდს"



ანგრევს და "დიდმა ჟურნალისტურმა მინიშნებამ", რომ სააკაშვილი კი "ქვეყნის აღმშენებლობითაა" დაკავებული, მხოლოდ ივანიშვილის პიარზე იმუშავა. სააკაშვილის უნიჭო "არქიტექტურული შედევრების" დემონტაჟის მომხრე საზოგადოების პროფესიონალების უმეტესობაა. ყველა დროისა და მთავრობის სულგაყიდული ჟურნალისტები კი "ვითომ ოპოზიციის" მსგავსად, იძულებულნი არიან, სააკაშვილის ყველა უტვინობას გამართლება მოუნახონ და აუცილებლად ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირონ. გაიგეთ თქვე მონებო, რომ აღარ მუშობს ეს მეთოდი, დაძველდა და აღარავის სჯერა, რადგან სააკაშვილის უგემოვნობა პირადი ქცევისა ჩაცმულობის გარდა, ხელოვნებისა და კულტურის სფეროშიც გამოვლინდა. სრულებით ვეთანხმები ლევან ბერძენიშვილის გიგი წერეთელზე მაესტროში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ " წერეთელის მსგავსნი იყვნენ გამსახურდიას, შევარდნაძის, მიშას, გრიშას და დროსაც იქნებიან". ვეთანმები, მაგრამ თან "ჩემი შენ გითხარიოსაც" რომ მაგონებს, რა ვქნა?

ბოლო წლების გამოცდილებაც გვაჩვენებს, რომ საქართველოში ცხოვრების "წარმატების ფორმულა" მარტივი გასაშიფრია. მთავარია, ერთხელ მოხვდე იმ "მოჯადოებულ წრეში", რომელიც სინდის-ნამუსის გაყიდვასა და პოლიტიკურ აფერისტობას გულისხმობს. მერე "საჭირო დროსა და საჭირო ადგილას" დატოვებ არსებულ პოლიტიკურ პოზიციებს და უკვე "პოლიტიკური დევნილის მანტიით" ახალ პოლიტიკურ პლათფორმაზე დადგები. პრინციპი, ზნეობა, მორალი ან ძველი თანამოაზრეების ერთგულება – ამ დროს რა მოსტანია? მთავარია, რომ ყველა ასეთი პიროვნება "ბარიკადის მეორე მხარეს" მხოლოდ მას შემდეგ აღმოჩნდება ხოლმე, რაც პიროვნული დისკომფორტი ექმნება არსებულ რეჟიმთან. იქამდე ყველა მათგანი ისე გრძნობს თავს "როგორც თევზი წყალში". გადახედეთ გინდ პოლიტიკოსებს და გინდ ჟურნალისტურ სპექტრს. მოსაზრებაც, რომ "სხვა მოცემულობა" არ არსებობს და ყოველი ახალი ძალა იძულებულია არსებულს დაეყრდნოს, იმითაა განპირობებული, რომ ეს "არსებული" ახალსა და "თაღლითობაში გაუწვრთნელს" გზას არასდროს დაუთმობს და წინ არ გაატარებს. ამიტომაც იქმნება ის "მოჯადოებული წრე", რომელზეც აგერ უკვე 20 წელია ბრუნავს ქვეყანა და ყოველი სიახლის მოლოდინში მაინც ძველსა და "შესაკრებთა გადანაცვლებას" ვღებულობთ. იმის იმედიც, რომ ასეთ პიროვნებებს ნამუსი შეაწუხებთ – ნურავის ექნება. სწორედ უნამუსობისა და ყველაფერზე ხელის მოწერის გამო ხდებიან ასეთები "ყოველთვის საჭირო". დიდად სასიხარულო და ტაშის დასაკვრელიც იმაში, რომ ნაციონალების გუნდიდან სახეები ახლა ივანიშვილისკენ გადმოინაცვლებენ, ვფიქრობ არაფერია. დღევანდელ ხელისუფლებაში მრავლაა ადამიანები, რომლებმაც კეთილდღეობის გამო გაყიდეს და უღალატეს თავის ძველ „მამა-მარჩებლებს", იდეალებსა და პრინციპებს. გახსოვთ ალბათ, ბოლო



წუთამდე, მამა გაბაშვილი შევარდნაძის ელჩი იყო და შვილი გაბაშვილი შევარდნაძის ოპოზიციონერი. ადამიანს, რომელსაც "ჩასაძირად განწირული გემიდან" გაქცევა კარგად გამოსდის ის ამას ყოველთვის გამოიყენებს. ფეხის ოდნავ წაცდენაზე შენც ჩაგცემს "დანას ზურგში". იგივე ხდება დღესაც. მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი ატყდა მაია მიმინოშვილის სამსახურიდან გამოშვებაზე. შვილი მიტინგზე ყოფილა და ძმას კი მაია ფანჯიკიძისთვის დაურეკავს. ინტუიციამ არც ახლა მიღალატა და ქალბატონმა მაიამ (რომელსაც მეც კარგად ვიცნობ), ახლა ივანიშვილთან შეხვედრაზეც ამოყო თავი. ამაზეც ალბათ, "ტიტანიკიდან ადრე გამოქცეულებმა" იზრუნეს. ბუნებრივია, რომ ნაციონალები მათთვის ასეთ კრიტიკულ მომეტში, ქართველი ბავშვების "სულის დამახინჯების სამჭედლოდან" – განათლების სამინისტროდან ღალატს არავის აპატიებენ. ჟურნალიტთა მთელი კოჰორტა აღსდგება ახლა მის დასაცავად. არადა, მაია მიმინოშვილი, ლომაიადან მოყოლებული მთელი იმ პროცესის თანამონაწილე გახლავთ, რაც განათლების სფეროში განხორციელდა. იგივე შაშკინის მანდატურებსაც აქამდე ხომ დიდი სიმშვიდით იტანდა და საწინააღმდეგო არაფერი გასჩენია? ჩვეულ ამბად იქცა, ნაციონალებიდან ოპოზიციაში მაშინ გადასვლა, როდესაც პირადად შეეხებიან. მანამდე კი უმაღლეს ხელფასებსა და კეთლდღეობას „დედის რძესავით" ირგებენ. რა შედეგიც მოიტანა ამ რეფორმამ განათლებისთვის – ყველამ ვიცით. სატელეფონო ზარის გამო სამსახურიდან რომ არ გამოეშვათ, კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა ქალბატონი მაია "ჯალათი შაშკინის" სისტემის მაღალი რანგის თანამშრომელი? ახლა მაჭავარიანიც, წერეთელიცა და ბარამიძეც რომ გამოაგდონ ხვალ სამსახურებიდან, ისინიც ოპოზიციად უნდა ჩავთვალოთ? ამ ოცწლიანი "პერებეჟჩიკობითაა" ქვეყანას საშველი რომ არ დაადგა. მოღალატე ყოველთვის მოღალატედ რჩება და თუ მომენტი ჩაუვარდა, შენც გიღალტებს. ერთმა ქალბატონმა მითხრა, სამსახურებს დავკარგავთო. ნახევარმა საქართველომ დაკარგა სამსახური ამ რეჟიმთან დაპირისპირების გამო, ახლა ცოტა ხანს ამათ გაიჭირვონ, არაფერი მოხდება. სამშობლოს სამსხვერპლოზე თუ არაფერი მიიტანეთ ისე მისი გათავისუფლება როგორ გინდა? ქალბატონი მიმინოშვილიც, რომელიც არც ლუკმა-პურის, არც გადასახადების პრობლემას არ შეუწუხებია, მანამდე რატომ არ დაფიქრებულა მისი უშუალო მონაწილეობით ჩატარებულ გამოცდების შედეგად რამდენი ბავშვი დარჩა უმაღლესს გარეთ. რამდენმა მშობელმა გაყიდა სახლ-კარი შვილის მოსამზადებლად. რამდენი ბავშვი მოხვდა სულ სხვაგან, რისი მოწოდებაც არ ჰქონია და რამდენი მეცნიერი და გამომგონებელი დაკარგა უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული გამოცდებით საქართველომ. ამის გამო, რამდენი ბავშვი წავიდა საქართველოდან უცხოეთში სასწავლებლად. რამდენ ბავშვს მიადგა სულიერი ტრამვა გარყვნილი ფლეთჩერის ჩამოყვანით ან პირველი კლასიდან კომპიუტერთან ჯდომის მავნებლობით. ახლა მაია მიმინოშვილი გახდება "ის გმირი", რომელიც შაშკინის პოლიციური რეჟიმის მხვერპლად იქცა? მანდატურების "მხვერპლ" მოსწავლეებზე რატომ სდუმდა 27 მაისამდე? ქართველი ბავშვების სულის დამახინჯებაში, გოგებაშვილის "დედა ენის" დამცრობაში, განათლებული მომავლის მოსპობაში ქალბატონი მაია ნამდვილად იმსახურებს "სააკაშვილის ბრწყინვალების ორდენს"! ნაციონალური გუნდის რღვევა მისასალმებელია, მაგრამ ყოველ მეორე დამნაშავეს ოპოზიციონერის მანტია თუ მოვასხით, მაშინ დავტოვოთ ნაციონალური მოძრაობა და სათაური გამოუცვალოდ მხოლოდ. თან დანაშაულს გააჩნია! ფულის გამო ერისთვის განათლების მოსპობის დანაშაული, ყოვლად მიუღებელი უნარ-ჩვევები და რაც, მთავარია, კომპიუტერიზაციით განხორციელებული კორუფცია პასუხისგებას იმსახურებს და არა "საყოველთაო გმირის" ტიტულს. დღეს აქეთ გადმობარგებულებს მანამდე "თვალები მიხატული" ჰქონდათ, "ვერაფერს რომ ამჩნევდნენ და ხედავდნენ"? თუ "ჩვეულებრივ მოკვდავებზე" ასჯერ დიდი ხელფასებით და გრანტებით ამის დანახვა ძნელია?! მაია მიმინოშვილი შესანიშნავად გრძნობდა თავს "განათლების კანალიზატორ მინისტრ" ლომაიას და გია ნოდიას დროსაც. შაშკინსა და მიმინოშვილს შორის პიროვნული უთანხმოება მაინცა და მაინც ახლა რატომ გაჩნდა, როდესაც მთელი საქართველო აღსდგა. ნათელია, რომ ქართველი ხალხი ბიძინა ივანიშვილთან ერთად განათლების რეფორმის მესვეურებსაც მოსთხოვს პასუხს. არც მიშას "გლიცერინის ცრემლების" და არც მიმინოშვილის ოპოზიციონერობის ბევრს არ სჯერა. არ სჯერა პირველივე გამოცდებზე უსამართლოდ, კომპიუტერის "შეცდომით" გამსვლელი ქულებით გარეთ დატოვებულ 70 აბიტურიენტს. „ლოტოტრონით" გაგდებულ ათასობით გამოცდილ პედაგოგს. ულუკმაპუროდ დატოვებული მასწავლებლების ოჯახებს. სკოლებიდან გაუნათლებლად გამოსულ ასიათასობით ქართველს. ყველაფერი კი იმიტომ, რომ გაუნათლებელი და მშიერი ქართველი ერი ადვილი სამართავი და 20-20 ლარად იოლად საყიდი გახდეს. ეს ქალბატონი ამ ყველაფერზე ამდენი წელია სდუმდა! მაინცა და მიანც 27 მაისის გრანდიოზული აქცია იყო საჭირო მიმინოშვილისა და შაშკინის შეუთავსებლობის გასარკვევად?! 11 სულიანი ოჯახი სააკაშვილის რეჟიმთან შეურიგებლობის გამო ულუკმაპუროდ მყავს დატოვებული. ოპოზიციური აქცია და მიტინგი არ გამოგვიტოვებია, მაგრამ ამის გამო "გმირად" არავის შეურაცხყვივართ. სამშობლოს ბედნიერებისთვის მსხვერპლის გაღება გმირობა კი არა თითოეული ქართველის ვალია. "პერებეჟჩიკებს" და მედროვეებსაც ქართველი ხალხი და, დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილიც "კილომეტრიდან გრძნობს". მართალია, დღეს ასეთებზე ხელის კვრის დრო არ არის, მაგრამ როგორც ექიმს ადამიანის ჯანმრთობაზე მოეთხოვება, უფრო მეტად უნდა მოეთხოვოს ერის სულიერი და ეროვნული სულის დამაჯინჯებით ხელის მომთბობთ განათლების სფეროში მომუშავე უმაღლეს პირებსაც და პედაგოგებსაც. ამ შემთხვევაში კი აშშ-ში "თბილად მოკალათებულ" ლომაიას, თბილისში "სამშვიდობოს გასულ" ნოდიასაც და შაშკინსაც, მიმინოშვილთან ერთად. მათ სასამართლო სისტემაში მომუშავე მაღალჩინოსნებზე არანაკლებად მოეკითხებათ, რადგან სახელისუფლებო მედიასთან ერთად, საქართველოს მომავლის განადგურებაში არანაკლები წვლილი მიუძღვის განათლების სისტემას, ამ რეფორმის გამტარებლებს. ვინც 60 000 000 გრანტის სანაცვლოდ, იმ უბედურებას მოაწერა ხელი, რასაც დღევანდელი ქართული განათლების სისტემა ჰქვია.

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# lanCxuTs amerikuli peplebi da Turqebi Semoesivnen

ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ იმედი გაუჩინა სოფელს. გლეხი მიხვდა, რომ ხელისუფლების გაუთავებელი დაპირებები არის მხოლოდ წინასაარჩევნო და მას ასრულება არ უწერია. ივანიშვილი არ იძლევა ცრუ დაპირებებს, იგი მორიდებით საუბრობს იმის შესახებ, რას გააკეთებს. მან პირველივე განცხადებაში, სთქვა, რომ სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად 1 მილიარდს ჩარად მიყიდული სასუქი (დღეს სოფლებში სასუქი უკვე 1 ტომარა ღირს 50 ლარი) დღესდღეობით სოფ. ლესაში მათ უკვე აღებული აქვთ 930 ჰა მიწა, სოფ. ჩინათში 100 ჰა მიწა. სოფლებს შემოესია ამერიკული პეპელაც, სულ გადახრეს თხილის ნარგავები, ახლა საფრთხე ნათესებს ემუქრება – საშველი არსაიდან არ არის. მთავრობა კონცერტებზე ხარჯავს ფულს – პეპელას კი არ ებრძვის. აი, რას გვეუბნება **სოფ. ლესის მცხოვრები დიმიტრი ბერიძე:** თურქებმა უკვე აიღეს 90 ჰა მიწა, ისინი ფულით ყიდულობენ იმას, რასაც ჩვენი წინაპრების სიცოცხლე შეეწირა. ლანჩხუთი ერთ-ერთი მდიდარი რაიონი იყო. სოფ. ლესის ფართობებში გადაჭიმული გქონდეს ჩაის ბუჩქები და ლესელი ქალი და კაცი თურქეთში მიდიოდეს ჩაის საკრეფად. ეს ქვეყნის სირცხვილია. პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ 30 ლ. ვაუჩერი დათესავს 5000 მ-2 მიწას. ეტყობა, რომ მან არაფერი არ იცის ამ დარგის შესახებ. სააკაშ-



ნაცების 100-მდე კოორდინატორი. სოფ. ლესაში საკრებულოს მაჟორიტარი ყველა დეპუტატი, მთავრობის მილიციის უფროსი, ახლა მაჟორიტარი დეპუტატი ზეწოლას ახდენს მასწავლებლებსა და რკინიგზის მუშაკებზე. მასწავლებლები მიჰყავს გამგეობაში და იქ აძლევენ დავალებებს.

ლანჩხუთელებზე სააკაშვილი ძალიან დაბოღმილია. მიზეზი არის ლელობურთი. ტრადიციულად ლელობურთი აღდგომა დღეს იმართება სოფ. შუხუთში ზემოურებსა და ქვემოურებს შორის. მკითხველს მინდა ვუთხრა, რომ ეს ის სოფელი შუხუთია, სადაც 2008 წელს საპარლამენტო არჩევნების წინა დღეებში ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოგზავნილი ტრაქტორი სააკაშვილმა მიითვისა და საკუთარი სახელით აჩუქა შუხუთელებს, მაგრამ როცა სოფელში ნაც.მოძრაობა დამარცხდა, არჩევნების მე-2 დილას 2008 წლის 22 მაისს ტრაქტორი სოფლიდან „აორთქლდა“.

ლელობურთზე ნაცების ბელადი მობრძანდა მომღერალ მინისტრ გია ხაჩიძესთან და „ყველგანმხლებ“ მინისტრ ნიკოლაიშვილთან ერთად. დღის 5 საათზე ბურთი მამაო საბამ ააგდო და თამაში შევიდა ეშხში.

დებს. რაც მნიშვნელოვანი განაცხადია.

ლანჩხუთის რაიონში გლეხი გახარებულია, ამბობენ სოფლის ხალხს ეშველებაო, გურულ გლეხს სააკაშვილის დაპირების აღარ სჯერა. მათ იციან, რომ ივანიშვილი სიტყვის კაცია და დაპირებებს რეალობად აქცევს, მის მიმართ ლანჩხუთში უზარმაზარი ნდობაა.

ლანჩხუთის რაიონში ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით შეგროვდა 3500 კაციანი სია. ეს ის ხალხია, ვისაც არ შეეშინდა და მხარი დაუჭირა ქვეყნისათვის დამაშვრალ დიდ ქართველს.

ლანჩხუთში სააკაშვილის მიერ „ნაჩუქარი ვაუჩერი ვერაფერში ვერ გამოიყენა გლეხმა: ტრაქტორისტი მას არ იღებს და ბანკიც ჯერ არ ანაღდებს. მიწების დიდი ნაწილი მოუხნავ-დაუთესავია. სალიარი 2,5 ლარი ღირს. ვაუჩერს არ ანაღდებენ. დათესვა კი გვიანდება! გლეხი დადგა დილემის წინაშე – რა ქნას? ამ დროს კი ლანჩხუთის რაიონს კალიებივით შემოესივნენ თურქები. მათ უკვე „უთოფოდ“ დაიპყრეს აჭარა და ახლა კი გურიას შემოუტიეს. ისინი მოდიან მთავრობისა და მაჟორიტარი დეპუტატის ხელშეწყობით. ისინი ერთი წლით დასამუშავებლად იღებენ იმ ოჯახის მიწებს, რომელთაც არ შეუძლიათ მიწის დამუშავება უსახსრობის გამო. 1000 მ-2 ში იხდიან 20 ლარს. გარიგება ხდება ოჯახებთან ზეპირი თანხმობით – თანაც „პოსლეზე“. ასე მოხდა სოფ. ჯურუყვეთში, სოფ. ლესაში და სოფ. ჩიბათში. თურქები მოდიან ოჯახებით, ქირაობენ სახლებს, მოდიან თავიანთი ტრაქტორებით და მოაქვთ სააკაშვილის მიერ 6 დოლავილმა ხალხი მათხოვრად აქცია, მაგრამ ჩვენ მათხოვრები არა ვართ. ჩვენ გვაქვს თეთრის და შავის გარჩევის უნარი. ჩვენ ბატონ ბიძინასი გვჯერა, გვჯერა რომ იგი თავის დანაპირებს აასრულებს.

**ელგუჯა ჩხაიძე (სოფ. ჩიბათის ყოფილი გამგებელი):** 2005 წელს იჯარით ავიღე დანგრეული



ფერმის შენობა მიმდებარე 40 ჰა მიწით. ფერმის შენობა გავარემონტე, მიწა კი გავაკულტივაციე – შემდეგ გადავწყვიტე მისი შესყიდვა. განცხადებით მივმართე ეკონომიკის სამინისტროს. ეკონომიკის სამინისტრომ შენობა და მიწა გაიტანა აუქციონზე, იქ ისეთი ფასები დაადეს, რომ მე ვერ შევძელი ყიდვა, შემდეგ კი 1000 ჰა მიწა მიჰყიდეს თურქებს. ახლა ჩემს სოფელში თურქებს სურთ აიღონ 15 წლით სოფლის კულტურის სახლი და იქ მოაწყონ თხილის გადასამუშავებელი საწარმო. ამაში მათ დახმარებას უწევს ლანჩხუთის „აგრობიზნესცენტრის“ ხელმძღვანელი გელა ზოიძე. მას თავის ოფისში დასაქმებული ჰყავს

თამაში გაიმართა ტრასაზე, რადგან ამ თამაშის დროს ხანდახან საკარმიდამო ნაკვეთები ზიანდება თამაში მიდის წესების გარეშე. ბურთის ხელში ჩაგდებისთვის მიმართავენ ყველა ხერხს: ცემას, ტანსაცმლის შემოხევას და ა.შ. ამბობდნენ, რომ მიშაც ჩაერთვებოდა თამაშში, მაგრამ მან დაინახა თამაშის უხეში მხარე, მისი „გამბედაობისგან“ გამომდინარე, იგი თამაშში არ ჩართულა, თანაც ძალიან გაბრაზდა. თამაშზე მისული ხალხი ყვიროდა „ლელოს“. „მიშას“ – „მიშას“ არ იძახდა თამაშზე მიყვანილი წინა რიგებში მდგომი ნაცების კრებულიც. პირველად საქართველოში – ლანჩხუთში მიშას სტუმრობისას არ უყვირიათ „მიშა-მიშა“. ამან გააბრაზა ნაცების ბელადი და 15 წუთში დატოვა თამაში. ერთმა გურულმა იხუმრა: „ნეტა, ასე მშვიდობიანად ქვეყნიდანაც გაიქცეს როგორც აქედან გეიქცაო“!

ღმერთმა ისმინოს!

**რუსუდან პატარაია**

# xalxis azriT

მაღალის მოყვანაში, ზვიად ძიძიგურის გარდა საქართველოს მოსახლეობის 90% მიიღო მონაწილეობა, რადგან ხალხს ცვლილებები სჭირდებოდა! ვხედავ, რომ ძიძიგური კარგ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა. რაც მთავარია, ერთგულებით გამოირჩევა. ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი იყო და ბოლომდე მხოლოდ მან უერთგულა გამსახურდიას, ვარდების რევოლუციამდე ციხეში მხოლოდ ძიძიგური იჯდა ბოლომდე, ეს ყველას კარგად გვახსოვს!

ალმაშენებლის ძეგლთან, ბალახვნის 100-საფეხურიან კიბეებთან 10 ივნის 6 საათზე. ქუთაისი უკვე მზადებაშია, წინ მრავალი დაბრკოლება გველის რადგან მაღალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალ “დედაქალაქად” გამოცხადებულ ქალაქს, განსაკუთრებით მობილიზებულია ნაც-ელიტა ქუთაისში, მათი მიზანია „ქართული ოცნება“ სწორედ ქუთაისში იქნეს შეჩერებული, მაგრამ ვერაფერს გახდებიან მტარვალნი, მე მწამს რომ თბილისის შემდეგ არც ქუთაისი შეირცხვენს თავს და კიდევ ერთხელ დავანახებთ ჩვენს მტრებს რომ ვერ დაგვაჩოქებენ, ჩვენ ბევრნი ვართ! წინ გამარჯვებისკენ!

მჯერა, უამრავი ხალხი იქნება. (ქუთაისლების სტუმართ-მასპინძლობა მაძლევს იმედს). წარმატება ”ქართულ ოცნებას”. ქუთაისიდან იწყება გამარჯვების გზა საბოლოო გამარჯვებამდე.

ნაცების დილემა: ერთის მხრივ, ეკონომიკა წინ მიდის და სწრაფი ტემპებით ვვითარდებით. მეორეს მხრივ, 220-ლარიანი პენსია, საყოველთაო დაზღვევა და ყურძნის სუბსიდირება დედას უტირებს ეკონომიკას...

უკვე ცხადია, რომ არჩევნების ამბავი მიშამ შსს გადააბარა. ვანო იქნება მიშას მარჯვენა ხელი ამ კამპანიაში.

მართლაც დიდი მუხტია ევროპის სახელმწიფოებში ჩვენს თანამემამულეებში სააკაშვილის საწინააღმდეგოდ მომართული. ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოს თითქმის 2-მილიონიანი დიასპორა და ემიგრაცია ყავს საზღვარგარეთ. ეს არ გახლავთ პატარა ციფრი. ამაზე მეტყველებს ათენის ცენტრში „ქართული ოცნების„ მომხრეთა აქცია . რომელიც საკმაო მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა ემიგრაციის პირობაზე. ამ ხმებს გაკონტროლება უნდა. მითუმეტეს სააკაშვილის „კარმუშკაზე„ მყოფი შეთავსებით „ოპოზიციონერი„ პაატა დავითაია შემჩნეულია ევროპის რამოდენიმე სახელმწიფოში საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების ჩაზიდვაში ჩვენი თანამემამულეებისათვის. უნდა ვაკონტროლოთ ეს ყველაფერი, მეგობრებო, თუ გვინდა სააკაშვილი ვიხილოთ პოლიტიკურ პენსიაზე.!!!!!!!



უნდა ვაღიარო, რომ დავით გამყრელიძის დარი უზრდელები ნაციონალურ მოძრაობაშიც არ შემხვედრია, საღოლ ! ეგ კაცი პოლიტიკაში დიდი გაუგებრობა იყო და დარჩა. სულ ორმაგი სტანდარტებით თამაშობდა. დღემდე ვერავინ ვერ გაიგო და მგონი, თავადაც ვერ გაუგია, რა უნდა საერთოდ პოლიტიკაში. იყო კი ოდესმე მისი ადგილი იქ? გაკოტრდა დიდი ხანია, ბატონი დავითი, როგორც პოლიტიკოსი, შალიკოს არ იყოს. ერთადერთი, რაც მას ნათელაშვილისგან განასხვავებდა, ზრდილობა და გაწონასწორებული ხასიათი იყო. ისევ თუ დაკარგა დავით გამყრელიძე, მაშინ გამოდის კიდევ ერთი შალვა ნათელაშვილი გვყოლია.

ნათელაშვილი და გამყრელიძე, ალბათ, ფიქრობენ, რომ რაც მეტად "აქოთდებიან", მით მეტ მაყუთს იშოვიან " სიჩუმისთვის". არა და დროა, სადმე ბუნებაში გავიდნენ, ცხვარი დაკლან და თავის "პარტიებს" ქელეხი გადაუხადონ, თორემ საზოგადოება თუ გამოიყვანეს წყობიდან, მიშას ჯავრსაც მაგათზე იყრის და ისეთ ჭიტლაყს მიიღებენ, სამუდამოდ ემახსოვრებათ!

facebook

# xalxisazriT



ჩვენ მოგვპარეს თავისუფლება და ყველა მისი თანამდევი სიკეთე, ბიძინა ივანიშვილი მისი დაბრუნების შანსად მოგვევლინა. ჩვენ, ყველამ, თვალი უნდა გავახილოთ, დავინახოთ და გავყვეთ ჩვენს შანსს ბიძინას და "ქართული ოცნების" სახით. არ დაგვავიწყდეს, " თავისუფლების ქურდები" ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან, -როდის დგება ეს ბოლო ჟამი? სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს.

29 მაისს, კვლავ დაარბიეს მშვიდობიანი ახალგაზრდების აქცია მთავრობის სასახლესთან, დააპატიმრეს აქციის მონაწილეები, ჩემს მეგობარს და ძალიან კარგ ქართველს ირაკლი ბერაიას მიუსაჯეს ერთ თვიანი პატიმრობა. ძალიან ვწუხვარ და ვაპროტესტებ მომხდარ ბარბაროსობას!!!!!

ოხ, ეს ქუთაისის მერია! ბავშვთა დაცვის დღე ლუდსახარშ მირზაანში ჩაატარა! რა, აქაც ოპოზიციას უნდოდა შესვლა? ))))) ესენი ადამიანის უფლებების დაცვის დღეს ბიკენტიას დუქანში გამართავენ!

ქართველებს და საქართველოს ყველა მოქალაქეს მივმართავ და უმორჩილესად ვთხოვ, ყველანი ერთად ქუთაისში, კოალიცია ,,ქართული ოცნების," აქციაზე, ძმებო და დებო ერთად, ახლა წყდება საქართველოს ბედი, ყველანი ერთად კოალიცია "ქართული ოცნების" გვერდზე, დიდი ქველმოქმედის და ქართველის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, ღმერთი ფარავდეს საქართველოს, ქართველებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს და თქვენ, ბატონო ბიძინა, საქართველოს სადიდებლად.

როგორც წყალს ვერ შეაკავებ ხელით, ისე ამ ხალხს ვერ მოთოკავს მიშას ხელისუფლება ! ქუთაისლების დაგოიმება მოინდომეს ამ უნიჭოებმა? ქუთაისი ტრადიციების ქალაქია რომელსაც ნაცები ანადგურებენ და პატივს არ სცემენ. მთელი ქუთაისი იქ იდგება. იმერეთმა სხვანაირი მასპინძლობა იცის, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ!

# ratom SeaCeres nacionalebma baTumSi iunkrebis saflavze dawyebuli mSenebloba?

ჩვენს ქვეყანას ერთი, კარგად დავიწყებული სენი სჭირს, რომელმაც XX საუკუნეში მსოფლიოს 1/6 ნაწილს ძალიან დიდი პრობლემები შეუქმნა და იგი ,,ბოლშევიზმ-მენშევიზმის" სახელითაა ცნობილი. დღევანდელ საქართველოში ამ მცნებამ ახალი, სრულიად სახელმწიფოებრივი დატვირთვა მიიღო: ანუ დღეს ,,მენშევიკებად" გამოდის სრულიად საქართველოს მოსახლეობა, ხოლო ,,ბოლშევიკებად" კი ქვეყნის მმართველნი.

,,ბოლშევიზმ-მენშევიზმის" გაუკუღმართებული გაგება, ანუ უმცირესობის დიქტატი უმრავლესობაზე, დღევანდელ ხელისუფლებაში ნორმალურ მოვლენად აღიქმება და ალბათ ამიტომაცაა, რომ აჭარაში პოტენციური უცხოელი ინვესტორებიდან უპირატესობას მაინცა და მაინც სამხრეთელ მეზობლებს ანიჭებენ. დღევანდელ სამყაროში, სადაც კონკურენციის დონე ძალიან მაღალია, ყველაზე საუკეთესო და მსუყე ,,ლუკმა" თურქეთისაა. საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან: რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, თურქეთი. 2011 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით, თურქეთის როგორც სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილი, საქართველოს სხვა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ძალიან მაღალია და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 15.3% ხვედრითი წილი უკავია 285.7 მლნ. აშშ დოლარით. აქედან ექსპორტმა 52.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტმა კი 232.9 მლნ. აშშ დოლარი.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ჩვენი სამხრეთელი მეზობელი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ამ სახელმწიფოდან კაპიტალის გადინებამ რამდენიმე ათეული მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მრეწველობის მაჩვენებელი მის ისტორიაში ყველაზე მკვეთრად – 21.3%-ით დაეცა. მიუხედავად ამისა, სტატისტიკური მონაცემებით, თურქეთი კვლავ რჩება ჩვენი ქვეყნის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში პირველ ადგილზე.

ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, გემთმშენებლობა, ტექსტილის წარმოება - ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ მიმართულებებისა, რომელთა განვითარებითაც თურქი ბიზნესმენები არიან დაინტერესებულნი.

ინვესტიციები კარგია, მაგრამ ძალიან ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი: ჯერ ერთი, რომ დავუბრუნდეთ ,,ბოლშევიკ-მენშევიკობის" პრობლემას და შევხედოთ ეკონომიკური და დემოგრაფიული კუთხით საკმაოდ არასახარბიელო სურათს დავინახავთ: აჭარაში 2004-06 წლების ,,დიდი პრივატიზაციის" შემდეგ, სახელმწიფოს ბიუჯეტში ძალიან მცირე თანხებია შესული შემდგომი 1 ლარიანი პრივატიზაციის გამო. მეორეც: საქართველოს შრომითი კანონმდებლობა მორგებულია დამქირავებლის ინტერესებზე და არა დაქირავებულის, რაც თურქი ინვესტორის მხრიდან კანონის მრავალგვარი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა... მთავარ არგუმენტად, რომელსაც თურქი დამქირავებლები იყენებენ საქართველოს მოქალაქეების მიმართ ესაა – არ გინდა, წადი!

*პატარა გადახვევა:* როგორც გაირკვა, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, თუ რატომ არ არის დადებული აშშ-სთან ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, არის საქართველოს შრომითი კანონმდებლობა. აშშ აკრიტიკებს ჩვენს შრომის კანონმდებლობას და ითხოვს, რომ ის დაქირავებულზე იყოს მორგებული და არა დამქირავებელზე.

რაც შეეხება დემოგრაფიულ მხარეს: აქ სიტუაცია თანდათან ომისშემდგომი გერმანიის ვითარებას ჰგავს, როდესაც რამდენიმე ათობით ათასი თურქული ოჯახი გერმანიაში სამუშაოდ გადასახლდა. ამასთან, გაძნელებული იყო მათი ინტეგრაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან; როგორც ამბობენ, დღეს მათი იდეაა გერმანიაში ავტონომიის მიღება. ფაქტიურად ამდაგვარი ვითარებაა დღეს აჭარაში. ბათუმში ხშირად გაიგონებს კაცი ასეთ ფრაზას: ,,უომრად გვაბარებენ თურქებს"...

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ჩვენს ქვეყანას თურქეთთან მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობები როდი აკავშირებს, მეზობელი ქვეყანა დღითიდღე უფრო აქტიურად ცდილობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით აჭარაში მოიკიდოს ფეხი. ჩვენი სახელმწიფოს მმართველობის უმაღლეს ეშელონებში კი ამას უცხოურ ინვესტიციებად მოიაზრებენ და არავინ საუბრობს იმაზე, თუ როგორ გადადის მათ საკუთრებაში ესა თუ ის მნიშვნელოვანი ობიექტი.

დავუბრუნდეთ ისევ ,,ბოლშევიზმ-მენშევიზმის" დღევანდელ ქართულ ინტერპრეტაციას: საქართველოს მოქალაქეების დისკრიმინაციის ფაქტები ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან ნათლად სარფის საბაჟოზე ავლენს თავს: საქართველოს მოქალაქეებს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ თვეში ერთხელ შეუძლიათ, იქედან მხოლოდ 400 ლარის საქონლის შემოტანაა შესაძლებელი განუბაჟებლად. სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე ეს შეზღუდვები არ ვრცელდება!...



## უმცირესობა ტოლერანტობას გვასწავლის

ყოველივე ეს კი ბათუმისა და არა მარტო მისი მოსახლეობის საგარეო ორიენტაციის ვექტორს ნელ-ნელა ხრის ჩრდილოეთისაკენ. ამას კიდევ უფრო ამძაფრებს ისიც, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც ბათუმში გახშირდა სემინარები რჯულთშემწყნარებლობისა და ეროვნული ტოლერანტობის შესახებ. რა თქმა უნდა, ბათუმში ყველამ იცის თუ საიდან მოდის ასეთი სემინარების ჩატარების მოთხოვნები და ვისი დაფინანსებით. საქმე იმაშია, რომ, ეტყობა, ევროპასა თუ აშშ არ იცნობენ საქართველოს ამ კუთხით. ედრთერთ ასეთ შეხვედრაზე, რომელიც ორიოდე კვირის წინ ჩატარდა ბათუმში. დიალოგის ძირითადი თემა ადგილობრივი მედია საშუალებებით რელიგიური თემების გაშუქება იყო. მაგრამ რადგანაც ისეთ რეგიონში, როგორიც აჭარაა, ასეთი თემა ძალიან საფრთხილოა, საუბარი მალე სხვა კუთხით წარიმართა. მართალია, ძირითადად წარმოდგენილი იყო ქრისტიანული კონფესიები გარდა მართლმადიდებელი და პაპისტური ეკლესიებისა, მაგრამ საქმეში ჩაუხედავ გარე დამკვირვებელს ეგონებოდა, რომ მის წინ ფარისეველნი და მწიგნობრები ისხდნენ ქრისტეს ეპოქიდან.

საუბრისას არც ერთს არ გახსენებია ერთი ფაქტი: 2500 წელზე მეტია, რაც საქართველოში ცხოვრობენ ებრაელები და ამ დროის განმავლობაში არ დაფიქსირებულა არც ერთი ფაქტი ეთნოკონფლიქტისა ქართველებსა და ებრაელებს შორის. სამაგიეროდ, ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში განსახილველად დევს ,,იეღოვას მოწმეთა სარჩელი". კითხვა – განიცდიან თუ არა მათი კონფესიები დისკრიმინაციას? პასუხგაუცემელი დარჩა.

აღასანიშნავია ერთი გარემოებაც: როდესაც საუბარი ჩამოვარდა საქართველოს დედაქალაქში ე.წ. ,,გეიაღლუმის" ჩაშლის (დაშლის) შესახებ, დიალოგმა უფრო მეტი სიცხოველე შეიძინა. ის გარემოება, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ნებადართულია ერთსქესიანი ქორწინება, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად სწორედ პროტესტანტული ეკლესიების სასულიერო პირებიც ახორციელებენ ქორწინების აქტს. ეს ფრაზაც დარჩებოდა უპასუხოდ, ერთი გარემოება რომ არა, რომელიც იქ იქნა ნახსენები: პროტესტანტული კონფესიების უდიდესი ნაწილს თავიანთი მოძღვრება ძველ აღთქმაზე აქვთ დაფუძნებული. ხოლო იქ შავით თეთრზე წერია, თუ რატომ დაიღუპა სოდომი და გომორი. ამის შემდეგ რამდენიმე წუთის განმავლობაში საკმაოდ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

**P.S. სულთმოფენობის დღესასწაულზე საზეიმო წირვის შემდეგ ბათუმში ყოფილ თავისუფლების მოედანზე უნდა შემდგარიყო საპროტესტო აქცია, რომლის მიზანი იყო იმ მშენებლობის შეჩერება, რომელიც 1 ლარად ნაყიდ მიწაზე, 1921 წელს დაღუპულთა მემორიალს უშუალოდ ესაზღვრებოდა. აღმოჩნდა, რომ ადრიან დილით თავად ,,ინვესტორმა" მოახსნევინა ღობე. მშენებლობა შეჩერდა. უმრავლესობამ გაიმარჯვა, მაგრამ...**

**ზაზა პატარავა**
სპეციალურად ,,საერთო გაზეთისთვის",
ბათუმი

*ინტერვიუ*
***ნინელი ჭანკვეტაძესთან***

**— ქალბატონო ნინელი, როგორც ვნახეთ, გრანდიოზულად ჩატარდა 27 მაისის აქცია. როგორ შეაფასებთ და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ღონისძიებას?**

— 27 მაისი გადამწყვეტი იყო იმ მხრივ, რომ ადამიანებმა, ჩემი ჩათვლით, დავინახეთ ლიდერი. ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის თქმის, რადგან ბიძინა ივანიშვილი მართლა ლიდერია, ვინც მოახერხა ხალხის გაერთიანება სასოწარკვეთისას, იმედგაცრუებული ადამიანები გამოაფხიზლა და, რაც მთავარია, დიდი ნდობა მოიპოვა თავისი გაკეთებული საქმეებით. ბრმად უკვე აღარ



# nineli WankvetaZe:
# erTi muWa naZirlebi qarTvel xalxs ver daaSineben!



ვუყურებთ ამ პროცესებს, რადგან იმდენჯერ მოგვხვდა მუშტი და მოვტყუვდით, რომ ფაქიზად, კარგად ჩასაფრებული პოზიციიდან ვუყურებთ იმ ადამიანებს, ვისაც სურვილი აქვს შემოვიდეს პოლიტიკაში. ეს სწორი, ჯანსაღი პოზიციაა, განსხვავებით წინა წლებისგან, როცა ჩვენ ცოტა უფრო მეტად გულუბრყვილოები ვიყავით. დღეს ქართველი ხალხი გაერთიანდა იმ ადამიანის გარშემო, ვინც თავისი ცხოვრების წესით დაამტკიცა მამულიშვილობა. მას თავისუფლად შეეძლო თავისი დიდი ფულით მშვიდად ყოფილიყო სადაც გნებავთ იქ და ჭორვილა შეეძლო და საერთოდ გადაეტანა რომელიღაც კუნძულზე, შეეძლო ლაღად თავის საყვარელ, ძვირფას ხალხთან ყოფილიყო და ეცხოვრა. ამ ადამიანმა კი გადადგა ვაჟკაცური, თავისთვის სახიფათო, სარისკო ნაბიჯი, მაგრამ ქვეყნისთვის ეს იყო გადარჩენის ერთადერთი შანსი, რომელიც დღეს გამოუჩნდა საქართველოს. ამიტომ ამ ადამიანის გვერდით დგომა ღირს, რადგან ეს ადამიანი არის გარანტი იმის, რომ ჩვენ ოქტომბერში არა მარტო მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას, არამედ გავიმარჯვებთ. იმ აქციამ, დაამტკიცა რომ ჩვენ ცოტანი არა ვართ, ჩვენ ბევრნი ვართ, თითქმის მთელი საქართველო, ამიტომ გვაქვს უფლება შევცვალოთ ეს უღირსი ხელისუფლება და სათავეში მოვიყვანოთ ადამიანები, რომლებიც ყურადღებით მოგვისმენენ თუ რა გვინდა ჩვენ, ხალხს და არ შეეცდებიან ბატონებად დაგვასხდნენ თავზე.

**— ქალბატონო ნინელი, როგორც ვიცით, „ქართული ოცნება“ იწყებს საქართველოს რეგიონებში გასვლას. თბილისში გრანდიოზული აქციის შემდეგ ხელისუფლება ხომ არ შეეცდება ხელი შეგიშალოთ?**

— უკვე შეეცადნენ. ქუთაისის მერიაში შევიტანეთ კიდეც განაცხადი, მაგრამ იცით თუ როგორ განვითარდა მოვლენები. თურმე ბაგა-ბაღის პედაგოგებს, მშობლებს მიუმართავთ ხელისუფლებისთვის, რომ ბავშვებისთვის ზეიმების ჩატარება ნდომებიათ. ბიძინა ივანიშვილმა შესთავაზა, რომ, რაც სჭირდებოდა ბავშვებს, ყველა ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებდა. არაფრით დათანხმდნენ. თურმე მთელი ერთი თვე უნდათ ბავშვები და მშობლები ატარონ იმ მოედანზე. სხვათა შორის, მშობლები სწორედ ამ ხელისუფლებამ გაამწარა გაუსაძლისი გადასახადებით საბავშვო ბაღებში. ზოგს ორი, სამი შვილი ჰყავს და წარმოიდგინეთ, როგორ აწევს ოჯახების ბიუჯეტებს ეს გადასახადები, თურმე ახლა საზეიმოდ აქვთ საქმე!

ახლახან ჩამოვედი კახეთიდან, დედოფლისწყაროში ვიყავით. დავდიოდით სოფლებში, ვხვდებოდით ხალხს. ველოდებოდი, რომ რაიონებში ცუდად იყო საქმე, მაგრამ რაც ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. წლების მანძილზე ხალხი მიტოვებულია, აბა, რა შეიძლება ეწოდოს იმას, როცა საქართველოში ადამიანები ბიდონებით ყიდულობენ წყალს, მეტი რა გითხრათ! ან რამდენი, როგორ უნდა იყიდონ, როდესაც ფული პრაქტიკულად არ არსებობს! როგორი მოსასმენია, როდესაც ადამიანი მოდის და გიყვება სისხლის ანალიზი დამჭირდა, გადასახად სამოც ლარს ძლივს მოვუყვარე თავიო. რაიონებში უმუშევრობაა, აქაც კლანური სისტემაა. როცა სააკაშვილი ამბობს, მოვსპეთ კორუფციაო, ტყუილია! როდესაც ხვდები ხალხს ირკვევა, რომ წინა საღამოს უკვე ჩამოიარა პოლიციამ თუ რწმუნებულმა! ერთი მუჭა ნაძირალა არაკაცები აშინებენ ხალხს! ასეთი დაშინებული ხალხი მაინც მოდის ჩვენთან შეხვედრებზე, რადგან დასაკარგი არაფერი აქვთ. ხვდებიან, რომ ცხოვრების ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. მე იქ ვნახე ვაჟკაცი ადამიანები.

**— ხელოვნების სფეროსაც შევეხოთ. ხელოვნების წარმომადგენლებს ახლა პოლიტიკური ნიშნით არჩევენ.**

— თეატრი ის სფეროა, სადაც უფრო გვიან შემოიჭრნენ ეს ადამიანები, რადგან თავიდან მათთვის ის ინტერესის სფეროში არ მოხვდა. გაცილებით ადვილი აღმოჩნდა ხელისუფლებისთვის შოუ-ბიზნესის მართვა, რადგან თეატრი „მძიმე არტილერია“ გამოდგა მათთვის. თუმცა იცით, რომ მოზარდმაყურებელთა თეატრიდან ორმოცი თანამშრომელი დაითხოვა კრიმინალმა მმართველმა. იქ მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით არ ყოფილა მათი განთავისუფლება. თეატრის ხელმძღვანელობა ამბობს, რომ იგი მიხეილ სააკაშვილის მეგობარია და აბა, ვინმემ გაბედეთ და თითი დამაკარეთო. ყველა სფეროში ბრძოლაა საჭირო. ალბათ, უკვე დადგა დრო, როდესაც ხალხმა არჩევანი უნდა გააკეთოს: იყოს უღირსი თუ ღირსეული, სამართლიანი თუ უსამართლო. ბატონი ბიძინა ამის საშუალებას ყველას აძლევს. თუ ადრე ამის საშუალება არ იყო და გათითოკაცებულები ვიყავით, დღეს ბატონი ბიძინა თავის გუნდთან ერთად, ის ადამიანები, ვისაც სჯერათ ბატონი ბიძინასი, ცდილობენ სიტუაციის შეცვლას. ახლახან „ქართული ხმები“ მღეროდა ქართული დიასპორისთვის. დარბაზიდან თითქმის ყველა ყვიროდა, დაგვაბრუნეთ საქართველოშიო. ვის უნდა სხვისი მოხუცების მოვლა, როცა საკუთარი მშობლის დაკრძალვაზე ვერ ჩამოდის ადამიანები, წლობით ვერ ხედავენ შვილებს. ზოგი შვილიშვილებსაც არ იცნობს, არ უნახავთ. ნახევარ საქართველოზე მეტი იძულებულია უცხოეთში სამუშაოდ წავიდეს. რასაკვირველია, როცა სათავეში მოვა ხალხი, რომლებისთვისაც საქართველოს მოქალაქეების ინტერესები იქნება მთავარი, შეიქმნება სამუშაო ადგილები, ისინიც დაბრუნდებიან და თავიანთ ძალას საკუთარ ქვეყანას მოახმარენ.

**გია ბურდული**

# facebook
# xalxis azriT

ქუთაისშიც დიდი რაოდენობის ხალხის გამოსვლა, სააკაშვილის ხერხემალში გატეხვას ნიშნავს. დღეს ის ცდილობს თავისი ხერხემალის იქ აშენებას. აქვე უნდა გამოეცალოს ხელიდან სურვილიც კი ამისა... ქუთაისლებოოო!!!!!!!!

ხედავ კაცო, ჰა? კალაძე კი არა ალ კაპონე ყოფილა, მართალია, რაშიც „ხელისუფლებამ" დასდო ბრალი, არ დადასტურდა, მაგრამ გვირაბი ნაღდად გაჰყავს ბომბეიდან ლონდონამდე.

რომ წარმოვიდგენ, როგორ მივლენ ეს ჩვენი პატიოსანი გვამები დღეს უსახლკარო და უნარშეზღუდულ ბავშვებთან; როგორ ჩამოურიგებენ 1 კილო ტკბილეულს; როგორ აიყვანენ ხელში რომელიმე მათგანს; როგორ ილაპარაკებენ, რომ ბავშვები ჩვენი პრიორიტეტია; როგორ იპოზიორებენ კამერების წინ — გული მიწუხს. და ამ დროს ინვალიდი ბავშვებისთვის დამატებით 30 ლარი ჯერ გაიმეტეს, ისიც მხოლოდ ქაღალდზე და მერე საერთოდ მოუხსნეს, ხოლო ე.წ. ქუჩის ბავშვებზე ვინც მუშაობდა და ამ ბავშვების დახმარებას ცდილობდა, ყველაფერი გააკეთეს, რომ ამ საქმისთვის თავი დაენებებინათ. რომელი ბავშვების დაცვის დღეს აღვნიშნავთ — არაფერი რომ არ ჭირდებათ, ღვთის წყალობით თუ იმათი, ყველაფერი რომ აკლიათ

სანამ ბოროტი სულელი მართავს ღვთისშობლის კურთხეულ ქვეყანას, მუდმივად უნდა ველოდოთ ზეცისგან ტერორს

რად უნდა ''ქართულ ოცნებას'' ქუთაისის ცენტრი?! პარლამენტის ახალ შენობაში უკვე ჩატარდა პირველი სხდომა, დროა, მის წინ პირველი აქციაც გაიმართოს! სხვანაირად პარლამენტი ვერ ''მოინათლება''!

ამ კვირის ნომინანტთაგან რომელია თქვენთვის გამარჯვებული? — ნინო ლაპიაშვილი, კოკა-კომფორტ სეფერთელაძე თუ დავით პაიჭაძე?... შეეცადეთ, პიტალო ჭეშმარიტებასთან ახლო მდგომი და კაციტაძისეულად მყარ არგუმენტებზე დაყრდნობილი პასუხი გამცეთ, რაა?! :)) დღეს ვახტანგ ხმალაძეს ვუსმინე რადიო „უცნობის“ ეთერში და ნინო ლაპიაშვილზე საბოლოო დასკვნა გავაკეთე: გარტყმაშიც არაა იურისპრუდენციასთან... აი, იურისპრუდენციამ კი ყბაში ისე გაარტყა, ახლაც ეგრე დადის...

მალადეც ისე, ჰილარი კლინტონის გადასაწყვეტი რო იქნება საკაბელოების პროგრამა, კაი დღეში ვართ ;)

გასაკვირია, ვინმესთვის რამე? ქვეყანაში, სადაც 15 წლის ფსიქიურად აშლილ ბავშვს 5-ლარიანი ლუდის მოპარვის მცდელობის გამო აპატიმრებენ და გლდანის ოსვენცემში სვამენ, ამის შემდეგ რამე უნდა გიკვირდეთ?

მარიამი მეკითხება - დედა, მიშას ცოლი სანდრა რომ ხედავს მიშას სურათებს, უხარია თუ ტირის? ეგ ქალიც მიშისტია?... აი, ჩემი 9 წლის დიდი პოლიტიკოსიიიიი.... ვოტ ტაკ!!

რა საინტერესოდ და უნისონში აჭიკჭიკდნენ დღეს ჩიხრია ფიქრაძე და ექიმი, ლიდერი, მეწარმე, ანტიბიზინისტური ტექსტებით - მიცემული ფულუკების გამომუშავება მოსთხოვა პატრონმა თუ გამოშალიკოვდნენ?

განათლების მინისტრის მოადგილის ამ მოულოდნელი აღიარების შემდეგ ნორმალურ ქვეყანაში, ეს „მასწავლებელთა სახლია“ თუ გულაგის არქიპელაგი სასწრაფოდ უნდა დაიშალოს, სამინისტროს ხელმძღვანელობა კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს ადამიანების ფუნდამენტური უფლებების შელახვის გამო!

რაც არ უნდა გააბინძურონ კახის იმიჯი, რა პასკვილებიც არ უნდა შექმნან მასზე, კახის სახელს და ავტორიტეტს ჩრდილს ვერ მიაყენებენ.



# კბილების გათეთრების მეთოდები

ყოველ ადამიანს თვალისმომჭრელ ჰოლივუდურ ღიმილზე ოცნება თუ არა, ჯანსაღი და ესთეტიკური კბილები სურს. თანამედროვე სტანდარტებით, ადამიანის კბილების ხარისხს, ხომ მისი სითეთრე განსაზღვრავს. სამწუხაროდ, კბილების პროფესიონალურ გასათეთრებლად სტომატოლოგთან რეგულარულ ვიზიტს ბევრი ვერც ახერხებს.

სწორედ მათზტვის არის ეს წერილი — გასწავლით კბილების გათეთრების შინაურულ მეთოდებს. ისინი, შედეგის მიხედვით, არ ჩამოუვარდება ყველაზე პრესტიჟულ სტომატოლოგიურ კლინიკაში გათეთრებულ კბილებს, რომლებიც დროთა განმავლობაში სითეთრეს მაინც კარგავს და ხელახალ გაწმენდას საჭიროებს.



## საჭმლის სოდა

საჭმლის სოდა დიასახლისთა გამოცდილი ფავორიტია, მას ბევრი ფუნქცია და დანიშნულება გააჩნია, ერთ-ერთი — კბილების გათეთრებაა.

სტომატოლოგთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იგი უვნებელია, სწრაფად და საიმედოდ მოქმედებს. საჭმლის სოდით კბილების გაწმენდისას (როგორც სუფთა სახით, ისე კბილის პასტაში არეული) კვდება კბილის ნადების მჟავაგამძლე ბაქტერია, რომელიც კბილებზე ლაქებს აჩენს და მათ ბუნებრივ სითეთრეს უკარგავს.

## წყალბადის ზეჟანგი

წყალბადის ზეჟანგი პოპულარული, იაფი და შესაბამისად, ყველასთვის ხელმისაწვდომი საშუალებაა. კბილის პასტაში შერეული ან სუფთა სახით მისი გამოყენებისას გამორიცხული არ არის უსიამოვნო შეგრძნება პირის ღრუში და ღრძილების წვა, სამაგიეროდ, შედეგი ნამდვილად აჭარბებს მოლოდინს. პირველი შედეგები მისი გამოყენებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ჩნდება, ზოგჯერ — კიდევ უფრო მცირე დროში.

არაფერია საშიში, თუ ზეჟანგი პირის ღრუში მოხვდება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი გადაყლაპვა. პირში წყლის გამოვლებისას დაახლოებით ერთი წუთის განმავლობაში ჩაიგუბეთ პირში თბილი წყალი და კარგად გამოივლეთ.

თუ შიშს მაინც ვერ ერევით, შეგიძლიათ თავად დაამზადოთ ბამბისგან პატარა ტამპონები, დაასველოთ მათეთრებელ ზეჟანგში და რამდენიმე წუთის განმავლობაში გაიწმინდოთ კბილები ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებით.

## მარწყვი და ხენდრო

ბევრმა არ იცის, რომ მარწყვი, ხენდრო და ზოგიერთი სხვა კენკროვანი მცენარის ნაყოფი კბილების მათეთრებელ ნატურალურ ნივთიერებებს შეიცავს და ამიტომ შესანიშნავად ათეთრებს კბილის მინანქარს.

კენკრა დიდი რაოდენობით შეიცავს გლუკოზასა და მჟავებსაც, ამიტომ მათი მირთმევის შემდეგ აუცილებელია ნარჩენების ფთორშემცველი კბილის პასტით მოცილება, რადგან დიდი ხნით პირის ღრუში დარჩენილი კენკრის ნარჩენი შესაძლოა, კარიესის გამომწვევ მიზეზად იქცეს.

რაც შეეხება გათეთრებას, ამისთვის საკმარისია, კენკროვანი ნაყოფი გაჭყლიტოთ და დაიდოთ კბილებზე საწმენდი პასტის მსგავსად ან უბრალოდ ხელით გაიწმინდოთ კბილები ისე, რომ ოდნავ აწვებოდეთ წვენის გამოსვლამდე.

## ხის ნაცარი

რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ხის ნაცარი კბილებს ათეთრებს. ის შეიცავს კალიუმის ჰიდროქსიდს — ნივთიერებას, რომელიც ათეთრებს კბილებს. კალიუმის ჰიდროქსიდის მიკროსკოპულ კრისტალებს შეუძლია ნადების მოცილება პირის ღრუს საკმაოდ ძნელად შესაღწევ ადგილებიდან, რომლებსაც საგულდაგულოდ წმენდენ და ათეთრებენ.

თუმცა ნაცრის საკმაოდ ხშირმა გამოყენებამ ან ძლიერმა წმენდამ, შესაძლოა კბილის მინანქარი დააზიანოს, ამიტომ მისი გამოყენებისას სიფრთხილე გმართებთ.

ხის ნაცარი შეგიძლიათ პირდაპირ კბილის ჯაგრისზე დადოთ და ისე გაიწმინდოთ კბილები ან აურიოთ მცირე რაოდენობით ჩვეულებრივ კბილის პასტაში.

## თავად მოამზადეთ კბილის პასტა

კბილების შინაური მეთოდებით გათეთრების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა თქვენივე ხელით მომზადებული კბილის პასტა, რომლის დასამზადებლადაც საკმარისია, ერთმანეთში აურიოთ: 1 სადილის კოვზი საჭმლის სოდა, 10 მლ წყალბადის ზეჟანგი, 1 ჩაის კოვზი სუფრის მარილი და მცირე რაოდენობით კბილის პასტა. ასეთი ნაზავით გაწმენდილი კბილები ორ კვირაში ჩვეულ სითეთრესა და ბზინვარებას დაიბრუნებს.

მნიშვნელობა არა აქვს, შინაური მეთოდებიდან რომელს ამოირჩევთ, უნდა გახსოვდეთ:

— აუცილებელია, ყოველი მათგანის გამოყენების შემდეგ პირის ღრუს საგულდაგულოდ გაწმენდა, წყლის გამოვლება პროცედურის დამთავრების შემდეგ;

— კბილებს ბუნებრივი მოყვითალო ელფერი გააჩნია, რასაც მის შემცველობაში კალციუმი და კბილის ემალის ძირითადი ფერი განსაზღვრავს; ამიტომ კბილების ხშირი გათეთრება, როგორც პროფესიონალური, ისე შინაური მეთოდებით, არ შეიძლება. ეს აზიანებს კბილის მინანქარს, რომელიც თავისთავად აღარ აღდგება, დაზიანებული მინანქარი კი იმას ნიშნავს, რომ კბილი დაუცველია და მეტად ემუქრება კარიესი;

— ბევრი ფიქრობს, რომ ჰოლივუდის ღიმილს კბილების რეგულარული მოვლით შეინარჩუნებს, მაგრამ ეს კბილების სითეთრის გარანტია ნამდვილად არ არის. საკვების ნარჩენები ისეთ ადგილებში იბუდებს, რომ მათ პერიოდულად ნამდვილად სჭირდება სტომატოლოგის ხელი;

— მათეთრებელი კბილის პასტა მხოლოდ წვრილ და ახალ ლაქებს აქრობს, დიდი ხნის ლაქების მოცილება არც მათ შეუძლია;

— თუ მათეთრებელი კრემების, გელისა და ფხვნილების გამოცდას გადაწყვეტთ, უმჯობესია, უპირატესობა ნატურალურ საშუალებებს მიანიჭოთ, რომელთა საიმედოობაც დრომ გამოსცადა.

# იცოცხლეთ დიდხანს

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას საკმაოდ ბევრი რამ განაპირობებს: გენეტიკური წინასწარგანწყობა, გარემო, ადამიანის ჯანმრთელობა, აღნაგობა, მისი სულიერი მდგომარეობა და სიცოცხლის წყურვილი.

დღეს დედამიწის მოსახლეობის საკმაოდ მცირე ნაწილი თუ აღწევს 100-წლამდე, 110 წელზე დიდი ხნის ადამიანები კი თითზე ჩამოსათვლელია.

## სუპერდღეგრძელები

2010 წლის მონაცემებით:

— მსოფლიოში ცნობილია 84 ადამიანი, რომელმაც 110 წელს გადააბიჯა, მათ შორის 75 ქალბატონია, 9 კი — მამაკაცი; 100-109 წლოვანების ადამიანთა რიცხვი კი 200 ათასს უტოლდება.

## გინესის წიგნის ხანდაზმულები

**პლანეტის ყველაზე ხანდაზმული ადამიანის** ოფიციალური რეკორდი ეკუთვნის ფრანგ ქალბატონ ჟანნა-ლუიზა კალმანს, რომელიც 1997 წელს 122 წლის ასაკში გარდაიცვალა;

**პლანეტის ყველაზე ხანდაზმული მამაკაცის** ტიტულს კი 118 წლის იაპონელი, კუნძულ ჰონსიუზე მცხოვრები ტომოძი ტანაბე ფლობს. ეს სტატუსი მას შემდეგ ერგო, რაც 115 წლის ასაკში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ტიტულის წინამორბედი რეკორდსმენი, პუერტო რიკოს მკვიდრი — ემილიანო მერკადო დელ ტორო გარდაიცვალა;

**დედამიწაზე მცხოვრები ყველაზე ასაკოვანი ქალბატონი** ჰოლანდიელი ჰენდრიკე ვან ანდელ-შიფერია, რომელსაც წელს 115 წელი შეუსრულდა. მან ეს ტიტული ასევე იაპონელი, ტანაბეს თანამოძმე 114 წლის იონე მინაგავას (ასევე კუნძულ ჰონსიუს მკვიდრი) გარდაცვალების შემდეგ დაისაკუთრა;

**ყველაზე ხანდაზმული ტყუპები** 1803 წელს ამერიკაში, ვირჯინიის შტატში დაბადებული ილან შადრაკ და ჯონ მეშაკ ფიბსები არიან, ისინი 108 წლის ასაკში გარდაიცვალნენ.

## კავკასიური დღეგრძელობა

კავკასიელები ოდითგანვე განთქმულნი იყვნენ დღეგრძელობით. მთებსა და მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებ კავკასიელთა შორის 100 წელს გადაცილებული უხუცესები არავის უკვირდა. მსოფლიო ყველაზე უკეთ ქართველ და აფხაზ დღეგრძელებს იცნობს.

კავკასიელ დღეგრძელთა ცხოვრების პირობებისა და საქმიანობის შესწავლამ ცხადყო, რომ დღეგრძელობის საფუძველს ტრადიციული რაციონი და ცხოვრების ჯანსაღი წესი წარმოადგენდა.

კავკასიელთა დღეგრძელობის მთავარ საიდუმლოს ეს ფაქტორები განსაზღვრავდა:

1. ლიზინი, მეთიონინი და ტრიფტოფანით (სამი 3 უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ამინომჟავა, რომლებსაც მხოლოდ საკვებ პროდუქტთა მცირე ნაწილი შეიცავს) მდიდარი საკვებით გაჯერებული რაციონი;

2. მცენარეული ზეთისა და ცხოველური ცხიმების დაბალანსებული მიღება;

3. საკვები ანტიოქსიდანტებით მდიდარი მენიუ, უხვად მიღება იმ პროუქტებისა, რომელთა როლიც სიცოცხლის გახანგრძლივებაში ექსპერიმენტულად არის დადასტურებული;

4. ნაკლებად, ზოგიერთ რეგიონში კი შაქრისა და მარილის საკმაოდ მწირი გამოყენება;

5. სწორად ორგანიზებული რაციონი: მცენარეული და ცხოველური პროდუქტები, შესაბამისად, უჯრედისით მდიდარი საკვების სიჭარბე;

6. ცხარე სანელებლები, ალკოჰოლის ზომიერი მიღება, მაღალკალორიული საკვები, ცხიმების ოპტიმალური შემცველობით;

7. ვიტამინებით, მიკრო- და მაკროელემენტებით მდიდარი საკვები, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული ანტიათეროსკლეროზული თვისებები აქვს.

კავკასიელ მთიელთა დღეგრძელობას განაპირობებდა მათი რაციონი და ცხოვრების წესი, რასაც ისინი ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ და რაც საბოლოო ჯამში აყალიბებდა ორგანიზმს — იგი წინააღმდეგობას უწევდა გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების რისკ-ფაქტორებს.

ყველაფერი კი ორგანიზმის ბიოლოგიური სიბერის გამომწვევი პათოლოგიების პროფილაქტიკას ახდენდა. ადამიანები დიდი ხნით ინარჩუნებდნენ ჯანმრთელობას და შესაბამისად, საკმაოდ დიდხანსაც ცოცხლობდნენ.



## დღეგრძელთა 12 ცნება

სხვადასხვა რეგიონსა და კონტინენტზე მცხოვრებ დღეგრძელთა კარნახით ჩამოყალიბებულია 12 ძირითადი ცნება, რომლებსაც განუხრელად იცავენ პლანეტის ყველაზე ხანდაზმული წევრები:

1. გაატარეთ რაც შეიძლება დიდი დრო სუფთა ჰაერზე;

2. დასაძინებლად დაწექით ადრე და დაასწარით ადგომა მზეს;

3. ნუ გაატარებთ ძილში 6-ზე ნაკლებსა და 7,5 საათზე მეტ დროს;

4. ნუ დალევთ ხშირად ყავასა და ჩაის, ალკოჰოლსა და თამბაქოზე კი საერთოდ უარი თქვით;

5. ხორცის ჭამა ნებადართულია დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ;

6. ყოველ დილას მიიღეთ ცხელი აბაზანა;

7. კვირაში ერთხელ დაისვენეთ ისე, რომ არც რამე წაიკითხოთ და არც დაწეროთ;

8. ატარეთ უხეში და მძიმე ბუნებრივი ქსოვილისგან შეკერილი ტანსაცმელი;

9. თავი აარიდეთ ძლიერ ემოციებს, გრძნობებსა და ისეთ გონებრივ მუშაობას, რომელიც ძლიერ გღლით და გთენთავთ;

10. თუ დაუოჯახებელი ხართ — დაოჯახდით, თუ უკვე იყავით დაოჯახებული და ახლა მარტო ხართ, მეგობარი ეძიეთ;

11. ასაკისგან დახარჯული და განლეული ორგანოები აღიდგინეთ ცხოველთა შესაბამისი ორგანოების საკვებად მიღების გზით.

## დღეგრძელთა 5 საერთო ჩვევა

დემოგრაფებმა, რომლებიც იაპონიაში, იტალიასა და ამერიკაში 100-წლამდე ასაკის ადამიანებს იკვლევდნენ, აღმოაჩინეს, რომ დღეგრძელებს ხუთი საერთო ჩვევა აქვთ:

— მათი მთავარი ნავსაყუდელი ოჯახია;

— ისინი საკვების მიღებისას ყოველთვის ზომიერებას იჩენენ;

— ზომიერად სვამენ ალკოჰოლური სასმელებს;

— არ ეწევიან;

— თანაბრად იზიარებენ მეუღლესთან ერთად ოჯახურ მოვალეობებს.

ასე რომ, ადამიანებს ძლიერი ოჯახური კავშირებით მეტი შანსი აქვთ, 100-წლიან იუბილემდე მიაღწიონ.

**გვერდი მოამზადა**
**ზვიად ლონლაძემ**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

**ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის ვიზიტი მსოფლიოს წამყვანი გამოცემების ყურადღების ცენტრში მოექცა.**

# vis uWers mxars amerika: mTlianad saqarTvelos Tu calkeul pirTa romelime jgufs

ჰილარი კლინტონი ეწვევა სომხეთს, საქართველოს და აზერბაიჯანს. ეს ვიზიტი მნიშვნელოვანია სამივე სახელმწიფოსთვის, განსაკუთრებით კი — საქართველოსთვის. ახლა ამ ქვეყანაში, ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური სეზონი დგება 2003 წლის შემდეგ, როცა არჩევნების შედეგები „ვარდების რევოლუციისა“ და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლით დასრულდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, უკვე 20 წელია, საქართველომ თავისი ბედი ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუკავშირა. ნაწილობრივ, ამის მიზეზი ორი ქვეყნის ყოფილი ლიდერების პირადი ურთიერთობა იყო. 1992 წლის გაზაფხულზე, შევარდნაძე, რომელიც ვაშინგტონში მისი საგარეო საქმეთა მინისტრობის დროინდელი მოღვაწეობის გამო მოსწონდათ, სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე მდგარ საქართველოში დაბრუნდა. ვაშინგტონსა და ბერლინთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებით, მან მასშტაბური უცხოური დახმარების მიღება შეძლო.

რასაკვირველია, ეს არ ყოფილა უპირობო მხარდაჭერა. 2003 წელს გამართული არჩევნები შევარდნაძის ძალაუფლებისა და ავტორიტეტის გამოცდად მიაჩნდათ. იმავე წლის ივლისში ამერიკის მთავრობამ საქართველოში ჯეიმს ბეიკერი მიავლინა იმისთვის, რომ არჩევნების ჩატარების საკითხზე გარიგებულიყვნენ. ეს შეთანხმება მოგვიანებით დაირღვა, თუმცა ქართველმა საზოგადოებამ შეძლო დაენახა, რომ პასუხისმგებლობა მხოლოდ შევარდნაძეს დაეკისრა. ამერიკული დახმარების უქონლობამ შევარდნაძეს მიაღებინა გადაწყვეტილება, 2003 წლის ნოემბერში მას შემდეგ გადამდგარიყო, რაც არჩევნები შეუმდგარად შეაფასეს.

2004 წელს ხელისუფლებაში მოვიდა ამერიკაში განათლებამიღებული მიხეილ სააკაშვილი. მან ისევე ამერიკას მიმართა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სახით მფარველიც იპოვა — მათ მეტისმეტად პირადი და მეტისმეტად ახლო ურთიერთობა დაამყარეს. როცა პრეზიდენტმა ბუშმა 2005 წელს თბილისის რევოლუციის მოედანზე შეკრებილებს განუცხადა — „თქვენ მიერ არჩეული თავისუფლების გზა იოლი არ არის, მაგრამ ამ გზაზე მარტო არ ივლითო“, ბევრმა ქართველმა მისი ნათქვამი სიტყვასიტყვით გაიგო.



იმავე მოგზაურობისას ბუშმა პრივატულ საუბარში სააკაშვილს განუცხადა, რომ თუკი ის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ომს წამოიწყებდა, „ამერიკული კავალერია ჰორიზონტზე არ გამოჩნდებაო“. ამის შესახებ შეერთებული შტატების წარმომადგენლები სააკაშვილს კონფიდენციალურ შეხვედრებზეც გამუდმებით უმეორებდნენ, მათ შორის 2008 წლის ივლისში (ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე) კონდოლიზა რაისის თბილისში ვიზიტის დროსაც.

როგორც ჩანს, საჯარო მხარდაჭერა სააკაშვილმა მიიღო იმის ინდულგენციად, რომ საქართველოს ერთ-ერთ თვითაღიარებულ ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების დაწყება შეეძლო. ამის შესახებ აღიარა კიდეც ბბჩ-ს დოკუმენტურ ფილმში, რომელიც 2008 წლის ომს ეხება. როდესაც მას შეკითხვა დაუსვეს სამხრეთ ოსეთში შეჭრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სააკაშვილმა უპასუხა: „ვფიქრობდით, რომ რუსებს გარკვეული პერიოდი იმის იმედით შევაჩერებდით, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა გაიღვიძებდა და დაინახავდა — ჩვენ ძალ-ღონეს არ ვიშურებთ და გარკვეულწილად ვითარებას ვცვლით“.

### დრამის მიწა

ობამას ადმინისტრაცია შეეცადა, საქართველოს მიმართ დამოკიდებულება ნაკლებად პირადული და უფრო პროფესიონალურ-ფორმალური ყოფილიყო. სააკაშვილს სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და როდესაც მიმდინარე წლის იანვარში მან ბოლოს და ბოლოს ამერიკელ პრეზიდენტთან აუდიენციას მიაღწია, ობამამ „საქართველოში ძალაუფლების ოფიციალურად გადაცემის შესახებ“ სიმბოლური განცხადება გააკეთა. მან აღნიშნა: „ვფიქრობ, ეს გაამყარებს იმ რეფორმების უმრავლესობას, რომლებიც უკვე ტარდება“.

საქართველო ხომ დრამის მიწა, სპექტაკლებისა და კოლორიტული პიროვნებების ქვეყანაა. ახლა მის პოლიტიკურ სცენაზე მოქმედებს არა ერთი, არამედ ორი პიროვნება. მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი ის ტიტანია, რომლის შარშანდელმა პოლიტიკურმა დებიუტმა ქართულ ოპოზიციას ახალი ძალა და ენერგია შესძინა.

სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური კულტურა ძალზე დაბალია. მოწინააღმდეგე მხარე არა მარტო ოპონენტია, არამედ — მოსისხლე მტერიც. ორივე მხარე ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებაშია დარწმუნებული.

26 მაისს პარლამენტის ახალ სესიაზე გამოსვლისას სააკაშვილმა ასეთი რამ თქვა ივანიშვილზე: „წარსულის ბნელი ძალები, რანაირი ფულიც არ უნდა ჰქონდეთ და რა სიცრუესაც არ უნდა ლაპარაკობდნენ, ქართველი ხალხის პროგრესისკენ დაჩქარებულ სვლას ვერ შეაჩერებენ“.

სააკაშვილი ცდილობს, გააცუროს დასავლეთელი თანამოსაუბრეები და გააბრუოს ისინი იმაზე ლაპარაკით, რომ მისი მთავრობა — 30-ზე მეტი ინგლისურად მოლაპარაკე მინისტრებით, შეუცვლელი პარტნიორია, ხოლო ივანიშვილის გამარჯვება საქართველოს გადაიყვანს არჩეული გზიდან და კვლავ რუსეთისკენ მიაბრუნებს.

თავის მხრივ, ივანიშვილმა თბილისში 27 მაისს გამართულ ხალხმრავალ მიტინგზ გამოსვლისას განაცხადა, რომ „სააკაშვილი მოსწყდა ტრადიციებსა და რეალობას“. მან მიიმხრო საზოგადოებისა და ამომრჩეველთა ის წარმომადგენლები, რომელებსაც სააკაშვილის პოლიტიკა ეუცხოებათ. ესენი არიან სოფლის გაღარიბებული მოსახლეობა, მართლმადიდებელი ქრისტიანები და ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ივანიშვილი დასავლეთს გარკვევით ეუბნება, რომ საგარეო პოლიტიკა არ შეიცვლება, მაგრამ საქართველოს უფრო გონიერი ხელისუფლება სჭირდებათ.

### ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი როლი

ახლა ჰილარი კლინტონის ჯერი დადგა — მან უნდა წარადგინოს ვაშინგტონის „ახალი გზავნილი“. მას ალბათ არ სურს შეასრულოს არბიტრის როლი, მაგრამ უახლესი ისტორია მას სხვა არჩევანს არ სთავაზობს. საქართველოში უნდათ მოისმინონ, რას იტყვის მომავალ არჩევნებზე მათი ამერიკელი მფარველი.

„გააზრებული გზავნილის“ საკვანძო მომენტების წარმოდგენა ძნელი არ არის: ხელისუფლების მიერ გატარებული დადებითი რეფორმების შექება; სააკაშვილისთვის იმის შეხსენება, რომ საქართველო მხოლოდ ის არ არის; აქცენტირება იმისა, რომ საარჩევნო ველზე უნდა შეიქმნას თანაბარი პირობები არა მარტო ხმის მიცემის დღეს, არამედ წინასაარჩევნო პერიოდშიც...

არსებობს უმნიშვნელოვანესი მომენტი — ჯეიმს ბეიკერისა და კონდოლიზა რაისის გამოცდილება გვკარნახობს, რომ გზავნილზე არანაკლებ მნიშვნელოვანი აუდიტორიაა. თუ ვაშინგტონი მხარს უჭერს მთლიანად საქართველოს და არა მხოლო ცალკეულ ადამიანთა ჯგუფს, ქართველმა საზოგადოებამ უნდა მოისმინოს ამერიკის ახალი სიგნალი, მოისმინოს ნათლად და მკაფიოდ თქმული.

***ავტორი — ტომას დე ვაალი, კარნეგის ფონდი.***

**The National Interest**

# mSfoTvare kavkasiis dasamSvideblad

ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტი აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში მართლაც, რომ დროულია, წერენ **International Herald Tribun**-ის ფურცლებზე ევროკომისიის ყოფილი ელჩი სომხეთსა და საქართველოში დენის კორბოი, ამერიკის ყოფილი ელჩი ყაზახეთსა და საქართველოში უილიამ კორტნი და ამერიკის ყოფილი ელჩი ბელორუსიასა და საქართველოში კენეტ იალოვიცი. მათი განმარტებით, კონფრონტაცია კავკასიაში საფრთხეს უქმნის ამერიკისა და ევროკავშირის ინტერესებს.

მათი აზრით, რისკების ჩამონათვალი ასეთია: ტერორიზმი და ჩრდილოეთ კავკასიაში ამბოხებულთა მოძრაობა, „აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს მიმდებარე ადგილების (შენიშვნა: *ტექსტში ასეა)* „რუსული ოკუპაცია“, ყარაბაღის გამო სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის განახლების მზარდი ალბათობა.

„პრეზიდენტად ვლადიმირ პუტინის დაბრუნება — ერთ-ერთი ფაქტორია, რაც ძაბავს ვითარებას. იგი ესწარაფვის საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებზე რუსეთის გავლენის გაფართოებას, რაც მისთვის ნატოს და ევროკავშირის საპირწონეა“, — ვკითხულობთ წერილში.

როგორ უნდა მოახერხოს ამერიკამ კავკასიური რისკის შემცირება? — ამ კითხვას სვამენ ავტორები და პასუხის მოძებნასაც ცდილობენ.

„მედგრად უნდა დავიცვათ საქართველოს დამოუკიდებლობა და პროტესტი გამოვთქვათ ამ ქვეყნის მეხუთედი ტერიტორიის ოკუპაციის გამო. არ უნდა დავუშვათ, რომ რუსეთმა საქართველოს გავლით გასატანი კასპიური ენერგომატარებლები აკონტროლოს“, — ასეთია მათი რჩევა. ამერიკამაც და ევროკავშირმაც უნდა დაარწმუნონ საქართველო, არ გაააღვივოს ანტირუსული განწყობილებები ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთთან ერთად აღკვეთოს ტერაქტები ოლიმპიადაზე.



რაც შეეხება მთიან ყარაბაღს, ამერიკამ და ევროპამ უნდა გააფრთხილოს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ალიევი, რომ სამხედრო მოქმედებების განახლებას მოჰყვება უარყოფითი შედეგები, მათ შორის — საერთორეგიონული ომი.

„ეუთოს წევრები თითქმის აღარ იწვევენ რუსეთს იმ დიალოგებში მონაწილეობისთვის, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიაში დაძაბულობას განიხილავს. არადა, საფრთხე იზრდება და შესაძლოა, იგი საქართველოს და სომხეთს მოედოს. სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის კავკასიური ტურნეს ერთ-ერთი მიზანია, დაარწმუნოს რეგიონის ქვეყნები, რომ დასავლეთი აქტიურად შეეცდება თავიდან აიცილოს კონფრონტაცია და კონფლიქტი.

**kavkasia.net**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

ჯემალ დავლიანიძე

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

### 9 აპრილი დაგეგმილი სპეცოპერაცია იყო

თამამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 9 აპრილის სისხლიან ანგარიშწორებას ხელმძღვანელობდა ის პერსონა, ვინც 8 აპრილს კრემლიდან იყო მოვლინებული თბილისში...

იმის შესახებ, რომ 9 აპრილს ქართული მილიციის დიდი ნაწილი სადღაც გააპარეს, მოგვითხრობს მიტინგის მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ზვიად გამსახურდია წერილ-ში „9 აპრილიდან 9 აპრილამდე“ (გაზ. „სახალხო განათლება“, №15, 1990 წ.):

„8 აპრილამდე მთავრობის სახლში და მის ეზოში იდგა დიდი რაოდენობით მილიცია. 8 აპრილს, ნაშუადღევს, დაიწყეს მილიციის გაყვანა მანქანებით (რის გამოც, თურმე გენერალმა როდიონოვმა პანღური ამოარტყა მაშინდელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს გორგოძეს, რომელსაც იარაღი თან ჰქონია, თორემ როდიონოვს ნაღდად ტყვია მოხვდებოდა! — ჯ.დ.), რაც ცუდად გვენიშნა. მთავრობის სახლის გასწვრივ დარჩა მხოლოდ რამდენიმე ათეული მილიციელი, რომლებიც, როგორც შემდგომ გავიგეთ, განუიარაღებიათ წინასწარ... გაისმა ხმები, ჯარი მოდისო და თვალი მოვკარი ჯავშანტრანსპორტიორების პირველ კოლონას, რომელსაც უკან ფარებიანი და ხელკეტიანი რაზმები მოსდევდნენ... აშკარა იყო, რომ მათ ხალხის დაშლა კი არ ჰქონდათ მიზნად დასახული, არამედ ალყაში მოქცევა. შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა მიზანი ამ ალყისა. ისინი ხალხს ერეკებოდნენ მთავრობის სასახლისკენ, თაღებისკენ, ვინაიდან სურდათ შეექმნათ ილუზია, თითქოს ხალხი შეცვივდა მთავრობის სასახლეში და მისი აღება მოინდომა შტურმით. ამის შემდეგ კი უფრო კანონზომიერი იქნებოდა ხალხის ამოჟლეტა. ამ მიზანს მათ ვერ მიაღწიეს, ვინაიდან მთავრობის სახლის წინ, კიბის თავზე ქართული მილიცია იდგა და ხალხს უქმნიდა კორიდორს პირველი საშუალო სკოლისაკენ (როგორც ჩანს, ჯუმბერ პატიაშვილი დროზე გააფრთხილეს, ხალხში არ ჩავიდა მოსალაპარაკებლად, თუმც კი ურჩევდნენ, გადარჩა სიკვდილს და გადარჩა ხალხიც უფრო დიდ ხოცვა-ჟლეტას! ამ აქციის დამგეგმავს ჰქონდა მეორე ვარიანტიც — ქართული მილიციის გაყვანა და ხალხის მიშვება მთავრობის სასახლისკენ, მაგრამ დარჩენილმა ქართულმა მილიციამ, მაინც ივაჟკაცა და ჩაშალა მზაკვრული ჩანაფიქრი! — ჯ.დ.)... უნდა განვაცხადო, რომ უცხოეთის პრესამ ხშირ შემთხვევაში გააყალბა 9 აპრილის არსი, როდესაც ცდილობდა ყოველივე გადაებრალებინა „გარდაქმნის“ მოწინააღმდეგე ძალებისათვის. სამაგიეროდ მოსკოვის თავისუფალი ჟურნალი „გლასნოსტი“ (№24-25, მაისი, ივლისი, 1989 წ. ინგლისურ ენაზე) სამართლიანად აღნიშნავს, რომ ის სპეციალური შინაგანი ჯარი, ანუ „სპეცნაზი“, რომელმაც დაარბია 9 აპრილის მიტინგი, ემორჩილება მხოლოდ გენერალურ მდივანს, რომელიც არის უმაღლესი მთავარსარდალი. ის, რომ 9 აპრილის დღეებში გორბაჩოვი ლონდონში იმყოფებოდა, მას ვერ უხსნის სრულ პასუხისმგებლობას“.

საბჭოთა კავშირის მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა, დიმიტრი იაზოვმა ჟურნალისტური გამოძიებისას ირაკლი გოცირიძეს პირისპირ, ინტერვიუს დროს განუცხადა, რომ:

„როდიონოვი მე დავნიშნე თბილისის კომენდანტად და შეიარაღებული ძალით წესრიგის აღდგენის ღონისძიების ხელმძღვანელად. თანაც ეს განკარგულება მე მას მივეცი არა ქაღალდზე დაწერილი ბრძანების სახით, არამედ ტელეფონით, რაც, ვაღიარებ სწორი არ იყო“ (გაზ. „სახალხო განათლება“, №39, 1989 წ. 30 აგვისტო).

დიმიტრი იაზოვმა ტელეფონით უკარნახა, რა უნა გაეკეთებინა როდიონოვს და რაო, გორბაჩოვი



ლონდონიდან ველარ მოახერხებდა თავის მხრივ, თავდაცვის მინისტრისათვის ან თავის ძმადნაფიც შევარდნაძისათვის ტელეფონით ებრძანებინა?

### სიცრუის ქარიშხლები

სხვათა შორის, სანამ შევარდნაძეს თავისმა ბნელეთის მეგობრებმა, საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობისათვის სათანადო ოპერაციის განხორციელების უფლება არ მისცეს, იგი ვითომც ისევ ძველ ჭკუაზე იყო, - რუსეთს აქებდა და ადიდებდა. ასე მაგალითად, 1991 წლის შემოდგომაზე, შევარდნაძეს ანდრეი კარაულოვი ეკითხება (გაზ. „ნეზავისიმაია გაზეტა“):

„თქვენ ძალზე ავტორიტეტული იყავით საქართველოში, ხშირად ხვდებოდით ინტელიგენციის სხვადასხვა წრეებს და, ამის მიუხედავად, საქართველო-ში არ ისმის არც ერთი ხმა თქვენს დასაცავად, რატომ? ნუთუ ყველას ასე ეშინია ზვიად გამსახურდიასი? რა ხდება?“

შევარდნაძე პასუხობს:

„- იცით, მე ბევრს ვფიქრობდი ამ პრობლემაზე, რომ ვთქვათ, საქართველოში მე ვძულვარ, პატივს არავინ მცემს... არ შემიძლია, სხვა მხრივ — თქვენ მართალი ხართ, პუბლიკაციები ქვეყნდება მუდმივად, თითქმის ყოველდღე... როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო? თითქოსდა, პრინციპში, არცთუ ისე ძნელია, რეაგირება არ მოვახდინო იმიტომ, რომ უფრო ხშირად წამოჭრიან სრულიად დაუსაბუთებულ ბრალდებებს... მაგრამ რეაგირებაც, იცით... როცა ხდება საზოგადოებრივი აზრის დამუშავება, თანაც მუდმივად, ძალზე მძიმეა. ასეც ვფიქრობდი: გავემგზავრო საქართველოში და მოვითხოვო დიალოგი აუდიტორიის წინაშე. ვისაც აქვს სურვილი, წამომიყენოს პრეტენზიები, ბრალი დამდოს — დაე, გამოვიდეს, მე ვუპასუხებ. ასე იყო 9 აპრილის ტრაგიკულ დღეებში. იყო კამათი, დადანაშაულება, მაგრამ არ გავურბოდი, ვპასუხობდი ყველა შეკითხვას. მით უფრო ვუპასუხებ ახლა (ცრუობს შევარდნაძე... ჯერ ერთი — ზვიად გამსახურდიამ როცა მას პირადად შესთავაზა საქართველოში ჩამოსვლა და სამშობლოსათვის სამსახური, მან უპასუხა — მე ერთი პენსიონერი კაცი



ვარ, თავი დამანებეთო! მეორეც — იგი ვერ ჩამოვიდოდა იმ საქართველოში, სადაც ეროვნული ხელისუფლება იყო და ვერავისთან, ვერანაირ აუდიტორიაში დიალოგს ვერ გამართავდა. მით უმეტეს, ვერასგზით ვერ დაჯდებოდა ზვიად გამსახურდიასთან ერთად ტელევიზიაში და ვერ ჩაერთვებოდა დებატებში თავისი სილაჩრის და უამრავ დანაშაულებათა გამო! — ჯ.დ.). იცით, ოდესღაც მეც მქონდა ფრაზა — საქართველოსათვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის, რომელიც დღეს ერთ-ერთი მთავარი ბრალდებაა და არასგზით არ უნდათ მაპატიონ! მაგრამ, აი, როგორაა საქმე სინამდვილეში, მომისმინეთ: გეორგიევსკის ტრაქტატი რომ არა, რა დაემართებოდა საქართველოს? სთხოვდნენ, მუხლებზე უდგებოდნენ (მტკნარი სიცრუეა! საქართველოს იმდროინდელი მეფე ერეკლე II მუხლებზე არავის დასდგომია, არამედ, როგორც ტოლფასოვან სახელმწიფოს ეკადრებოდა, ისე დადო ხელშეკრულება რუსეთთან! — ჯ.დ.), რომ იმპერიის შემადგენლობაში შესულიყვნენ (ეს გახლავთ ისტორიული სიცრუე! შევარდნაძე საშინლად აყალბებს ისტორიას! საქართველოს არასოდეს უთხოვია რუსეთისათვის შენს შემადგენლობაში შემოვალო! — ჯ.დ.) და რუსეთის მეფის მფარველობა მიეღო (არა მფარველობა, არამედ: თუ საქართველო მოითხოვდა, მხოლოდ შესაბამისი თხოვნის საფუძველზე, რუსეთს უფლება ჰქონდა და ხელშეკრულებაც ავალდებულებდა — საგარეო საქმეებში ჩარეულიყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გააჩნდა უფლება შინაურ საქმეებში ჩართვისა! — ჯ.დ.), რამეთუ საქართველო იღუპებოდა, ერი ფიზიკური განადგურების ზღვარზე იყო, რომელ ერ-თიანობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა კახეთი ცალკე იყო, ქართლი, სამეგრელო ცალკე, - აი, ასე ცალ-ცალკე განადგურდებოდა ყველა, ამიტომ ვამბობდი გულწრფელად (ღმერთო, თუ არსებობს ისეთი წამი, რომ შევარდნაძე ოდესმე გულწრფელი ყოფილიყო? — ჯ.დ.) და ახლაც ვიტყვი, საქართველო დაიღუპება რუსეთის გარეშე“ (გაზ. „თბილისი“, №215, 1991 წ. 22 ნოემბერი).

ახლა რაღას გვეტყვის კრწანისში რგოლ-რგოლად, ჩხრიალასავით მოკეცილი, ევროამერიკის მეოხებით პენსიაზე წყნარად განსვენებული შევარდნაძე? თუ მას მაშინ მართლაც სჯეროდა, რომ ურუსეთოდ საქართველო დაიღუპებოდა, რატომღა შეატრიალა ბედის ჩარხი ქვეყნისა და რატომ მიგვაბა ევროამერიკაზე?

ააა? უჰ! ძლივსღა მივხვდი: სპეციალურად ჩაიდინა ამგვარი ამბავი, რომ საქართველო მართლაც დაღუპულიყო!!!

### მართლმადიდებლური ქვეყნები უნდა წაშალონ!

შეიძლება მკითხველმა კიდევ ერთხელ იკითხოს, ამ შევარდნაძის შესახებ ძალიან ბევრს ხომ არ ლაპარაკობს ამ წიგნის ავტორიო! უცბადვე გეთანხმებით და კვლავაც აგიხსნით: შევარდნაძეა მთავარი გასაღები, რომ დავამტკიცო მისი კავშირი ამერიკის და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების დაზვერვასთან, რაც ნათელს მოჰფენს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ქვეყნების წინააღმდეგ ჩაფიქრებულ ბნელ ზრახვებს! რაც დაგვანახვებს — ვინ არის ნაღდი მტერი, არა მხოლოდ საქართველოსი და თვით რუსეთისა, არამედ მთლიანად კაცობრიობისა!

ამჟამად, ამ წუთს საჭიროა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ შევარდნაძე არასოდეს აკეთებდა რუსეთის, და მით უმეტეს, საქართველოს საქმეს (კარგ და კეთილ საქმეზეა საუბარი, თორემ ცუდ საქმეს იგი დღესაც, ას წელს მიტანებულიც ჩინებულად უძღვება!).

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ ქართული ენის დაცვის შესახებ... ვნახეთ, როგორ ტრაბახობდა შევარდნაძე — ქართველ ხალხს მე შევუნარჩუნე ქართული ენაო. გვსურდა გაგვერკვია — იმ დროს, საბჭოთა კავშირში, ვინ მიიღო გადაწყვეტილება მოკავშირე რესპუბლიკებში რუსული ენა ყოფილიყო ე.წ. წამყვანი ანუ მთავარი ენა!

ამ საკითხის შესახებ, საინტერესო მოგონებები აქვს საკავშირო კგბ-ს თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს ფ.დ. ბობკოვს თავის წიგნში „კგბ და ძალაუფლება“ (1995 წ. ქ. მოსკოვი):

„მე ვეწვიე შევარდნაძეს, რომელიც მოსკოვიდან ახალი დაბრუნებული იყო. იგი აფორიაქებული მომითხრობდა კონსტიტუციის ახალი პროექტის შესახებ, კერძოდ იმ მუხლზე, სადაც ენაზეა საუბარი.

-დღევანდელ კონსტატუციაში რა სწერია?

-ქართული და რუსული ენების გათანაბრებაზე არაფერიც არ სწერია! — მიპასუხა შევარდნაძემ.

-მაშინ, რა ძალა გადგიათ, ნურც ახალ კონსტიტუციაში ჩაწერთ ამის თაობაზე, - ვურჩიე მე.

-იცით, ეს უკვე შევუთანხმე სუსლოვს და მან მხარი დაუჭირა ჩემს ინიციატივას, მაგრამ საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო თუ არა კონსტიტუციის ეს მუხლი, ქუჩებში გამოვიდნენ აღშფოთებული სტუდენტები და მოითხოვეს, რომ საქართველოს სახელმწიფო ენად ქართული დარჩენილიყო.

ამის შემდგომ მომიტინგეებთან გამოვიდა შევარდნაძე და შეჰპირდა, რომ მათ მოთხოვნებს შეასრულებდა“.

ეს, რაც შეეხება შევარდნაძის „გმირობას“ ქართული ენის შესანარჩუნებლად, რის გამოც მის ტრაბახს საზღვარი აღარ გააჩნია!

ვნახოთ, რას გვიამბობს კავკასიური პრობლემების ექსპერტი, დავით არსენიშვილი (გრიგორი იუნინის ჩანაწერი: „ზავტრა“ №14, 1996 წ.):

„გარეშე ძალებმა, რომლებიც დაკავებულნი არიან კავკასიიდან რუსეთის თანდათანობით გაძევებით, ბოლო თვეებში ეს პროცესი შეიყვანეს ფაზაში, რომელსაც პირობითად „კავკასიის ჩამოჭრა“ შეიძლება ეწოდოს... საქართველოს ნგრევამ სამხრეთ რუსეთის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური სუვერენიზაციის აფეთქება უნდა გამოიწვიოს. ამ პროცესის დაწყებას ემსახურება წინასწარ დაგეგმილი და დღის წესრიგში შეტანილი საქართველო-აფხაზეთის ომი, რომლის დინამიკა და შედეგები განსაზღვრავს გეოპოლიტიკური „სამხრეთული“ ექსპერიმენტის ხასიათს... მიზანი ითვალისწინებს არა რაღაც ქართულ-აფხაზურ სამხედრო კონფლიქტს, არამედ ტოტალურ ხოცვა-ჟლეტას მთელი საქართველოს მასშტაბით, რამაც, საერთო ჯამში, „სნგ-ს სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის“ ნიშნით უნდა ჩა-

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14-25

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



იაროს, რათა „იგი მოწყვიტონ შავ ზღვას“... გეოპოლიტიკური ექსპერიმენტის ჩანაფიქრი მარტივია ისევე, როგორც მისი შედეგი – ჩათრეულ იქნას რუსეთი მისთვის არაფრის მომცემ ავანტიურაში, რის შედეგადაც რუსეთს წაერთმევა უფლება, წინააღმდეგობა გაუწიოს ნატოს სამხრეთით გაფართოებას... გავიხსენოთ ჰარვარდის უნივერსიტეტის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორის ს. ხანტიგტონის საკმაოდ სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ „რუსეთს ელოდება სსრკს ხვედრი“, რომ „რუსეთმა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, მთლიანად სლავურმა მართლმადიდებლურმა და მუსულმანურმა ცივილიზაციამ, „ცივილიზაციათა გადამწყვეტი შეტაკების“ შედეგად „ახალი ხარისხი უნდა შეიძინოს“... საქმე იმაშია, რომ საქართველოს მეოხებით, ზემოთხსენებული პერსპექტივა ძალიან ახლოსაა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჰელმუტ კოლს, რომელიც საიდუმლო, წამქეზებლურ პოლიტიკას ეწევა. ერთობ ყურადსაღებია, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტის ზონიდან ფედერალური ფორმირებების გამოყვანის საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც გერმანიის მინისტრი კ. კინკელი საიდუმლო მოლაპარაკებისთვის შევარდნაძეს ეწვია, ხოლო კანცლერმა კოლმა ბ. ელცინთან გააბა ძაფები... ვერაგული ჩანაფიქრი აქვს ედუარდ შევარდნაძეს ორმაგი მექანიზმის დახვეწასა და ამოქმედებაში, რაც რუსეთის დაცემასა და მსოფლიო „დემოკრატების“ თუ „არქიტექტორების“ მიერ მართვად მუსულმანურ სამყაროსთან შეტაკებაში მდგომარეობს. მეორეს მხრივ – ამ ფაქტორს ისევ შეაბრუნებენ და გამოიყენებენ ისევ რუსეთის წინააღმდეგ, უკუდარტყმითი დეტონატორის მსგავსად – აშლიან მუსულმანურ ავტონომიებს დამოუკიდებლობის მოთხოვნის საბაბით! შევარდნაძეს ამას გარდა სხვა პროვოკაციული როლიც გაჩნია. მან, აშკარა თუ ფარული დიპლომატიით ხელი შეუწყო შავი ზღვის სრუტის ჩაკეტვას და „დიდი თურანის“ იდეის აღორძინებას. თან, რუსეთის თვალწინ იწყებს მოლაპარაკებებს კასპიის ნავთობის საქართველოზე გავლით ტრანზიტის თაობაზე... ამგვარად, ანტირუსულ გეოპოლიტიკურ პროექტში, მკვეთრად გამოიკვეთა მთავარი მომქმედი გარეშე ძალები. ესენია: აშშ, რომლის ინტერესებიც ფართოდაა წარმოდგენილი რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში, ისლამური ქვეყნები და გერმანია, რომელიც თავის „ინდივიდუალობას“ ავლენს აშშ-სთან ფრთხილ არააშკარა გეოპოლიტიკურ წინააღმდეგობაში. ნათელია, რომ უახლოესი ორი წელიწადი ჩაივლის ერთის მხრივ, საქართველოს მეშვეობით მუსულმანურ სამყაროსთან რუსეთის შეხების ნიშნით და, მეორეს მხრივ – რუსეთის დამშლელი „სამხრეთის პროცესის დაწყებით“. ამ „ორწლიანი“ ფაზის საბოლოო შედეგი იქნება ნატოს საზღვრების გაფართოება, მასში უკრაინისა და ბელორუსიის შესვლა, სნგ-ს სრული კრახი, რუსეთის დაშლის დაწყება და განვითარება. გამოსავალი ერთია, შევარდნაძესა და არძინბას არ უნდა მიეცეთ სა-შუალება, განაახლონ საომარი მოქმედებები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყვანონ რუსეთის სამშვიდობო ძალები. აუცილებლად უნდა გაიყინოს ყველა კავკასიური პროცესი რუსეთის მიერ. საქართველოში, პირველივე გასროლისთანავე რუსეთმა დაუყოვნებლივ ყველაფერი უნდა იღონოს, ხელისუფლებისაგან შევარდნაძის ჩამოსაცილებლად, სანამ ეს კიდევ შესაძლებელი იქნება“.




კითხულობ კაცი ამ სტრიქონებს და გაოცებას საზღვარი არა აქვს. 1996 წელს, 13 წლის წინ, რამდენი რამ განუჭვრეტია ადამიანს, ქართველ კაცს – დავით არსენიშვილს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ჯარჯი ფხოველი

## პოეზია



**წიგნიდან „100 ლექსი“**

### მარტყოფი. თებერვალი.

ვერას გახდები გულის გახევით:
დარდი გუბდება: შიგა ტრიალებს...
როგორ თანდათან შეგეჩვია ჩემი სახელი,
დიდი მარტყოფის მიწავ, ტიალო!

ცივი ზამთარი და ცრემლის გუბე...
ეს საძულველი თებერვალიც ბევრჯერ ითოვებს!...
და ისიც ბევრჯერ ჩამაცმევს ღრუბლებს,
ვინც სამუდამოდ შენ დაგიტოვე!

### შენ გეხვეწები!

შენ გეხვეწები, ქართველო,
გლოვაში, ჟამთა ქვითინში
სიკვდილის არად ჩამთვლელო,
ბევრი გაქვს გასაქვითი შენ!...

გლოვაში, ჟამთა ქვითინში,
შენ გეხვეწები, ქართველო,
არ შემოუშვა სკვითი შინ!...

არ შემოუშვა სკვითი შინ!
არ შემოუშვა სკვითი შინ!

### შურისძიება იცის ბალახმა

მწვანე დუმილი აწევთ საფლავებს.
მოკვდა წარსული, ველიც გადახმა.
ო, საბოლოო და დამზაფრავი
შურისძიება იცის ბალახმა!...
წლები იმედებს ბნელში ხაფრავენ.
არა ნათელი ცისა... არა ხმა!...
ო, საბოლოო და დამზაფრავი
შურისძიება იცის ბალახმა!...

### ზამთრის ტყე

ზამთრის ტყე
თოვლზე ეს ლურსმული წარწერები ღმერთმა დატოვა...
ის გვიამბობს დედამიწის სილატაკეზე.
და ტკივილებზე,
მიწას რომ ბურძგლავს
და აკვნესებს გაზაფხულამდე...

ზამთრის ტყე:
თოვლზე უხილავის ხელით ნაწერი
ლურსმნული ტექსტი –
სტრიქონები,
წერტილები,
კითხვის ნიშნები...
და ალაგ-ალაგ ბავშვი – ღმერთის ნატერფალები...

### მგლები

იქ – არახიჯის გადასავალთან
ნელა თოვს ახლა და ყმუის მგელი...
და ჩემს ქალაქში,
და გაყინულ შუაღამეში
მომინდა უცებ –
გავიგონო ტყიერთა მოთქმა –
ახლა რომ სხედან არახიჯის გადასავალთან
და
შეწყობილად,
ხმამაღლა,

ერთხმად
გაისმის მათი შიშილის ზარი...

ო, უზრუნველო აჩრდილებო,
სასახლეებო,
დიაცის თმებში დახლართულიო ღამევ წკვარამო,
და კიბეებო სინანულისა, –
მე ვფიქრობ მგელზე,
გეუბნებით, მე ვფიქრობ მგელზე,
ჩუმად რომ ულრენს დამშეულ თვისტომს
და სიზმრებს ხედავს შუაღამის თოვლიან ქოხში
იქ –
არახიჯის გადასავალთან.

* * *

ნისლი გეხვევა დროსავით ბებერს,
წლების სიმწარენასვამს გალეშილს...
შენ ეს ფურცლები სისხლითა ღებე,
დარდი დამარხე შუაღამეში...

ნისლი გეხვევა დროსავით ბებერს,
აქ ისტორიის აღმართს აივლი...
ეხლა სხვაგვარი დღეები ყეფენ,
გეხვევა ჟამი სულ სხვანაირი!

* * *

ავი დღეების სენით მოცელილს
ბნელში გადათვლი წლებს – თითო-თითოდ...
მერე აიგლეჯ და მოიცილებ
სიძულვილს – ყელზე დახვეულ პითონს.

შავი დღე ჩავა და დაღამდება,
მერე თანდათან იქცევა ნაცრად...
შენს წინ იელვებს წყება ლანდების
და ორი სიტყვა: გოლგოთა, ჯვარცმა!

* * *

დიდხანს იყავი პირქუში ცის ტყვე.
შავი სიზმრების გჭირდა სახადი.
შენ აქ არჩევდი გველისფერ სიტყვებს,
შხამდალეული მიწა დახატე.

სულის წივილი გადმოიბირე,
შემოირიგე ლექსი, ვამპირი,
წყვდიადში დანთქმას შენ რომ გიპირებს,
დღეებს რომ გართმევს გველეშაპივით.

სიზმრების ჩრდილი ვერ მოიცილე,
სიტყვები, ცეცხლით დასადაღელი...
გულში გველის ხმით ვიღაც იწივლებს,
დაგტოტნის ლექსი სისხლის ამღები.

* * *

საღამოს ქალაქში
სუყველანი
თავ-თავის დარდს ჩაჰყურებენ, ითვლიან, წყავენ,
რაც მეტია, გარეთ გამოაქვთ...

უნაწილებენ ბინდშეყრილ ქუჩებს,
ყრიან ავადმყოფ სანაგვეებზე...

შეიძლება
საღამოხანს
აქ ვიღაცის დარდი იშვილო,
უპოვარი და ქუჩაში გამოგდებული!...

* * *

გემშვიდობება ცა საღამოთი,
შავ ლაბირინთში წარსულს იგონებ...
შენ სიზმრებიდან ლექსებს გამოთლი,
შიგ გადაურევ მწარე სტრიქონებს.

ღამისფერ სიტყვით მოიწამლები,
გახედავ ველებს, ბინდით მოცულებს,
გადაეკიდე სტრიქონს, წამლეკავს,
ბნელს შეურიგდი მისი მოძულე...

მინებდი ლექსებს, ღამის პირმშოებს.
გულს გადაევლე შავი მორევი...
შენი სამყოფი შხამი იშოვე,
შენი სიკვდილი, აუშორები!

მოგზაურობა სამშობლოში

# ნებოძირი — გზაშესაყარი

## ჩხერიმელის ხეობა



ნებოძირის ქედის „წმინდა გიორგი“



ნებოძირის ქვათაქვა



ნებოძირის კოშკი




ვარძიის, ხიდარისა და ვანის ეკლესიების შემოვლის შემდეგ ჩვენი მკითხველი ჩხერიმელის მარჯვენა სანაპიროზე უნდა გადავიყვანო და ხარაგაულის გავლით ჩრდილოეთის გზას დავადგე. სანამ ძირულას შეუერთდება, ჩხერიმელა აღმოსავლეთიდან პატარა მდინარე ყარნებას ირთავს. ამ მცირე ხერთვისში გაშენებულია სოფელი **ლაშე** (XVI საუკუნის ერთი ისტორიული საბუთისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით — **მლაშე**), სადაც, ციხე-დარბაზთან ერთად, XVIII-XIX საუკუნეების აბაშიძეთა საგვარეულო ეკლესიის კედლებია შემონახული. ეს ეკლესია, ერთი ლეგენდის თანახმად, ჩვენს მიერ უკვე ნანახ ვანის ეკლესიასთან არის დაკავშირებული.

ლეგენდა ასეთია: **სოფელ ვანს ოსმალოს ლაშქარი შესევია, წმინდა გიორგის ეკლესია დაუნგრევია და მისი ხატები მდინარეში ჩაუყრია. ერთ-ერთი სიწმინდე, ღვთისმშობლის ხატი, ჩხერიმელას ლაშესთან გამოურიყავს. იგი იქაურ მღვდელს ეგნატე მანჯავიძეს მას შემდეგ აღმოუჩენია, რაც სიზმარში უნახავს: სილაში ჩაფლული ხატი, თურმე, შველას ითხოვდა და მოძღვარს ახალი ეკლესიის აგებას შთააგონებდა. ასე დარქმევია ლაშეს ეკლესიას ვანის ღვთისმშობლის საყდარი.** მისი სამხრეთ კარის თავზე არსებულ წარწერაში მოხსენიებულნი არიან თავადი ძმები: **დავით და გიორგი აბაშიძეები** და ზევით ნახსენები **დეკანოზი მანჯავიძე**. როგორც ითქვა, ეკლესია –XVIII-XIX საუკუნეებისაა, მაგრამ მისი მოხარატებული, ერთფიცრიანი კარი, რომელიც 1926 წელს ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადაეცა და ხელოვნებათმცოდნე ირინე უზნაძემ შეისწავლა, XI საუკუნისა გამოდგა. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ლაშეში ადრე XI საუკუნის ეკლესიაც არსებობდა.

ლაშიდან აღმოსავლეთით, ყარნების ნაპირზე არის მირონწმინდა, აწგანსვენებული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით დევდარიანის მშობლიური სოფელი, სადაც კიდევ უფრო საინტერესო ეკლესიის წმინდა ნიკოლოზის საყდრის ნაშთებია შემონახული და აღდგენის პროცესშია. ზედაპირული არქეოლოგიური დაკვირვება იმას გვეუბნება, რომ აქ მოზრდილი სამონასტრო კომპლექსი იყო. ამჟამინდელი ეკლესიის ნანგრევები გვიანი შუასაუკუნეებით თარიღდება, მაგრამ მისი საძირკვლის ქვეშ გაცილებით ძველი, VI-VII საუკუნეების საყდრის ნაშთებს მიაკვლიეს. გასული საუკუნის დასაწყისში შუასაუკუნეების დანგრეული ეკლესია უდიერად აღუდგენიათ და შეულესავთ, მაგრამ მერე ნალესობა აქა-იქ ჩამოცვენილა და XV საუკუნის რამდენიმე ფრესკას „თვალში გამოუხედავს“. დარბაზულ ეკლესიას ჰქონია სამხრეთისა და ჩრდილოეთის თანადროული მინაშენები. ჩრდილოეთ მინაშენის ქვეშ ყოფილა კრიპტა (სადვალე), რომელშიც ეკლესიის მთავარი დარბაზის ჩრდილოეთ კედელში დატანებული და თაღით გადახურული კიბეები ჩადიოდა.

მირონწმინდა ფრესკა და ბაბის ეკლესია





მირონწმინდიდან სამხრეთით და ხარაგაულიდან აღმოსავლეთით, იქ, სადაც ჯონჯოურა ჩხერიმელას უერთდება, მარჯვენა სანაპიროზე და რკინიგზის გადაღმა, მთაზე აღმართულია სახელგანთქმული **ჩხერისციხე**. ბასტიონი XV საუკუნეში იმგვარად აუგიათ აბაშიძეებს, რომ სამი მხრიდან მიუვალია. **ციხესიმაგრე, რომელშიც ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ იქორწინა, XVIII საუკუნის 70-იან წლებში დიდი ხიფათის წინაშე აღმოჩნდა — მას ოსმალოს 4000-იანი ლაშქარი მიადგა. ღალატის მიუხედავად, მტერმა მაინც ვერ მოახერხა მისი აღება — სოლომონ მეფის დასახმარებლად ერეკლე მეორე დაიძრა და ფაშამ განზრახვაზე ხელი აიღო. უფრო მეტიც — ჩხერისციხის ძირში დაბანაკებულმა იმერეთის მეფემ იქით შეუტია პოზიციადაკარგულ ფაშას, 2400 მეომარი დაუხოცა და 600 ტყვედ ჩაიგდო.** გადარჩენილმა ოსმალებმა ძლივს ჩააღწიეს ახალციხეში... რა ერქვა აქ ჩამომავალ მდინარეს ადრე, ძნელი დასადგენია, XV საუკუნიდან კი სწორედ ჩხერისციხისაგან მიიღო სახელი — ჩხერიმელა.



ჩხერისციხე

ვახანისწყლის შემდეგ, აღმოსავლეთით, ჩხერიმელას ერთი მცირე შენაკადიც უერთდება სამხრეთიდან, რომლის სიახლოვეს ორი სოფელია: **ქვები და ბაბი. ეს უკანასკნელი 1658 წელს იხსენიება იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის სიგელში.** ადრე აქ ხის კოხტა ეკლესია მდგარა, მაგრამ გადამწვარა და მის ნაცვლად, XIX საუკუნის დასასრულს, კარგახელა დარბაზული ეკლესია აუგიათ წმინდა გიორგის სახელზე. იგი 1882 წელს უკურთხებიათ და პირველი წირვალოცვა მამა დომენტი რამინიშვილს ჩაუტარებია. ჩხერიმელის ხეობაში ეს ერთ-ერთი დიდი დარბაზული ეკლესიაა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მოსაწესრიგებელია.

XIX საუკუნის ტაძრები ამ მხარეში საკმაოდ ბევრია. ისინი ყველა სოფელში დგას, მაგრამ, რაკი უფრო ძველი საყდრები გვაინტერესებს, უმჯობესია სოფელ **ნებოძირს** ავაკითხოთ.

ნებოძირის „ვაკიჯვრის წმინდა გიორგი“ XVIII საუკუნის ტაძარია. იგი ახალი აღდგენილია. იქვეა ორიგინალური საფლავის ქვა, რომელიც 1901 წელს გარდაცვლილ ეკლესიის მოძღვარს იოანე ფერაძეს ეკუთვნის... ტაძარი 80 წლიანი დუმილის შემდეგ 1999 წელს ამოქმედდა და იმ დღიდან მოყოლებული. დეკანოზი მირიან რამიშვილი წირავს.

სოფელში არის კიდევ ერთი, მცირე ხის სამლოცველო და XVI საუკუნის კოშკი. ეს უკანასკნელი აქ სოფელ ნებოძირის ქვემოთ ჩამოსახლებამდე მდგარა. დიახ, **სოფელი ნებოძირი XVIII საუკუნემდე მაღლა, მთაში მდებარეობდა და მებოძირი ერქვა. მებოძირი, ჩვენგან დავიწყებულ ქართულში, მრავალი გზის შესაყარ ადგილს ნიშნავდა.**

სოფელში ამჟამად 150 კომლია და 14 გვარი ცხოვრობს: ტალახაძეები და ტორაძეები, ლაცაბიძეები და კაკიაშვილები, ცხოვრებაძეები და ღონღაძეები, კვინიკაძეები და თურმანიძეები, იმერლიშვილები და გაფრინდაშვილები, იაკობიძეები და მცურავიშვილები, ხაბულიანები და ხატრიშვილები. ეს უკანასკნელი იმით გახლავთ ცნობილი, რომ ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი — **იასონ ხატრიშვილი სტალინის ყმაწვილკაცობის მეგობარი იყო და მისი ოჯახი ხშირად მასპინძლობდა სოსოს.** ამ ამბავს ახლა აქ იშვიათად თუ გაიხსენებენ, რადგან მარადიული და უცვლელი არაფერია... არაფერი, სოფლის საუკუნოვანი ტრადიციის გარდა, რომლითაც **პეტრე-პავლობის** დღეს აღნიშნავენ. **ამ დღეს ყველა ოჯახში ჭური უნდა აიხადოს, მაგრამ ამ საქმეშიც თურმე ისაა საამაყო, მეზობლის გადმოპატიჟებას ყველაზე ადრე ვინ მოახერხებს. იშვიათად ისეთი პეტრე-პავლობა, რომ ნებოძირლებმა ძველთაძველ ფუძეს არ აკითხონ მთაში, სადაც ნასახლართა კვალი დღემდეა შემორჩენილი.** ჩვენ იქ ცხენებით ავედით. ამ ათიოდ წლის წინათ ნებოძირლებმა უძველესი ნასაყდრალის საძირკველზე ახალი, ხის ეკლესია ააგეს. ამ სამლოცველოს „ქედის წმინდა გიორგი“ ჰქვია. არ ვიცი, მშვენიერი გარემოს ზემოქმედებით თუ წინასწარ შექმნილი განწყობით, კოხტა და მომხიბვლელმა ხის ეკლესიამ არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დატოვა. **ეს ადგილი არც თუ ისე მაღლა, ზღვის დონიდან სულ რაღაც 1000 მეტრის სიმაღლეზე უსიერ ტყეშია. უფრო ზევითაა ძირულისა და ჩხერიმელის წყალგამყოფი ქედის — გედსამანიის კორტოხზე მდგარი ორი უშველებელი, ერთიმეორეზე შემოდგმული ლოდი, რომელსაც ნებოძირლები ქვათაქვას უწოდებენ.** ახლა ძნელი დასადგენია, იყო თუ არა ეს წარმართული საკულტო ძეგლი, მაგრამ საგანგებო ნიშანს რომ წარმოადგენდა, ეს უდავოა. იგი თავს დასცქერის ოთხივ მხრივ მიმავალ გზებსა და ნაგზაურებს. ეს გზები ასე იტოტება: ჩრდილოეთით — წაქვის, ხევის, გედსამანიის და ბჟინევის მიმართულება, აღმოსავლეთით — ფონისა და წიფის მიმართულება, სამხრეთ-დასავლეთით — ნებოძირის, ვახანისა და ჭართლის მიმართულებები. მაგრამ, გარდა ამისა, **ქვათაქვა ქართლისა და იმერეთის სამეფოთა საზღვრის ერთგვარი ნიშანსვეტიც ყოფილა: საზღვრის ხაზი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ძირულის ნაპირებს მოსდევდა ხეფინის ხევზე, მერე კი ვერტყვილადან სწორედ ნებოძირზე ეშვებოდა. ქვათაქვა ამ ხაზის აღმნიშვნელი ცენტრი გახლავთ.**

გვიან ხანებში ქვათაქვაზე ლეგენდა შეუქმნიათ, რომლის თანახმად, ზედ ასეთი წარწერა ყოფილა —**„ეს ქვა დიყანაჭამმა სამმა ძმამ შემოვდეთ და თუ შეგიძლიათ, ქადანაჭამმა ცხრა ძმამ ჩამოიღეთ“-ო,** — ე.ი. ისეთი ძლიერები ვიყავით, რომ მშივრებმა ვივარგეთ და აბა, თქვენ, ქადით მაძღარნი თუ მოერევითო.

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები

# apokalifsis zRurblze

# ანუნაკები — ისინი ჩვენთან არიან



ახლა მოგითხრობთ, თუ რა მოხდა მილიონობით წლის წინათ დედამიწაზე. ესაა კოლონიზაცია, რომელიც ანუნაკებმა განახორციელეს. 500 000 წლის წინათ დედამიწაზე ხომალდი ჩამოვიდა, წაიღეს წყლის გარკვეული რაოდენობა და ისევ წავიდნენ, რათა მერე უკან დაბრუნებულიყვნენ უფრო მრავალრიცხოვანი შემადგენლობით. მთავარი მიზანი ერთი იყო — გამოეყენებინათ ყველა ბუნებრივი რესურსი, რაც დედამიწაზე არსებობს.

ისინი დაბრუნდნენ, მაგრამ დედამიწაზე მათ ანუაკები დახვდნენ, რომელთანაც ურთიერთობა ანუნაკებისთვის უფრო ძნელი აღმოჩნდა. მას შემდეგ ადამიანის გენეტიკა მკვეთრად შეიცვალა. „ანუნაკებმა ადამიანის დნმ შეურიეს თავიანთ გენეტიკას და გამოდის ისე, რომ ჩვენ ნახევრად ანუნაკები და ნახევრად ადამიანები ვართ, მაგრამ რატომ არ ვგავართ უფრო მეტად ანუნაკებს? ანუნაკი-რეპტილოიდები, როგორც წესი, მალავენ თავიანთ გარეგნობას. ფიზიკური ასპექტი, პრაქტიკულად, უკანა პლანზეა გადატანილი. პლანეტათაშორის დონეზე ჩვენ და ანუნაკებს ერთი წინაპარი გვყავს, რომელიც მდედრობითი სქესისაა და 183 000 წლის წინათ ცხოვრობდა აფრიკაში, ანუნაკები ყოველთვის უცხონი იყვნენ ადამიანებისთვის, ამიტომ მუდამ ცდილობდნენ, როგორმე დაგვმსგავსებოდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ასე უფრო ადვილად დაგვიახლოვდებოდნენ და ჩვენც უფრო შევითვისებდით მათ. მოსახლეობის ნაწილი დღესაც ატარებს თავის დნმ-ში ანუნაკების გენეტიკის ნაწილს, ადამიანების გარკვეული რაოდენობა კი — არა, მაგრამ არსებობს სუფთა სისხლის ადამიანთა კატეგორია, რომლებიც შემდგომ სამეფო სისხლის შთამომავლებად ჩაითვალნენ.

დარჩნენ ანუნაკები დედამიწაზე თუ წავიდნენ?

ამ საკითხების მკლევარი არიანა ხავა და მეცნიერთა ჯგუფი ამტკიცებს, რომ ისინი არსად წასულან და ჩვენს გვერდით არიან. ისინი მართავენ დედამიწას. ანუნაკები ჰგვანან რეპტილიებს, რომლებიც ორ ფეხზე დადიან და სხვათა შორის, მათი გამოცნობა არც ისე ძნელია. ანუნაკების შთამომავალნი, ძირითადად, ხელისუფლებაში მოღვაწეობენ. დაახლოებით 65000 წლის წინათ მათ გადაწყვიტეს ადამიანების მართვა დაეწყოთ. რის გამოც შექმნეს საიდუმლო ორგანიზაციები, გამოზარდეს ე.წ. მოძღვრები, რომლებიც ახალი რელიგიის მქადაგებლებად მიავლინეს ხალხში. მათ მოახერხეს ადამიანების ნაწილის გადაბირება, რომლებიც ეთაყვანებოდნენ ახალ სალოცავებს და ასრულებდნენ მათი ცრუ მოძღვრების ყველა ბრძანებას. მოძღვრები კი ამორჩეული ჰყავდათ სისხლით ყველაზე ახლო მყოფებს შორის. ეს მოძღვრები ახორციელებდნენ ადამიანის მსხვერპლშეწირვას ყველაზე გულმოდგინედ და დიდი სიამოვნებით. სისხლსა და ადამიანების ორგანოებს „ღმერთებს“ მიართმევდნენ საჩუქრად. ადამიანთა მსხვერპლშეწირვა დღესაც ხორციელდება. ეს არის მათი საკვები. დღეს რეპტილოიდების მთავარი მიზანი არის ინფორმაციის გადაცემა თავიანთი შთამომავლებისთვის. შთამომავლობა კი მიმოფანტულია უკვე მთელ მსოფლიოში და გზას იკვლევენ ყველა სოციალურ სფეროში — პოლიტიკაში, საბანკო სისტემებში, არმიაში, მასმედიაში, განათლებაში. კეთილდღეობას აღწევენ ისინი, ვინც მათ ემსახურება.

ისინი ფლობენ უდიდეს ცოდნას ასტროლოგიაში და თავისუფლად შეუძლიათ ადამიანის აზროვნებაზე მოახდინონ ზემოქმედება. მართონ მათი ენერგია, სულის მდგომარეობა. ანუნაკებს შეუძლიათ გააკეთონ ყველაფერი, რაც მოუნდებათ და როცა ამას საჭიროდ ჩათვლიან. ისინი თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ რელიგიას. არწმუნებენ ადამიანებს, რომ ასტროლოგია ეს არის სატანისებური სწავლება, სიზმარი არის ეშმაკისეული, ხოლო ეშმაკი, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს, რათა ამით დააშინონ მოსახლეობა.

მათ მთელ დედამიწაზე ბატონობა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რელიგიის საშუალებით მოახერხეს. პოლიტიკისა და მსხვილი საფინანსო სისტემების მონოპოლიზების საშუალებით, ისინი გვაძლევენ თითქოსდა პოლიტიკურ სიმშვიდეს, საჭმელ-სასმელს, სითბოს, საცხოვრებელს, სკოლებს, ჯანდაცვას, ყველაფერს... და რაც ყველაზე მთავარია, ანუნაკების შთამომავლებმა შესანიშნავად იციან, თავიანთი წარმომავლობისა და იმის შესახებ, რომ მათ ძარღვებში არაადამიანური სისხლი ჩქეფს — ჩვენ კი ვიბადებით, ვცოცხლობთ, ვშრომობთ და ვკვდებით მათთვის...

მაგრამ ისმის კითხვა: გამოსავალი არ არსებობს?

არსებობს. ჩვენ უნდა ვუსმინოთ საკუთარ სულს და ვერავინ შეძლებს გვიბრძანოს ან გაგვაკეთებინოს ის, რაც ჩვენს სულს არ უნდა.

საინტერესოა ის, რომ მეცნიერება მთლიანად მათ ხელშია. მას არაფერი აქვს საერთო იმ მეცნიერებასთან, რომელსაც ადამიანის ცნობიერება ბიბლიურ ჭეშმარიტებამდე მიჰყავს. მათ ყოველთვის ეშინოდათ ამის და საპირწონედ შექმნეს ისეთი მეცნიერებანი, რომლებიც მატერიალურისკენ არის მიდრეკილი. ყველაზე დიდი საშიშროება, რაც რეპტილოიდების წინაშე დგას, ეს არის ადამიანის გონების სიფხიზლე, ისინი კანკალებენ, რომ, შეიძლება, ერთხელაც ადამიანმა „გაიღვიძოს“ და გამოამჟღავნოს სამყაროსადმი ადამიანურ-ღვთიური ცნობიერება, რომელიც უსაზღვროა. თუკი ადამიანები გამოფხიზლდებიან, მათ განდევნიან დედამიწიდან, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ რეპტილოიდებს არსად აქვთ წასასვლელი. ცის სხეული მათთვის გადაკეტილია, მატრიცა გაანადგურებთ და მათში ჩაბუდებული დნმ-ი ტრანსფორმირდება. მათ ეს არ სურთ, უფრო მეტიც, სასტიკად ეშინიათ. დღესდღეობით მათი გამოაშკარავება და მხილება მთავრდება სიტყვებით: შარლატანი, გიჟი, არანორმალური, რა ანუნაკი, რის რეპტილოიდი, ასეთი რამ არ არსებობს, — მოგიგებენ პასუხად. რადგან, როგორც ზემოთ გითხარით, ყველაფერი მათ ხელში არის და არ სურთ ამ ძალაუფლების დათმობა. მათ შეუძლიათ და ახერხებენ კიდევაც მართონ ჩვენი გემოვნება, გვიბრძანონ, რა ვჭამოთ, რა დავლიოთ, რას ვუყუროთ, როდის დავწვეთ დასაძინებლად და ყველაფერ ამას ვაკეთებთ წინააღმდეგობის გაწევის გარეშე.



ანუნაკების შთამომავალნი ამას ახერხებენ ქიმიური პრეპარატების საშუალებით, რომელიც მრავლად არის ჩვენი ყოველდღიური კვების რაციონში — კონსერვანტები, საკვები დანამატები, წამლები სპეციალურად არის შექმნილი იმისთვის, რომ ადამიანის ტვინი მოეწყოს ისე, რომ რეაგირება ჰქონდეს მხოლოდ მითითებულ სტიმულატორებზე. წამლების 100 პროცენტს ამ კუთხით ვერ განვიხილავთ, თუმცა ძალიან ძნელია ზღვრის გავლება, რომელია საბედისწერო და რომელი — არა. აცრები ყველაზე საშიში რამ არის. ის პირდაპირ მოქმედებს იმუნურ სისტემაზე. ასე, რომ, გამოდის, წამლები უფრო მეტი ზიანის მომტანია, ვიდრე სასარგებლო. ავადმყოფობა ეს არის ნიშანი იმისა, რომ რაღაცას სწორად არ აკეთებ...

მოკლედ, სად არიან ანუნაკები?

ისინი ჩვენს გვერდით ცხოვრობენ. ისინი აქტიურად ერთვებიან ჩვენს ყოველდღიურობაში და არაფრით არ შეგვიძლია თავი ავარიდოთ მათ. ანუნაკები, ძირითადად მაინც, მიწისქვეშეთში ცხოვრობენ, სადაც მათ უზარმაზარი ბაზები აქვთ, თუმცა მიწის ზემოთაც შესანიშნავად გრძნობენ თავს და სხვათა შორის, არც უხილავები არიან. მათ ჩვენ ვხედავთ, მაგრამ შეუძლიათ თავის ირგვლივ ერთგვარი ენერგეტიკული ველი შექმნან, რის გამოც ნებისმიერ გარეგნობას იღებენ, როგორსაც მოისურვებენ, ამიტომ ძნელია მათი გამოცნობა.

ანუნაკები თავიანთ თავს მაშინ ამჟღავნებენ, როცა სისხლის გაჯანსაღება მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს, ეცვლებათ მათი ხასიათი. მათ შესანიშნავად იციან, რომ პლანეტების განლაგება ხასიათზე მნიშვნელოვნად მოქმედებს. ამიტომ ასტროლოგიას განსაკუთრებით შეისწავლიან.

ანუნაკებს დიდი ხანია სწავლობენ ცნობილი მეცნიერები დევიდ ეიკი და ზაქარია სიჩინი, ისტორიკოსი, მეცნიერი, მკვლევარი, რომელმაც თარგმნა „უმაღლესი საიდუმლო“; წიგნი, რომელიც 1880 წელს იქნა აღმოჩენილი 400 კმ დაშორებით ქალაქ ბაღდადიდან. ამ წიგნში არის მოთხრობილი განსაკუთრებულ რასაზე, რომელთაც ანუნაკ-კი, ეწოდებათ და პლანეტა ნიბირუდან მოსულნი არიან. სიჩინი მიიჩნევს, რომ ეს პლანეტა იუპიტერსა და მარსთან უფრო ახლოა და პლუტონთან ერთად მოძრაობს. ციკლი 1600 წელიწადი გრძელდება.

ანუნაკები ინფორმაციებს ვიბრაციის საშუალებით გადასცემენ და მათ არ შეუძლიათ თავიანთი ინფორმაცია ამ ინფორმაციის მიმღების ნების გარეშე დატოვონ ინდივიდში. ისინი „შემოდიან“ და „გადიან“. ასევე არიან ვამპირებიც, რომლებსაც არ შეუძლიათ დიდ ხანს მზის სინათლეზე ყოფნა. ვამპირების არსებობის მთელი ისტორია რეპტილიების შინაგანი მდგომარეობიდან მოდის. მათ შეუძლიათ ჩვენ შორის იარონ, თუმცა ჩვენი შინაგანი ინფორმაცია ვიბრაციულად არ არის მათთან

30 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ანუნაკები — ისინი ჩვენთან არიან

29 gv.

თანხვედრაში. ამიტომაც არ ძალუძთ დიდ ხანს ადამიანთა გარემოცვაში ყოფნა, ეს მათ სერიოზულად აზიანებთ, ამიტომაც სჭირდებათ ადამიანის სისხლი, რადგან ეს სისხლი, თუ მას გეოგრაფიულად შევხედავთ, არის წითელი, მაგრამ მეტაფიზიკურად ეს არის ინფორმაცია, ინფორმაციული მდგომარეობა, რომელიც ადა-



მიანური გენეტიკის კოდს ინახავს. სისხლის დალევა მათ აძლევთ შესაძლებლობას დარჩნენ ამ რეალობაში უფრო დიდი ხნით და ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ვამპირების მიერ სისხლის სმისა, მაგრამ, არსებობს სხვა მიზეზებიც. თუ გავყვებით ამ გენეტიკურ ხაზს, მივადგებით პედოფილიის, სატანიზმის, ადამიანთა მსხვერპლშეწირვის რიტუალებს. მსხვერპლთშეწირვა ვისთვის? ღმერთებისთვის, რომლებიც რეპტილიური წარმოშობის არიან და იკვებებიან ამ სისხ-




ლით და ხორცით. (ომები, სიკვდილით დასჯა და ა.შ.).

მეცნიერი დევიდ აიკი ამტკიცებს, რომ ილუმინატებზე დაკვირებისას მან გამოიტანა დასკვნა, რომ ყველა სატანისტი, ილუმინატი არის პედოფილი. საქმე ისაა, რომ მათ სურთ ახალი ენერგიით შევსება და პირდაპირ ხვრეპენ ამ ენერგიას მცირეწლოვანი ადამიანებისგან. ვინ არიან ეს პედოფილები, რატომ განიცდიან ენერგიის ნაკლებობას? მაგალითად, ჯორჯ ბუში (უფროსი) და ა.შ. რატომ გამოწოვენ ენერგიას მსხვერპლს ისე, როგორც რვაფეხა? ამ ადამიანებს არ აქვთ სექსი მცირეწლოვანებთან, ისინი, როგორც წესი, ურთიერთობას ამყარებენ ბავშვებთან ანალური გზით და რა ხდება ამ დროს? ბავშვის ენერგეტიკას უკავშირდებიან ანალიდან, ე.ი. ცენტრალური გზით, რაც უმთავრესად ითვლება ადამიანის ენერგეტიკაში. აქტის დროს ისინი ქაჩავენ ადამიანურ ენერგიას ბავშვის ორგანიზმიდან, რაც მაცოცხლებელია რეპტილოიდისთვის...

ჩვეულებრივი კითხვა, თუ რატომ არიან სატანისტები და პედოფილები ერთდროულად პოლიტიკოსებს, საბანკო მაგნატებს, ე.წ. ელიტარებს შორის? 60-იან წლებში დაიბეჭდა წიგნი, სადაც მოთხრობილია დონ ხუან მატეუსის შესახებ, რომელიც ცენტრალური ამერიკის შამანი იყო. წიგნში დონ ხუან მატეუსი, რომელიც, სავარაუდოდ, მოგონილი პერსონაჟია, მტაცებლებზე საუბრობს, რომლებიც შორეული კოსმოსიდან მოვიდნენ, რათა ხელში ჩაეგდოთ კაცობრიობა და მოთხრობილია, როგორ დაიპყრეს მათ ადამიანის ცნობიერება. დაპყრობა დღესაც გრძელდება და ისინი პირდაპირ ნადირობენ ადამიანების სუფთა ენერგეტიკულ ველებზე.

**მოამზადა**
**ანა ვადაჭკორიამ**
**(გაგრძელება იქნება)**



# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ჩემს მეუღლეს ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული შვილი, რომელიც მის გვარს ატარებს.**

ჩემი მეუღლე გარდაიცვალა. ჩვენ სამი შვილი გვყავს. ეკუთვნის თუ არა წილი ქორწინების გარეშე დაბადებულ შვილს?

— რადგან ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი ატარებს მამის გვარს, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენმა მეუღლემ აღიარა ბავშვის მამობა. აქედან გამომდინარე, ის ისეთივე მემკვიდრეა გარდაცვლილი მამისა, როგორც ქორწინების განმავლობაში დაბადებული შვილები.

* * *

**— მეუღლე არის პატიმარი. მისჯილი აქვს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსურს მასთან განქორწინება. შესაძლებელია თუ არა, ეს მოხდეს სამოქალაქო რეესტრის ორგანოში?**

— შეიძლება.

ეს ის შემთხვევაა, როცა განქორწინება შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით (მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე. ოღონდ, მეუღლეებს შორის არ უნდა არსებობდეს სხვა სახის დავა). ასეთ დროს მეუღლე ვალდებულია, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წარუდგინოს სათანადოდ დამოწმებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი.

* * *

**— როგორია მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნის ვადები?**

— მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსია ინიშნება მისი გარდაცვალების დღიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში განცხადება შეტანილი უნდა იქნას გარდაცვალებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ. ამ ვადის გასვლის შემდეგ, პენსია ინიშნება განცხადების წარდგენის დღიდან. დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის შემთხვევაში პენსია დაინიშნება პირველი განცხადების შეტანის დღიდან.

* * *

**— შესაძლებელია თუ არა მინიმალურ ზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნა?**

— შესაძლებელია ერთადერთ შემთხვევაში. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

* * *

**— მოვიხადე სასჯელი. შემიძლია თუ არა ნასამართლობის მოხსნის მიზნით, შეწყალების შესახებ მივმართო პრეზიდენტს?**

— შეგიძლიათ.

სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

* * *

**— ვიმყოფები პირობითი მსჯავრის პირობებში. როდის მომეხსნება ნასამართლობა?**

— თქვენი ნასამართლობა, სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქ-პუნქტის მიხედვით, გაქარწყლდება გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ.

* * *

**— შეიძლება თუ არა, ფსიქოლოგი იყოს ნაფიცი მსაჯული?**

— არა.



* * *

**— ნაფიცი მსაჯულისთვის დაწესებულია თუ არა ასაკობრივი ცენზი?**

— არა, მაგრამ თვითონ ნაფიც მსაჯულს აქვს უფლება, უარი თქვას ამ მოვალეობის შესრულებაზე, თუ იგი 70 წელს გადაცილებულია.

* * *

**— მამაჩემმა შეადგინა ანდერძი სანოტარო წესით. შემდეგ ეს ანდერძი შეცვალა ახალი ანდერძით. აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებამდე 3 დღით ადრე მას ეს ანდერძი გაუუქმებია. ძალაშია თუ არა პირველი ანდერძი? როგორ მოხდება ქონების განაწილება?**

— არა.

ანდერძი, რომელიც გაუქმდა შემდგომ შედგენილი ანდერძით, არ აღდგება, და უფრო გვიან შედგენილი ანდერძიც, გაუქმდება.

თქვენს შემთხვევაში იგულისხმება, რომ ანდერძი არ არსებობს და სამკვიდროს გაყოფა არ მოხდება ანდერძით. სამკვიდრო უნდა გაიყოს კანონისმიერ მემკვიდრეებს შორის სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს მალხაზ ხულორდავას ძმის**

**რამაზ ხულორდავას**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# `alfa~ TbilisSi mifrinavs~

ამ დროს რამდენიმე გასროლა გაისმა. შემდგომ ექსპერტიზამ დაადგინა, რომ დამნაშავეებმა ცეცხლი პილოტთა კაბინისკენ, ესე იგი, ჩვენსკენ გახსნეს. ისინი საპირისპირო მხარესაც ისროდნენ, საიდანაც სხვა მოიერიშე გუნდი მოდიოდა. საბედნიეროდ, პანიკამ დამიზნებაში ხელი შეუშალათ, მე და ჩემს ამხანაგებს ტყვიები აგვცდა.

გასასვლელში იატაკზე კაცი იწვა. ჩვენ პრაქტიკულად მასზე გადავირბინეთ იმ სავარძლებისკენ, სადაც, ჩვენი მონაცემებით, ტერორისტები ისხდნენ. აი ისინიც! გვერდით თავისუფალი სავარძელია. მასზე გახსნილი საკეტით „კეისი“ დევს. როგორც გაირკვა, მასში დამნაშავეები მოიერიშეთათვის სასროლ ხელყუმბარებს ინახავდნენ. ელვისებურმა შეტევამ ეს გეგმები ჩაშალა.

მეზობელ სავარძელზე მამაკაცი იჯდა, იგი სწრაფად დავბლოკეთ, გავუკეთეთ ხელბორკილები და კონტროლზე ავიყვანეთ. რამდენიმე წამში დანარჩენ მოიერიშე გუნდებს შევხვდით, რომელთაც მეორე სალონი აიღეს. ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოგვახსენა, რომ იქ კიდევ ორი ტერორისტია დაკავებული.

ერთდროულად მგზავრების ევაკუაცია დაიწყო. სალონში სროლა გრძელდებოდა, შეიძლება ყოფილიყო ჩვენს მიერ აღმოუჩენელი ასაკის მეშვეობით ჩვენ თვითმფრინავის სალონში მიმდინარე საუბრებს ვაკონტროლებდით. ეს აპარატურა იერიშის დროს მაგნიტოფონში ჩაწერის რეჟიმში მუშაობდა. ოპერაციის დამთავრების შემდეგ ინაურმა ზაიცევს სთხოვა:




ფეთქებელი მოწყობილობაც. ჩვენ აფეთქებას ვუფრთხოდით. თვითმხილველთა ჩვენებით, ერთ-ერთ დამნაშავეს ხელში მუდმივად მოსწავლის გლობუსი ეჭირა. ჩვენ ამ გლობუსს აფეთქებისაგან დამცავი გადასაფარებელი შემოვახვიეთ და თვითმფრინავიდან გამოვიტანეთ.

მგზავრები შოკურ მდგომარეობაში იყვნენ, ბევრი დაჭრილი იყო, ზოგიერთებს სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილებაც არ შეეძლოთ.

იერიში და მგზავრების ევაკუაცია დაახლოებით რვა წუთი გრძელდებოდა. ამ დროში გაუვნებელყოფილი იქნა ყველა დამნაშავე: ოთხი მამაკაცი და ერთი ქალი. ტერორისტებისგან ამოღებულ იქნა ორი „ÒÒ“ პისტოლეტი, ორი „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი, ხელყუმბარები ĐÃÄ-5 და Ô-1. როგორც შემდგომ გაირკვა, ეს ხელყუმბარები სასწავლო იყო, მასში ჩამონტაჟებული იყო საბრძოლო ფალია. იარაღის ყიდვისას „ვაჭრებმა“ ისარგებლეს ტერორისტების სამხედრო უმეცრებით და მათ სასწავლო ეგზემპლარები შეაჩეჩეს, მაგრამ თავად დამნაშავეებმა და, რა თქმა უნდა, ჩვენც, ბოლო წუთამდე ეს არ ვიცოდით...

იერიშის შემდეგ, დაკავებისა და მხარდაჭერის გუნდები თვითმფრინავთან მოვეწყეთ, შევამოწმეთ აღჭურვილობა. კარპუხინმა „ალფის“ მეთაურს მოახსენა: დანაკარგები პირად შემადგენლობაში არ არის, დამნაშავეების წინააღმდეგ თვითმფრინავში იარაღი არ გამოყენებულა. იქვე დადგინდა, რომ დაკავების გუნდმა რამდენიმე გასროლა მოახდინა. ერთი მებრძოლი იარაღის დამზღვევი თასმით სავარძელს წამოედო ისე, რომ გადაადგილება აღარ შეეძლო. ამიტომ მის ზურგს უკან მომავალმა პისტოლეტიდან გასროლით ფალი გაწყვიტა და ის „გაანთავისუფლა“. განხორციელდა რამდენიმე გამაფრთხილებელი გასროლა, რომ ტერორისტები იძულებული გამხდარიყვნენ იარაღი დაეყარათ.

მოხსენების შემდეგ ჩვენ აეროვაგზლის შენობაში შევედით. თავის მოწესრიგება დავიწყეთ. ხელების დაბანისას, დავინახეთ, რომ წყალი აუზში გაწითლდა. ვეხმარებოდით რა მგზავრებს თვითმფრინავის დატოვებაში, ბევრი მათგანი დაჭრილი იყო და თურმე ჩვენ ყველანი, მოერიშეები, თავიდან ფეხებამდე სისხლში გავისვარეთ.

მოწესრიგებულები კვლავ მოვეწყვეთ. ჩვენთან შევარდნაძე და ინაური გამოვიდნენ. ედუარდ ამბროსის ძემ თითოეულს ხელი ჩამოგვართვა, მადლობა გადაგვიხადა წარმატებით ჩატარებული ოპერაციისთვის, გასცა განკარგულება: ჩვენთვის, როგორც ყველაზე ძვირფასი სტუმრებისთვის, დაეთვალიერებინათ მშვენიერი თბილისი. ჩვენ შემოგვთავაზეს საქართველოს დედაქალაქში ორი-სამი დღე გაგვეტარებინა, მაგრამ „ალფას“ მეთაურმა გვაცნობა, რომ მიიღო ბრძანება მოსკოვში დაბრუნებაზე.

ამ ამბავს კურიოზების გარეშე არ ჩაუვლია. როგორც მე უკვე ვახსენე, სპეციალური ტექნი-

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #20–25

— ეს ჩანაწერი სამახსოვროდ დამიტოვეთ!

რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელისთვის მის გადაცემამდე, გადავწყვიტეთ იგი ჯერ ჩვენ მოგვესმინა. მოსმენილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა! ჩვენი თვალსაზრისით, აუცილებელი „არალიტერატურული გამონათქვამების“ სარედაქციო ჩასწორების შემდეგ მაგნიტოფონი მხოლოდ სროლის გრუხუნსა და შეტაკების შრიალს გამოსცემდა. თანამშრომლების სიტყვებიდან მხოლოდ ორი-სამი ფრაზა დარჩა: „ყველანი დაწექით!“ „ხელები თავზე“!

ის რამდენიმე საათი, რაც თბილისში გავატარეთ, ჩვენ სრულად შევიგრძენით ქართული სტუმართმოყვარეობა. პირველყოვლისა, ისეთივე ჩაცმულები, როგორიც ვიყავით შავ საფრენოსნო კომბინეზონებში, ინტურისტის რესტორანში წაგვიყვანეს სასაუზმოდ, წარმოიდგინეთ უცხოელთა გაკვირვება, როცა ჩვენ იქ დაგვინახეს.

საუზმის შემდეგ კომფორტული ავტობუსით ქალაქში ექსკურსია მოვაწყვეთ. ალბათ, ეს ძალიან საინტერესო იყო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დათვალიერებიდან რამდენიმე წუთში, მე ჩამეძინა — უძილო ღამის დაძაბულობამ და დაღლილობამ იმოქმედა. ექსკურსიის დასასრულს, ჩვენ სამთავრობო აგარაკზე მიღება გველოდა.

ბუნებრივია, როდესაც მოსკოვიდან მოვფრინავდით, თან საპარადო კოსტუმები არ წამოგვიღია, მაგრამ ჩვენმა მასპინძლებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს. საფრენოსნო-ტექნიკური შემადგენლობის შავმა კომბინეზონებმა ამ მშვენიერი ვახშამის კოლორიტი მხოლოდ გააძლიერეს.

იყო ბევრი ლამაზი, პოეტური სადღეგრძელო მეგობრობაზე, მამაცობაზე, გაბედულებაზე. მაგიდასთან, ისევე როგორც მანამდის, ინაური მეთაურობდა. საქართველოს მინისტრთა საბჭოსგან ოპერაციაში ყველა მონაწილეს ფასიანი საჩუქრები: სახელობითი საათები და კონიაკის სასუვენირო ნაკრები გადმოგვცეს.

შემდეგ, ჩვენ კვლავ იმ აეროპორტში გავემგზავრეთ, სადაც რამდენიმე საათის წინ ტრაგედია დატრიალდა, მაგრამ გაფრენამდე კვლავ წინააღმდეგობა შეგვხვდა. როგორც აღმოჩნდა, მილიციის თანამშრომლებმა ავიადისპეჩერებს უბრძანეს, არ გაეშვათ ჩვენი თვითმფრინავი ასაფრენ მოედანზე, სანამ ჩვენ ადგილობრივ კაფეში არ შევიდოდით, მათ ერთობლივად ორგანიზება გაუკეთეს მეგობრულ მაგიდას შამპანურებით. ამ კაფეში ჩვენ ყველამ ერთად კიდევ ერთხელ აღვნიშნეთ ჩვენი პატარა გამარჯვება და მხოლოდ შემდეგ გავფრინდით.

ოპერაციის წარმატებით ჩატარებისთვის ჯგუფი „À“-ს ბევრი თანამშრომელი დაჯილდოვდა: მე და გოლოვატოვი — წითელი დროშის ორდენით, დემიდკინი — მედლით „გაბედულებისთვის“, კარპუხინი, სერეგინი და ზაბროდინი — ნიშნებით „სახელმწიფო უშიშროების საპატიო თანამშრომელი“.

**ლიტერატურული ჩანაწერი**
**ა.ვოლკი, ნ.ოვჩინიკოვი**

**მოამზადა დავით არაბიძემ**

## ყველაზე მრავალშვილიანი დედა „პლეიბოის" ფოტოსესიას დათანხმდა






ნადია სულეიმანმა გადაწყვიტა გაეხადა კამერის წინაშე, რათა გამოეკვება თავისი 14 შვილი.

როგორც აღმოჩნდა, მის ოჯახს გაბანკროტება ემუქრება და მას აღარ შეუძლია ბანკის ვალები დაფაროს, რათა საცხოვრებელი ბინის თანხები გადაიხადოს. მატერიალური მდგომარეობა რომ გაიუმჯობესოს, ნადია სულეიმანმა ხელი მოაწერა კონტრაქტს „პლეიბოის" ფოტოსესიაზე და მხატვრულ მრავალსერიან ფილმში მონაწილეობაზე, რომელიც უფროსი ასაკის მაყურებლისთვის არის განკუთვნილი.

სულეიმანმა ადრეც მიიღო ასეთი სახის წინადადება, მაგრამ ყოველთვის უარზე იყო. ამბობდა, რომ ასეთ რამეზე დასთანხმდებოდა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. როგორც ჩანს, ეს დღე დადგა.

## მერლინ მონრო რუსეთის კგბ-ს აგენტი იყო



იტალიელი ჟურნალისტის ანტონელა კოლონა ვილაზის ბლოგზე ახლახან გამოჩნდა სტატია, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავს მერლინ მონროს რომანი და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის დაზვერვის თანამშრომელთნ, რომელიც დიპლომატიურ მისიას ასრულებდა გაეროს სსრკ უმაღლესი საბჭოს დავალებით. მსახიობს კოდური სახელიც ჰქონდა. მაშა, ასე ერქვა მერლინ მონროს. ორი საპირისპირო ბანაკის წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის საელჩოში შეხვდნენ ერთმანეთს, როცა ნიკიტა ხრუშჩოვი აშშ-ის წარმომადგენლებს ხვდებოდა. ჟურნალისტი კოლონა ვილაზი იმოწმებს დოკუმენტურ ფილმსაც, რომლის სახელწოდებაა, „მერლინ მონრო დოსტოევსკის ქვეყანაში". ფილმი კგბ-ს ექს-თანამშრომელმა ლუდმილა ტიომნოვამ გადაიღო. ფილმი რუსეთში გასული წლის ბოლოს აჩვენეს. თუმცა ფილმში მოცემული მასალები დოკუმენტურად დასაბუთებული არაა და მხოლოდ მოარულ ხმებზე დაყრდნობით არის გადაღებული, ფილმმა მაინც დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მამაკაცი, რომელიც არ მალავს საკუთარ ვინაობას, აცხადებს, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მსახიობთან. „ეს იყო, ორი დაუვიწყარი დღე, — ჰყვება ყოფილი აგენტი, რომელიც მაშინ 27 წლის იყო, — მაგრამ ჩვენი ურთიერთობა ძალიან დაძაბული და არანორმალური იყო. ვხვდებოდით, ის ფაქტი, რომ ჩვენ ერთად ვიყავით, არ ნიშნავდა იმას, რომ ჩვენ არავინ გვხედავდა და არავის ესმოდა ჩვენი საუბარი. მერლინის გაცნობიდან ორი დღის შემდეგ იგი სამუდამოდ გაქრა მისი ცხოვრებიდან.

## მეცნიერებმა დაადგინეს, რა პერიოდულობით უნდა დავიბანოთ თავი

ხშირად უნდა დავიბანოთ თავი? ასეთ ერთი შეხედვით უწყინარ შეკითხვას სხვადასხვაგვარი პასუხი აქვს. ზოგი ამბობს, რომ კვირაში ერთხელ თუ მოკლედ შეკრეჭილი თმა გაქვთ. ზოგი მიიჩნევს, რომ მაშინ, როცა დაგიბინძურდებათ, ზოგის აზრით, 2 დღეში ერთხელ. ზოგიერთი მამაკაცი კი დღეში ორჯერ იბანს თავს.

მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ არსებობს სამი ტიპის თმა — მშრალი, ცხიმიანი, მსხვრევადი. თითოეული ტიპის თმას თავისებური შამპუნი სჭირდება, რომელიც სხვადასხვა ტიპის თმებისთვის გამოიყენება.

ხშირად თმების დაბანა საშიშია, რადგან თმების ცვენას თავის კანის გამოშრობას და თმის შემადგენლობის დაზიანებას იწვევს.



## გამოუცნობი მფრინავი ობიექტი რუსეთშიც შეამჩინეს



ჩელიაბინსკში, სადაც ფედერალური ბირთვული ცენტრი მდებარეობს, ქალაქის მაცხოვრებლებმა ცაში „მფრინავი თეფში" შეამჩნიეს. უცხოპლანეტელები გაჩერდნენ ბირთვული ცენტრის თავზე.

სანამ ადგილობრივები ბჭობდნენ, ეს მოჩვენება იყო, ბუნებრივი მოვლენა თუ ნამდვილი უცხოპლანეტური ხომალდი, ამ ფაქტის აღმნიშვნელი ვიდეოკადრები უკვე დაიდო ინტერნეტგვერდებზე.

ბირთვული ცენტრის თანამშრომლები ადასტურებენ უცხო მფრინავი ობიექტის გამოჩენის ფაქტს, მაგრამ ყოველივე ამაზე კომენტარს არ აკეთებენ.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — უცნობთან დაწყებული თანამშრომლობა თქვენი კარიერისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ — უფრო გათვლილი და ბალანსირებული მოქმედება გმართებთ. ოჯახში მომწიფებული კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

**კურო** — ყველას, განსაკუთრებით კი, საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხართ და უარს ვერავისგან აიტანთ. გონება კარგად გიმუშავებთ და ფინანსურ პრობლემებს შესანიშნავად აგვარებთ. ოჯახში ძალიან მშვიდი და ჰარმონიული სიტუაცია გაქვთ.

**ტყუპები** — ტყუპების ენერგეტიკული მდგომარეობა საკმაოდ არამდგრადია და კარგი იქნება, თუ სიმშვიდეს და კეთილგანწყობას შეინარჩუნებთ. თუმცა თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე წუწუნი ნამდვილად არ მოგიწევთ.

**კირჩხიბი** — სიმშვიდე და გაწონასწორება გჭირდებათ. იმ უამრავი საქმიანი წინადადებიდან, რომლებსაც ამ დღეებში შემოგთავაზებენ, არცერთი ივარგებს და ამდენად, დაფიქრებაც არ ღირს.

**ლომი** — თუ ამ კვირას ახალი სამსახურებრივი რომანით დაიწყებთ, აუცილებლად გამიჯნეთ ერთმანეთისგან საქმე და პირადი საკითხები. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მართლაც ცხელი დღეები გაქვთ.

**ქალწული** — თქვენი კარიერის საკითხით, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ კომპეტენტური პირებიც დაინტერესდებიან და დიდი ხნის ნანატრ წარმატებასაც მიაღწევთ.

**სასწორი** — ერთობლივ პროექტზე იწყებთ მუშაობას, რომელიც აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება და ამ საქმიდან სხვებზე მეტად თქვენ ისარგებლებთ. ფინანსების საქმე ნამდვილად გამოსწორების გზაზეა.

**მორიელი** — ეს კვირა საკმაოდ ნელა და მძიმედ იწყება, მაგრამ ყველასთვის და განსაკუთრებით თქვენთვის, მოულოდნელი შედეგებით დასრულდება.

**მშვილდოსანი** — მხოლოდ კარიერაზე ფიქრობთ და თქვენი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადადის. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გამოგრჩეთ და გვიან მიხვდეთ.

**თხის რქა** — სარისკო საქმეებს, ჯობია თავი აარიდოთ. განსაკუთრებით კი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ერიდეთ. ოჯახში თითქმის ერთგვარი გაუცხოება შეინიშნება, მაგრამ დროებით ერთმანეთისგან დასვენება ყველასათვის სასარგებლო აღმოჩნდება.

**მერწყული** — საკმაოდ დაძაბული მოვლენების ცენტრში აღმოჩნდებით და მაქსიმალური შემართების და მოთმინების გამოჩენა მოგიწევთ.

**თევზები** — ფინანსური საკითხები ამ კვირაში ნაკლებად გადარდებთ, ოჯახის წევრებსაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება.

### ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები: სკანვორდი

1.სუფლიორი. 2. თუხთუხი. 3. თედიაშვილი. 4. ხერხემალი. 5. ემბაზი. 6. ხრიოკი. 7. ყიფლიბანდი. 8. ნედლეული. 9. ბეთანია. 10. მარქსი. 11. ბუკი. 12. ზმა. 13. ანოსმია. 14. წათხე. 15. ქავილი. 16. რეჟანსი. 17. ლინჩი. 18. ბურჟუა. 19. ცბიერი. 20. ტანცმაისტერი. 21. ჟერვეზა. 22. ბიუჯეტი. 23. პელიკანი. 24. გრილაჟი. 25. ვიზიტიორი. 26. ანცი. 27. გორგოლაჭი. 28. ლოკოკინა. 29. კოლონა. 30. ბანკი. 31. კაშალოტი. 32. კირკიტა. 33. კუტი. 34. კეგლი. 35. ტორი. 36. კლიზმა. 37. რასელი. 38. ვაშინგტონი. 39. ველური. 40. ვალდოლი. 41. მტრედი. 42. მდადე. 43. ხოჯა. 44. ლეშხი. 45. რაფლეზია. 46. ფარანჯა. 47. სელი. 48. ლეგატი. 49. ზუმერი. 50. მილედი. 51. ზოოლოგია. 52. ლაკმუსი. 53. გაგარინი. 54. გიგზი. 55. ზორგე. 56. გენი. 57. ბზობა. 58. ბონაპარტე. 59. კალათა. 60. არტე. 61. ნეგო. 62. ჯინა. 63. უანდერი. 64. იოლანტა. 65. კოდა. 66. მარინე. 67. პასპორტი.